ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 29 მაისი 2001 №97 (1370) | ფასი 50 თეთრი




# აწმყო თუ არა გვწყალობს, სტადიონი ჩვენია!

## ახალი ლოკომოტივი საქართველოს, საქართველოს თასი ტორპედოს

იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდები



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ნიკოლოზ ტოგონიძე ბურთს
ერთხელ შეეხო და ხელი თასით დაიმშვენა

# კახა კალაძე: რატომ?!

წუხელ მილანიდან თბილისში ჩამოვიდა კახა კალაძე. აეროპორტში მას მშობლებისა და ახლობელ-მეგობრების გარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი დავით ყიფიანი და თითქმის მთელი ქართული მას-მედია დახვდნენ. თუმც დახვედრა ერთია და ჩამოსულთან შეხვედრა მეორე. კახას მამამ, ბატონმა კარლომ, ბუნებრივია, შვილი დამხვდურთ გაარიდა. ლაპარაკის თავი არც ერთს ჰქონდა, არც მეორეს — მტერი ნუ იქნება მათ დღეში.

წუხელვე კალაძეების ოჯახს, ისევე როგორც ბოლო ერთი კვირაში, მომკითხველი და გაჭირვების გამზიარებელი არ დაჰკლებია.

თავად კახა კალაძის იერი კი არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი — აბსოლუტურად უემოციო, ჩამქრალი მზერა, ყველაფრის ხალისდაკარგული და მიტკლისფერი. და მიუხედავად ამისა, მაინც თავაზიანი და ზრდილობიანი.

— დიდი ბოდიში, მაგრამ ვერაფერს გეტყვით. საშინლად გულმკვდარი ვარ. არაფრის თქმა არ მსურს. რატომ? რისთვის? ფეხბურთზე კი საერთოდ არ ვფიქრობ, არც ის ვიცი, 2 ივნისს იტალიელების წინააღმდეგ ვითამაშებ თუ არა, ამაზე ფიქრის თავი არ მაქვს, ჩემი გონება სხვა რამით არის დაკავებული — ეს სიტყვები კახა კალაძემ წუხელვე უთხრა „სარბიელს".

გუშინ კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან ეს გვითხრეს:

— ლევან კალაძის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს ოპერატიული სამძებრო საქმიანობა. ჩვენი ინფორმაციით, ლევან კალაძე თბილისის მახლობლადაა და ვიმედოვნებთ, რომ ის უახლოეს დღეებში ოჯახში დაბრუნდება. გამოძიებას თავად მინისტრი, ბატონი კახა თარგამაძე ხელმძღვანელობს.

გუშინვე შევიტყვეთ ისიც, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრი და „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი საქართველოს პრეზიდენტს კახა კალაძის ძმის გატაცების თაობაზე უკვე ორჯერ შეეხმიანა, თუმც თავს ვერ დავდებთ ამ სიტყვების უტყუარობაზე.

დაბოლოს, ერთიც. გუშინწინ რომის „სტადიო ოლიმპიკოზე", „რომა" — „მილანის" მატჩისას, როგორც მილანური კლუბის სელექციონერმა რევაზ ჭოხონელიძემ გვითხრა და ეკრანზეც კარგად ჩანდა, ტრიბუნაზე ხალხს ასეთი პლაკატი გამოეფინა — კახა ჩვენ შენთან ვართ!

კალაძეები მარტონი არ არიან.

**კობა ინასარიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

თასი ჩვენია! ყველაზე მძაფრი სიხარულის პირველი წამი

**გუშინ** საღამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა. ვარჯიშს გუნდის ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი უძღვებოდა. გამოძახებულ ფეხბურთელთაგან არ იყვნენ გოჩა ჯამარაული და ზაზა ჯანაშია, შოთა არველაძეს დღე-დღეზე ელიან, ხოლო კალაძის საკითხი ჯერაც გაურკვეველია. თანაგუნდელები კახას მხარდაჭერას უცხადებენ და თუ მისი გატაცებული ძმის საქმე არ მოგვარდება, შესაძლოა იტალიასთან თამაშზე უარიც განაცხადონ.

ნაკრებში აქამდე გამოძახებულ მეკარეებს, ირაკლი ზოიძესა და დავით ხმელიძეს, ვიტჯორჯიელი სერგო ჭურაძე და უგუნდო დავით გვარამაძე დაემატნენ. მწვრთნელებმა ორი ტორპედოელიც იხმეს — გივი ღიღავა და მიხელ აშვეთია.

ტრავმირებული არიან ლევან კობიაშვილი და გიორგი ქინქლაძე. ფრაიბურგელ მარცხენაფლანგელს წვივის კუნთი აქვს დაჟეჟილი და დაჭიმული. ორი დღეა, რაც მას ნაკრების ექიმი დიმა ზაალიშვილი მკურნალობს. კობიაშვილი ალბათ ითამაშებს — ასეთია ზაალიშვილის ვერდიქტი. კობიაშვილმა გუშინ ძუნძულით რამდენიმე წრე შემოუარა მინდორს. საერთოდ არ უვარჯიშია გიორგი ქინქლაძეს. მას შორისის არეში ჩირქოვანი კერები აქვს. შესაძლოა, ქინქლაძეს ქირურგიული ჩარევაც დასჭირდეს — ასეთ შემთხვევაში მისი იტალიასთან თამაში გამორიცხულია, მხოლოდ უოპერაციოდ განკურნების შედეგად მოხერხდება მისი მინდორზე გასვლა, რისი ალბათობაც არც-თუ მცირეა.

და ზაზა ჯანაშია. რომელმაც პარასკევს რუსეთის ჩემპიონატში „ზენიტის“ წინაალმდეგ ერთ ტაიმი ითამაშა და გოლიც გაიტანა, მაგრამ თბილისში ჩამოსვლას ჯერჯერობით არ აპირებს. „ჯანაშიასა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას უშუალოდ მე არ დავლაპარაკებივარ, დავით ყიფიანს აქვს მათთან კონტაქტი. „ლოკომოტივის“ მწვრთნელებს უთქვამთ, ჯანაშიას ზედმეტის წონის პრობლემა აწუხებს და ფსიქოლოგიურადაც მზად არ არის ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდო. ერთი სიტყვით, მოლაპარაკებები მიდის. არა მგონია, ყიფიანსა და იური სიომინს შორის უნდობლობა იყოს“ — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

## საქართველო — იტალია

# ჯანაშიაც ისევ არაა

## კობიაშვილის და ქინქლაძის თამაში სათუოა



**დავით თავართქილაძე**

# დელვეკიო ვიერშეცვლილ იტალიაში

**კვირას** ბარიში, იტალიის ჩემპიონატის 32-ე ტურის მატჩში, მილანის „ინტერი“ რომის „ლაციოს“ „მასპინძლობდა“ და სტეფან დალმას საკმაოდ გვიანი გოლით, ვინ იცის, ჩემპიონებს ეგებ სკუდეტოსთვის ოქროს ქულებიც დააკარგვინა. ჩვენთვის საინტერესო ამბავი კი მატჩის 22-ე წუთზე მოხდა — „ინტერის“ ფორვარდი კრისტიან ვიერი დაშავდა. ვიერი იმ ფეხბურთელთა შორის იყო, რომლებიც იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ საქართველოს ნაკრებთან 2 ივნისის მატჩისთვის შეკრებაზე იხმო.

ვიერის დიაგნოზი ნამატჩევს დაუსვეს – მუხლის მძიმე ტრავმა, შესაძლოა ოპერაციაც კი დასჭირდესო.

ერთი სიტყვით, ოთხი წლის წინანდელისგან განსხვავებით კრისტიან ვიერის ამჯერად თბილისში ვერ ვიხილავთ. ტრაპატონიმაც გამოსავალი უმალ იპოვა: ვიერის „რომას“ თავდამსხმელი მარკო დელვეკიო შეცვლის. დელვეკიოც გუშინ კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე გაფრინდა. „სკუადრა აძურას“ თბილისში რომაული კვარტეტი ეყოლება — დამიანო ტომაზი, ფრანჩესკო ტოტი, ვინჩენცო მონტელა და მარკო დელვეკიო.

**გიორგი გუგაძე**

# ბოლონი შორს წავა

## რუმინელთა მთავარ მწვრთნელს ლისაბონში ელიან

**პორტუგალიური** გაზეთები წერენ, რომ რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლადისლაუ ბოლონი ლისაბონის „სპორტინგის“ წარმომადგენლებს შეხვდა და 7 ივნისიდან, ანუ ლიტველებთან შესარჩევი მატჩის მეორე დღეს ამ კლუბს ჩაიბარებსო.



ლადისლაუ ბოლონი

მოგეხსენებათ, ბოლონის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელთან არცთუ მეგობრული ურთიერთობა აქვს და ეს მას არც თბილისში ყოფნისას დაუმალავს. ჯერ იყო და, იტალიასთან მატჩის მერე გუნდიდან „შტუტგარტის“ თავდამსხმელი იონელ განია მოკვეთა, ახლხან კი „ესპანიოლის“ ნახევარმცველმა კონსტანტინ გალკამ თქვა, მაინც არ მათამაშებს და ნულარც გამომიძახებსო.

თუმც ბოლონის მომხრეებიც არ აკლია, ქართველთა კარში მეორე გოლის გამტანი, „ალავესის“ მცველი კოზმინ კონტრა ამბობს: „ჩვენ მას ვაფასებთ. ბოლონიმ ნაკრებისათვის ბევრი რამ გააკეთა“.

ჯერჯერობით უცნობია ბოლონის წასვლის შემთხვევაში ვინ გახდება რუმინელთა მწვრთნელი. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან მას 2002 წლის ივნისამდე აქვს კონტრაქტი და თუ წავა, სანაცვლოდ 100 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს.

# ვიტელებს რიდი გაუჩნდათ

**გუშინ** ოფიციალურად გაირკვა ინტერტოტოს თასზე „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქის ვინაობა. ვეტერინარებს ავსტრიის ჩემპიონატის მეშვიდე ადგილოსანი „რიდი“ ერგოთ.

საქართველოს აწ უკვე ყოფილი ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯი“ 17 ივნისს „ეროვნულზე“ უმასპინძლებს მოწინააღმდეგეს. 22-ში კი ავსტრიისკენ გზას დაადგება და 24 ივნისს საპასუხო შეხვედრაში შეებრძოლება მეტოქეს.

ვიტელებს ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ წვრთნა არ შეუწყვეტიათ. მართალია, ძირითად ბირთვს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში მიწვეული 8 ფეხბურთელი დროებით გამოაკლდა, მაგრამ ამის გამო საწვრთნელი პროცესი დიდად არ შეცვლილა.

„ვიტ ჯორჯია“ ორი მატჩის ჯამში „რიდის“ დაჯაბნას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ხელმძღვანელობას მეორე ეტაპზე მოხვედრის იმედი აქვს და ინფორმაციებსაც ამის შესაბამისად აგროვებს. ივნისის მეორე ნახევარიც შემდეგ ეტაპზე თამაშისთვის იგეგმება, სადაც გამარჯვებულს მეტოქედ ფრანგული „ტრუა“ ელოდება.

ვიტელთა პრეზიდენტ გურამ რუხაძის განცხადებით, ავსტრიელებთან წარმატების შემთხვევაში „ვიტ ჯორჯია“ საქართველოში აღარ დაბრუნდება. 25 ივნისს ავსტრიიდან საფრანგეთში გადავლენ და „ტრუასთან“ თამაშისთვის იქ მოემზადებიან.

კარგია, როცა გუნდის თითოეული ნაბიჯი ზედმიწევნით იგეგმება, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ჯერ ავსტრიელები დაგვემარცხებინა და ფრანგებზე მერე გვეფიქრა.

**დათო დანელია**

ახალგაზრდულები

# კოპალეიშვილმა სამი დღე უნდა იკმაროს



ვახტანგ კოპალეიშვილი

**გუშინ** ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში პირველად შეკრიბა გუნდი ვახტანგ კოპალეიშვილმა. შეკრების ადგილად ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ნავსაყუდელი იყო დათქმული,

საღამოს ხუთ საათზე ფეხბურთელებმა ნელ-ნელა იწყეს თავშეყრა. პირველები ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალი ნაკრების წევრები იყვნენ. გასარჩევი, რა თქმა უნდა, 26 მაისის „ლოკომოტივ“ — „ტორპედო“ იყო. მალე პირველი ლეგიონერიც გამოჩნდა. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ვლადიმერ კაკაშვილმა თანაგუნდელები მოიკითხა.

მერე რიგის „სკონტოს“ საყრდენი ნახევარმცველი გივი კვარაცხელია გამოჩნდა. რა ხანია, თბილისში არ ვყოფილვარ და რომელს მოგესალმოთ, არც ვიციო. ახალგაზრდული გუნდი იტალიელთა დასახვედრად 6 ლეგიონერით მოემზადება. ზემოთ ნახსენებთა გარდა დღეიდან მწვრთნელთა განკარგულებაში იქნებიან მოსკოვის სპარტაკელი ოთარ ხიზანეიშვილი, რიგის „სკონტოდან“ ლევან კორღალიძე, კიშინიოვის „ზიმბრუდან“ ლევან გვაზავა და ლადო ახალაია.

გუშინვე გაირკვა — ახალგაზრდულიდან ეროვნულში გაიწვიეს ტორპედოელი ვალერი აბრამიძე და ვიტელი ლევან მელქაძე. კოპალეიშვილმაც, რომელსაც ასე თუ ისე დაცვაში შედარებით ნაკლებად უჭირს და აბრამიძის შემცვლელს როგორმე გამონახავს, ერთადერთი ფორვარდის, ქუთაისელი გიორგი იმედაძის ამარა დარჩენა არ ისურვა და ნაკრებში „ვიტ ჯორჯიას“ გიორგი ადამიას უხმო.

ახალგაზრდულ გუნდს კოპალეიშვილის, კუტივაძის და დავით გოგიას თაოსნობით გუშინვე „მცხეთაში“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ამხანაგურად უნდა ეთამაშა, თუმც შუადღის თავსხმამ „არმაზი“ დატბორა და დარჩა ნაკრები უთამაშებელი. ვარჯიში მოგვიანებითაც ვერ მოხერხდა, რადგან ნაკრებისთვის ერთი მოედანი ვერ გამოინახა. არადა, თამაშამდე სამი დღეღა დარჩა.

მწვრთნელები რაღას გააწყობდნენ, ფედერაციის ძველ შენობაში ფეხბურთელებს გაესაუბრნენ და სახლებში გაუშვეს. დღეს ისევ შეიკრიბება გუნდი და შუადღისას საბურთალოზე, „სასტუმრო“ „მონოპოლში“ დაბინავდება. დღეს საღამოსვე ვარჯიშია დაგეგმილი. ალბათ, მოედნის პოვნა ახლა მაინც არ გაძნელდება.

**გამუკა კვანტალიანი**

## ინგლისი

I დივიზიონი
პლეი ოფი. ფინალი

**ბოლტონი 3:0 პრესტონი**

1:0 ფარელი (17), 2:0 რიკეტსი (89), 3:0 გარდნერი (90)

„ბოლტონი“, „ფულემთან“ და „ბლეკბერნ როვერსთან“ ერთად ავიდა პრემიერლიგაში

## ჩეხეთი

თასის ფინალი

**სპარტა 1:2 დ.დ. (1:1) ჩიჩკოვი**

0:1 სტრაჩენი (14), 1:1 იანოშეკი (32), 1:2 ბიკლი (98, ოქროს გოლი)

## ფინეთი

IX ტური

**ჰიკ 2:1 ინტერი**

**ტამპერე 0:2 ჰაკა**

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური კლინიკა



მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29
ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

იყიდება როტვეილერის ლეკვები



☎ 39 42 65
(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)



ენცო გამბარო და ჯანი კარნევალი

# ვიტ ჯორჯია ენცოს ენდო, ჯანი ამირანს

## საქმეში ბრუნო კონტიც გარიეს

**სეზონი** დამთავრდა, ფეხბურთელებს კუთვნილი შვებულება ერგოთ, გუნდების პრეზიდენტები და მწვრთნელები კი უკვე შეუდგნენ სამომავლო სამზადისს. ჩვენი საუკეთესო კლუბები აქედანვე იწყებენ მოსამზადებელ პერიოდზე ზრუნვას, მათ ხომ მალე ევროტურნირების მატჩები ელით. ერთ-ერთი მათგანი „ვიტ ჯორჯიაა“, რომელმაც ინტერტოტოს თასზე უნდა ითამაშოს. თუმც კლუბში სხვა საკითხებიცაა მოსაგვარებელი.

ახლახან „ვიტ ჯორჯიას“ იტალიელი მენეჯერი ენცო [illegible] ეწვია. ის [illegible] სერია A-ს სხ-[illegible], კარიე-[illegible] 1991-92 წლების სეზო-[illegible], თუ[illegible] „[illegible]“ ღირსებას იცა-[illegible] თბილისში ვიზიტი „ვიტ ჯორჯიასთვის“ მთავარი მწვრთნელის ჯანი კარნევალის ხელშეწყობით მოხერხდა. მენეჯერს სტუმრობის მიზეზზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, საუბარში კარნევალიც ჩაერთო.

გამბარო: საქმიანი კონტაქტები იტალიის სერია A და B გუნდების გარდა ევროპის სხვადასხვა კლუბებთანაც მაქვს. ჯანი კარნევალიმ მითხრა, საქართველოში კარგი ფეხბურთელები არიან და ამაზე მუშაობა ნამდვილად ღირსო. ჩემი მიზანია, ისინი ევროპასთან დავაკავშირო.

**— უკვე ასე კარგად იცნობთ ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს?**

**გამბარო:** მე მხოლოდ „ვიტ ჯორჯიას“ ვგულისხმობ. ამ გუნდის თამაში იტალიაში, ნორჩას ტურნირზე ვნახე, საქართველოში კი მის ვარჯიშებს დავესწარი. ვფიქრობ, რომ ამ გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეები ორ-სამ წელიწადში ევროპული დონის ფეხბურთელები გახდებიან. ამაში ჯანი კარნევალის დამსახურებაც იქნება — ის ერთ-ერთი მათგანია, ვინც იტალიიდან ტალანტების აღმოსაჩენად წავიდა.

**— ედიკ საჯაიას სატრანსფერო პერსპექტივებსაც თქვენ უძღვებით?**

**გამბარო:** „დანდიში“ ის ნახეს და მოეწონათ კიდეც, თუმც პრობლემები შეიქმნა — არაევროკავშირის ქვეყნების ფეხბურთელთა რაოდენობა შოტლანდიურ კლუბებში ხომ ლიმიტირებულია, თანაც საჯაიას ეროვნულ ნაკრებში იმდენი მატჩი არ ჩაუტარებია, რამდენიც საჭიროა. ახლა ვცდილობთ, გამოსავალი ვიპოვოთ. „დანდის“ მენეჯერი სულ მირეკავს და მთხოვს, საჯაია კვლავ ჩამოგვიყვანეთ და იქნებ სხვა ქართველი ფეხბურთელებიც შეგვირჩიოთო.

**— საჯაიას „პერუჯაში“ გადასვლაზეც ხომ იყო ლაპარაკი?**

**გამბარო:** დიახ, შესაძლოა, ერთ-ორ კვირაში ის მართლაც „პერუჯაში“ აღმოჩნდეს. თუმც არ არის გამორიცხული, სხვა გუნდში ამოყოს თავი, მათ შორის არაიტალიურშიც. ისე კი, ფავორიტი „დანდია“.

**— „ვიტ ჯორჯიას“ სხვა ფეხბურთელების შესაძლო ტრანსფერებზე რას გვეტყვით, საჯაიას გარდა სხვა საინტერესო მოთამაშეებიც ხომ არიან — მელქაძე, გოგობერიშვილი, ყიფიანი...**

**კარნევალი:** მათ სამომავლო ტრანსფერებზეც ვმუშაობთ. აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც ახლავე გავასხვისოთ ეს ფეხბურთელები. კონკრეტულად კი „ვიტ ჯორჯია 2“-ისა და საქართველოს 17-წლამდელთა ფორვარდ ამირან იაშვილზე გეტყვით — მას ათი დღით „რომას“ ახალგაზრდულ გუნდში მივიყვან და ვნახოთ, როგორ მოაწონებს თავს რომაელებს. „რომას“ ახალგაზრდულ გუნდზე ბრუნო კონტია პასუხისმგებელი და ბოლო სიტყვაც მასზე იქნება.

**— აქცენტი უფრო „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდებზე გადაგაქვთ?**

**კარნევალი:** გუნდის წამყვან ფეხბურთელებს, გოგობერიშვილს, მელქაძესა და ყიფიანს, საქართველოში კარგად იცნობენ. ჩვენ გვსურს, ნაკლებად ცნობილ მოთამაშეებსაც მივაქციოთ ყურადღება და ევროპაში გავიყვანოთ.

**გამბარო:** 18-19 წლის ფეხბურთელი მზადაა, ევროპაში თავი წარმოაჩინოს. რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიას“ წამყვან მოთამაშეებსაც ვაკვირდები, მაგრამ უფრო მათზე ახალგაზრდები მაინტერესებს, რათა მათი ევროპაში გაყვანა შევძლო. ეს ჩემთვისაც მომგებიანია და „ვიტ ჯორჯიასთვისაც“. თანაც, იტალიაში არაევროკავშირელებზე შეზღუდვა გაუქმდა.

**— საქართველოში მხოლოდ „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდებს აკვირდებით?**

**გამბარო:** ამ ეტაპზე კი, მერე ვნახოთ, თუ ორმხრივი დაინტერესება გაჩნდება, სხვა ქართულ კლუბებთანაც სიამოვნებით ვითანამშრომლებ.

**— გუნდს ინტერტოტოზე თამაში ელის. საჯაიას გარდა ამ ტურნირზე „ვიტ ჯორჯიას“ არავინ მოაკლდება?**

**კარნევალი:** დიდი შანსია, მელქაძე, გოგობერიშვილი და ყიფიანი ევროპის გუნდებში გავუშვათ. მაგრამ არ ვიჩქარებთ, აგვისტო-სექტემბრამდე დრო გვაქვს.

**გამბარო:** სატრანსფერო სეზონი იტალიაში ივლისის ბოლოსთვის გახურდება. ასე რომ, შეიძლება ამ ფეხბურთელებმა „ვიტ ჯორჯიას“ რიგებში ინტერტოტოზე თამაში მოასწრონ.

**— თუ ეს ფეხბურთელები „ვიტ ჯორჯიას“ დატოვებენ, გამოდის, გუნდი მომდევნო სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვეღარ იბრძოლებს.**

**კარნევალი:** სხვა გუნდიდან, ალბათ, მხოლოდ ერთ ფეხბურთელს დავიმატებთ, დანარჩენებს კი „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდული გუნდიდან მოვიწვევ. მე ჩემი სამუშაო პროგრამა უკვე შევიმუშავე, კლუბის პრეზიდენტს წარვუდგინე და ისიც დამთანხმდა. ამ პროგრამის განხორციელებას ორი-სამი წელი მოვუნდებით, შესაძლოა ოთხიც.

**გამბარო:** მე ვნახე „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდა ფეხბურთელები. ამ 18-19 წლის მოთამაშეებს დღესვე შეუძლიათ პირველ გუნდში თამაში. საქმისადმი ასეთი მიდგომა თანამედროვეა და გონივრული.

**— საქართველო — იტალიის ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების მატჩები თქვენთვის, როგორც საქართველოსთან დაკავშირებული მენეჯერისთვის, ალბათ, ცოტას არ ნიშნავს...**

**გამბარო:** ცხადია, მაგრამ აქ შედეგს არ ვგულისხმობ. მთავარია, ქართველებმა კარგად ითამაშონ. იტალიაში თქვენს ფეხბურთელებს აღმოსავლეთის ბრაზილიელებსაც კი უწოდებენ.

**— კახა კალაძის შემდეგ იტალიის სატრანსფერო ბაზარზე თუ იჩენენ დაინტერესებას სხვა ქართველი ფეხბურთელებით?**

**გამბარო:** იტალიის სატრანსფერო ბაზარი მეტად სპეციფიკურია. კალაძის „მილანში“ ტრანსფერი თქვენი ფეხბურთელების კარგ რეპუტაციაზე კი მიუთითებს, მაგრამ ამ დროისთვის ბაზარზე მხოლოდ ერთი ქართველით არიან დაინტერესებულნი — „აიაქსში“ მოთამაშე არველაძით.

**დავით თავართქილაძე**

---

**საქართველოს ჩემპიონატი**
**უმაღლესი ლიგა**
**მეორე ეტაპი**

12

გადათამაშება

# ღამე ამერს, დილა იმერს

თბილისი
27 მაისი
18 საათი
შევარდენი
1800 (ტევადობა 2 000)

**დილა 0:2 სამგურალი**

0:1 კიკვიძე (11), 0:2 ლონლაძე (89პ)

**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ხ. გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია, საყვარელიძე (დ. მაისურაძე 46), რევაზიშვილი, თაყაძე (ა. ბოკერია 67), ხორგუაშვილი, ეჯოშვილი
სათადარიგონი: ილურიძე, ფეხუაშვილი, გ. ლომიძე, მ. ბურნაძე, გოგინაშვილი

**სამგურალი:** ბოდოკია, ლ. ქობულაძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი, ბერაძე, დარსაძე, თურმანიძე, ლონლაძე, მ. ჯინჭარაძე (კოპალიანი 71), კიკვიძე, ქუთათელაძე (კვერნაძე 77)
სათადარიგონი: ვარდანიძე, შ. ფუტკარაძე, დ. ჯიქია, თირქია

**გაფრთხილება:** ფრანგიშვილი (27), ბერაძე (33), ბოდოკია (37), საყვარელიძე (39), ხაჭაპურიძე (52), აკოფიანი (67), თურმანიძე (79), მაისურაძე (88)

**გაძევება:** ჭელიძე (90), აკოფიანი (90), თურმანიძე (94), მაისურაძე (96)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

| | | |
|---|---|---|
| 21 | ჯარიმა | 30 |
| 9 | კუთხური | 3 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 5 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | ოფსაიდი | 8 |

**პაატა კვანტალიანი**



გიორგი რევაზიშვილმა (№14) და ბესიკ ბერაძემ ლიგები გაცვალეს: უმაღლესი სამგურალს დარჩა

**გორის „დილა“**, ეროვნული ჩემპიონატის დაარსების დღიდან უმაღლესი ლიგის უცვლელი ბინადარი კვირას „შევარდენზე“ შერცხვა — პირველ ლიგაში ჩაქვეითდა. ქართლელებს წირვა იმერლებმა გამოუყვანეს. წყალტუბოს „სამგურალმა“ სენსაცია გამოაცხო და ერთი წლის წინ დაკარგული ადგილი დამსახურებულად დაიბრუნა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ დღეს უკვე ხუთი გუნდია ისეთი, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში უცვლელადასპარეზობს: „დინამო“, „კოლხეთი“, „ბათუმი“, „ტორპედო“ და „გორდა“. ერთი შეხედვით მათ რიგებში უნდა ყოფილიყვნენ გორელებიც, მაგრამ „დილას“ დაუღამდა.

რა დასამალია და მატჩის წინ ქართლელებს ბევრი უმაღლეს ლიგაში დარჩენას უწინასწარმეტყველებდა. „გორელებს ვინ გააგდებს...“, „ფედერაცია ამას არ დაუშვებს...“ „დილა საჭიროა უმაღლეს ლიგაში...“ — მრავლად იყო მატჩამდე ასეთი ხმები და საერთო ჯამში ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა ქართლელებზე. თავდაჯერებული და მოდუნებული შეხვდა ივანე თაყაძის გუნდი პრინციპულ მატჩს და სამაგალითოდაც დაისაჯა. „სამგურალმა“ აუღელვებლად, მიზანმიმართულად აკეთა საქმე, ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრა მეტოქე. ის კი არა, მრავლისმნახველი გორელი ქომაგების გულიც მოიგო და 99-წუთიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ ალალად გაიხარა. სწორედ ამდენ ხანს გასტანა შეხვედრამ. უჩვეულო იყო ისიც, რომ ალექსანდრე შილაკაძემ, რომელმაც ჯამში პროფესიულად მოიხადა თავისი ვალი, რვა ფეხბურთელი გააფრთხილა და ოთხი გასახდელის გზას გაუყენა.

„დილას“ ქაოსური, მოშვებული, უჯიგრო თამაშის ფონზე მაინც მოულოდნელი იყო იმერთა გააზრებული მოქმედება მთელ მოედანზე. მოკლე, გამოზომილმა პასებმა, მჭიდრო პრესინგმა, მეტოქისთვის ბურთის კოლექტიურმაართმევებმა, სწრაფმა იერიშებმა უკვე მე-11 წუთზევე მოუტანეს ხეირი წყალტუბოელებს.

კიკვიძემ ხაჭაპურიძის შეცდომით ისარგებლა და ქუთათელაძის გამჭოლი პასის შემდეგ სოლოლაშვილს შანსი არ დაუტოვა — ახლო კუთხეში გაუტანა ათიოდე მეტრიდან.

„დილა“ კარგა ხანს ვერ მოეგო გონს. გარდამტეხი 30-ე წუთზე შექმნილი მომენტი აღმოჩნდა. მეკარის კარიდან ჩაკიდულს ეჯოშვილის თავური მოჰყვა და ბოდოკიამ სასწაულებრივ შეძლო ბურთის დამორჩილება. მომდევნო ხუთ წუთში გორელებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ორივე ეპიზოდში ჩინებულად გაისარჯა წყალტუბოელთა მეკარე. ჯერ ხორგუაშვილს არ დაანება გატანა, შემდეგ კი პირისპირ შეყრილ თაყაძის ძლიერად დარტყმული ბურთი თითებით კუთხურზე გადააგდო. ეს იყო და ეს, „დილას“ პირველ ტაიმში ღირებული არაფერი გაუკეთებია, სანაცვლოდ მათ მეტოქეს შეეძლო, ულამაზესი გოლი გაეტანა 43-ე წუთზე, როცა ჭელიძის ჯარიმიდან საჯარიმოსკენ ჩაწვდილს ტანმორჩილი ქუთათელაძე დაუხვდა და ერთი შეხებით მკერდით ბურთი ლონლაძეს დაუგდო. ამანაც შეუჩერებლივ გაისროლა და სოლოლაშვილმა ძელთან ჩავლილ ბურთს თვალიღა გააყოლა.

მეორე ტაიმში „დილა“ მეტოქის კარს მიაწყდა, თუმც „სამგურალი“ მწყობრად, უშეცდომოდ იცავდა თავს და ფაქტობრივად გათანაბრების შანსიც კი არ მისცა გავეშებულ მოწინააღმდეგეს. გორელთაგან საუკეთესო რევაზიშვილისა და ხორგუაშვილის მცდელობებს მათი გუნდისთვის სასიკეთო არაფერი მოჰყოლია. ის კი არა, კონტრშეტევებზე „სამგურალს“ რამდენჯერმე შეეძლო ანგარიშის გაზრდა.

დროის გასვლასთან ერთად დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. შილაკაძის მიერ დამატებული ოთხი წუთი მცირე შეხლა-შემოხლის და მატჩის შეჩერების გამო, ცხრამდე გაიზარდა. არბიტრმა აკოფიანი და ჭელიძე ერთმანეთში კინკლაობისთვის გაუყენა გასახდელის გზას, თურმანიძეს დროის გაყვანისთვის აუნთო წითელი. დავით მაისურაძის საქმეს კი უთუოდ განიხილავს სადისციპლინო კომიტეტი. მსაჯის გინებისთვის გაძევებულმა მაისურაძემ მოთმინებიდან გამოიყვანა შილაკაძე და უჩვეულო რამ მოხდა, ფეხბურთელისკენ გაწეული მსაჯი გახდა სხვათა დასაშოშმინებელი.

ამ ეპიზოდამდე „სამგურალს“ მოთავებული ჰქონდა საქმე. 89-ე წუთზე შეცვლაზე შესული კვერნაძე კიკვიძის პასის შემდეგ სოლოლაშვილთან პირისპირ დარჩა, მეკარემ დუელი კი მოიგო, მაგრამ მაისურაძემ გაწბილებული წყალტუბოელი საჯარიმოში ხელის კვრით დასცა... ლონლაძემ უნაკლოდ შეასრულა პენალტი.



ერთწლიანი შესვენების შემდეგ „სამგურალი“ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა




მურთაზ შელიამ ზურაბ იონანიძე „განაიარაღა“




დავით ჭიჭველიშვილმა (№8), მურთაზ შელიამ (№13) და გიორგი ლომაიამ ვახტანგ ხვადაგიანის (№24) იერიში მოიგერიეს

**თბილისი**
**26 მაისი**
**18.30 საათი**
**ლოკომოტივი**
**33 000 (ტევადობა 35 000)**

**ლოკომოტივი 3:4 ტორპედო**

1:0 სალუქვაძე, 1:1 ახათიანი, 1:1 ბალაშვილი (ხარიხა), 1:2 იონანიძე, 2:2 შენგელია, 2:3 აშვეთია, 2:3 ჭიჭვეიშვილი (ააცილა), 2:3 ჯინჭარაძე (მეკარე), 3:3 დათვაძე, 3:3 კვეტენაძე (ააცილა), 3:3 გილაური (მეკარე), 3:4 სილაგაძე

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, შელია, ბაქრაძე, ონიანი, ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, გილაური, გოგიჩაიშვილი (დათვაძე 8), კაიდარაშვილი (გ. შენგელია 91)

სათადარიგონი: ახალაძე, პარამონოვი, მანჟარაული, გოგნაძე

**ტორპედო:** ზოიძე (ტოგონიძე 120), აბრამიძე, სილაგაძე, ხვადაგიანი, თოდუა, ქემოკლიძე, დიდავა (ჯინჭარაძე 73), კვეტენაძე, იონანიძე, ჯანაშია (ახათიანი 56), აშვეთია

სათადარიგონი: მახვილაძე, გუჩუა, იმედაძე, ბობოხიძე

**გაფრთხილება:** ბალაშვილი (19), ლომაია (61), ანჩაბაძე (66), ჭიჭვეიშვილი (80), ქემოკლიძე (83), სილაგაძე (88)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**საქართველოს თასის ფინალი**

# თვალისმომჭრელი მატჩი

## თასის გადატანით და პირდაპირი მნიშვნელობით

**კობა ინასარიძე**

11 **წელიწადია,** საქართველოში კომუნისტური რეჟიმი გადავარდნილია, მაგრამ, ეტყობა, მთლად ასეც არ არის. ამას ვამბობ და ალბათ იმ ხალხის უმეტესობაც დამეთანხმება, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ვაკეში ახალი სტადიონის გახსნასა და მოგვიანებით ქვეყნის თასის ფინალს რომ დაესწრო.

დაახლოებით საათნახევარი, რომელიც „ლოკომოტივის“ საზეიმოდ გახსნას დასჭირდა, კაცს თავი საშვიდნოემბრო პარადზე ეგონებოდა. ერთი ხანსა წითელი ალმებით არ ჩამოუვლიათ მოედნის გარშემო დემონსტრანტებს, თორემ თითქმის სხვა ყველაფერი კომუნისტური ეპოქისა იყო, პათოსით ალსავსე მისასალმებელი სიტყვებით დაწყებული, ერთფეროვანი სანახაობებით დამთავრებული. იყო პარლამენტარ-მინისტრთა მეგობრული მატჩიც, რომელმაც ფინალი 30 წუთით დააგვიანა.

თუმც ეს და სხვა უხერხულობანი, აბა, რა მოსატანია უმთავრესთან: წარმავალი წავა, მართლაც კოხტა სტადიონი კი დარჩება და ამშენებელს მადლიერებით მოიხსენიებენ.

ოთხტაიმიანი თასის ფინალი ისეთივე მოსაწყენი გახლდათ, როგორიც ზემოთ ნახსენები საათნახევარი და ბოლო ორი წლის სათასო ფინალებივით უგოლო.

შარშანწინ „ტორპედო“ — „სამგურალის“ უგოლო 120 წუთი, შარშან კი „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“. ამჯერადაც ამ ორმა უწია ფინალს და სათამაშო დრო ისევ მშვიდობიანი ანგარიშით ჩამთავრდა.

„ლოკომოტივს“ მატჩამდე ორი დიდი პრობლემა შეექმნა. ფინალის წინა დღეს კახა ცხადაძეს კუნთი გაუწყდა და თამაში ვერ შეძლო. მატჩამდე დაშავდა კახა გოგიჩაიშვილიც, რომელმაც შეხვედრა კი დაიწყო, მაგრამ გაგრძელება ველარ შეძლო და რვა წუთში შესაცვლელი გახდა.

და მიუხედავად ცხადაძის ტრავმისა, „ლოკომოტივმა“ მაინც სამი მცველით ითამაშა. სალუქვაძე — ბაქრაძე — შელიას ფლანგელი ჰავბეკები ონიანი და გილაური, საყრდენები — ბალაშვილი და ჭიჭვეიშვილიც ეხმარებოდნენ.

ანჩაბაძე, როგორც ყოველთვის, გამთამაშებელი იყო, თუმც უწინდლისგან განსხვავებით, ერთი-ორი მწვავე პასის გარდა, თავი ვერაფრით გამოიჩინა. სამაგიეროდ, აქტიურობდა გოგიჩაიშვილის შემცვლელი დათვაძე, რომელმაც შეუქმნა კიდეც ყველაზე მეტი ხიფათი „ტორპედოს“. ინერტულად თამაშობდა „ლოკომოტივის“ ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი კაიდარაშვილი, თუმც მოედანზე მისი ყოფნა უკვე საქმე იყო, სტუმართა ორი მცველი არ შორდებოდა.

„ტორპედომ“ ამჯერად მხოლოდ ყიფიანის მწვრთნელობისას მრავალნაცად ტაქტიკურ სქემას 3-5-2-ს 4-3-3 აჯობინა. ქემოკლიძე და დიდავა ამპლუით მცველები კი არიან, მაგრამ ბოლო დროს ნახევარდაცვაში საყრდენებად თამაშობენ და, ძოძუაშვილის თქმით, სათამაშო სტილს იცვლიან. „ტორპედოში“ გამთამაშებელი და ყველაზე მწვავედ მოთამაშე კვეტენაძე იყო, თავდასხმაში კი ოდნავ ფლანგისკენ გაწეულ ჯანაშიასა და აშვეთიას იონანიძე უმაგრებდა ზურგს. დაცვაში აბრამიძე — სილაგაძე — ხვადაგიანი — თოდუა. პირველ ტაიმში აბრამიძე, ეტყობა, ნამეტანს ნერვიულობდა და პოზიციურად ხშირად ცდებოდა, თუმც „ლოკომოტივმა“ ამით ვერ იხეირა, აბრამიძეს სილაგაძე დროულად აზღვევდა ხოლმე და მაინცდამაინც ვერც თავად რკინიგზელები ყოჩაღობდნენ.

მატჩში პირველი მომენტი, „ლოკომოტივის“ მცირე უპირატესობის მიუხედავად, „ტორპედომ“ შექმნა. 21-ე წუთზე მანამდე ჩრდილში მყოფმა აშვეთიამ სისწრაფეში დაჯაბნა სალუქვაძე და ლომაიას ახლოდან მეტად უხერხულად დაურტყა. გუნდი მეკარემ ფეხით გადაარჩინა, ბურთი კუთხურზე მოიგერია. მერე უკვე „ლოკომოტივს“ ჰქონდა ჩინებული საგოლე შანსი, მაგრამ ონიანმა, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე თოდუა მოიტოვა და საჯარიმოში შეიჭრა, იმის ნაცვლად, პასი ეულად მყოფ კაიდარაშვილისთვის გადაეწოდებინა, დარტყმა ამჯობინა და რეალური მომენტი ქარს გაატანა.

„ტორპედო“ ჭკვიანურად თამაშობდა, მეტოქეს თავისკენ იტყუებდა, ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას აძლევდა, მერე კი მოკლე პასებითა და ბურთის დაუყოვნებლად თავად უტევდა. ძირითადი დროის მესამედი რომ მიილია, მათ მეორე ჩინებული შანსიც გაუცუდდათ. გამოცდილმა შელიამ იყო-




იწ უჩვეულო და ამად საამაყო: სტადიონი ახალი და სავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩალა, კარიდან ორ მეტრში იონანიძეს შეებრძოლა, თორემ ვინ იცის, ეგებ ერთი გოლი მაინც გვეხილა.

„ლოკომოტივის" უპირატესობა ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ „ტორპედო" შეგნებულად იტყუებდა თავისკენ რკინიგზელებს. მეორე ტაიმში თამაში განსხვავებულად გაგრძელდა. ჯანაშია, რომელსაც თავისი კოზირის — სისწრაფის გამოყენების საშუალება არ მისცეს, მწვრთნელებმა ასათიანით შეცვალეს და გუნდის ნახევარდაცვაც უფრო მოლონიერდა.

„ლოკომოტივის" კართან ხიფათმაც იმატა. აშვეთიაც რამდენი ბურთს მიიღებდა, იმდენს ანერვიულებდა ლომაიას, თუმც ბურთი ისეც ვერ შეაგდო. განსაკუთრებით სახიფათო მისი თავური გახლდათ, მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე — ჯინჭარაძის ჩაწოდებულის შემდეგ ქუთაისელმა ფორვარდმა რომ დაარტყა, ბურთმა ლომაიასგან შორეულ ძელთან ახლოს ჩაიფრინა. „ლოკომოტივი" კი მთელი მეორე ტაიმი თავს იცავდა, მეტოქის ნახევარზეც იშვიათად გადადიოდა, რკინიგზელებს აშკარად დაღლა დაეტყოთ.

გაძლეს, გაძლეს სტადიონის მასპინძლებმა და დამატებით დროც დაინიშნა. ნოდიამ კაიდარაშვილს სწრაფი შენგელია ამჯობინა, თუმც ამით არაფერი მოუგია. წინ ეულად დარჩენილ შენგელიას დამხმარე არავინ ჰყავდა. ისიც, ოთხ-ხუთ ტორპედოელს შუა მოქცეული, ღირებულს ვერაფერს აკეთებდა.

დამატებით დროში „ლოკომოტივი" ორჯერაც გადარჩა. ერთხელ 111-ე წუთზე, როცა აშვეთიას საჯარიმოში დაგორებულ ბურთს ასათიანმა ლონივრად დაჰკრა და გუნდს ბაქრაძის დაფარებულმა ფეხმა უშველა, მეორედ კი მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე. კვეტენაძის მარჯვნიდან ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ბურთს ფეხი ჯინჭარაძემ შეაგება, ლომაია ბურთს ვერ შესწვდა და „ლოკომოტივიც" სასწაულად გადარჩა — ბურთი ძელის ძირში დაეცა და დამმატებელიც არავინ იყო.

დამთავრდა დამატებითი დროც და, როგორც ბოლო ორ თასის ფინალში, გამარჯვებული ახლაც პენალტებით უნდა გამოვლენილიყო.

პირველი „ლოკომოტივი" ურტყამს — სალუქვაძე. რკინიგზელები დაწინაურდნენ. ასათიანმა გაათანაბრა. მერე ბალაშვილის ჯერია, მძლავრად დაარტყა და ხარიხა შეაზანზარა. იონანიძე მეკარეს ერთ კუთხეში ახტუნებს, ბურთს მეორეში ურტყამს — 1:2. შენგელიამაც იონანიძის მსგავსად დაარტყა და გაიტანა, ანგარიში ისევ თანაბარია, ოღონდ „ტორპედოს" ნაკლები პენალტი აქვს დარტყმული. აშვეთია გუნდს ისევ აწინაურებს. სამ-სამი დარტყმა და „ტორპედო" 3:2-ს იგებს. ბურთს ჭიჭვეიშვილი მიუახლოვდა, სამი წლის წინ „დინამოსთან" „ბათუმისთვის" ოქროს გოლის გამტანი. გაქანდა ბურთისკენ ლოკომოტიველი და კარს ააცილა. მსაჯი მალაღურაძე აიჭრა, სათვალავი აერია, ხელები ალმართა და „ტორპედოს" ნაადრევად მოაგებინა. ქუთაისელებსაც ეგონათ, უკვე გავიმარჯვეთო, თუმც მათ ორი, „ლოკომოტივს" კი ერთი პენალტი დასარტყმელი დარჩენოდათ. ყველაფერი ინსპექტორმა მილჩენკომ მოაგვარა, მსაჯს ანგარიში გაუსწორა და სამ-ოთხ წუთიანი პაუზის შემდეგ ბურთთან ჯინჭარაძე მივიდა. ლომაიამ იყოჩაღა, სხვაობა უცვლელი დარჩა. მეხუთე პენალტი დათვაძემ დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა. „ტორპედოს" ჯერია. გაიტანს კვეტენაძე? თასი „ტორპედოსი" იქნება. არადა სერია პირველ გაცუდებულ პენალტამდე გაგრძელდება. კვეტენაძის დარტყმული კარს ასცდა. ხუთ-ხუთი პენალტის მერე ბურთი პირველმა გილაურმა გაისწორა და ზოიძის თხოვნით 120-ე წუთზე მისი შემცვლელი ტოგონიძეც ბურთს პირველად შეეხო — გილაურის მარცხნივ დარტყმული მოიგერია. ისევ 3:3. და საბედისწერო მომენტი — სილაგაძემ დაარტყა და... თასი ქუთაისელებმა მეორედ ჩაიბარეს. მაისურები კი ქომაგებს უსახსოვრეს. ესეც ქუთაისური დუბლი, „ტორპედომ" იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული არ გააწბილა, თავად ქვეყნის პრეზიდენტმა კი ახალგახსნილი სტადიონი ფინალური მატჩის დაწყებისთანავე დატოვა. შაბათის თამაშით თასი „ტორპედოზე" მართლაც ალალი იყო. მათ მეტოქე დაჯაბნეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. „ლოკომოტივს" კი ახალი სტადიონის პატრონობაღა დარჩა.


ნიკოლოზ ტოგონიძემ ბურთიც აიღო და თასიც

## მატჩის შემდეგ

***რევაზ ძოძუაშვილი, „ტორპედოს" მწვრთნელთაგანი:***

— როგორც ასეთ ჩინებულ სტადიონს შეეფერებოდა, თამაშიც ისეთივე იყო. „ლოკომოტივში" ცხადაძეს რომ ეთამაშა და გოგიჩაიშვილი ხუთ წუთში შესაცვლელი არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა თამაში იქნებოდა და ერთიორად გაგვიჭირდებოდა. ბიჭებზე ფსიქოლოგიურად ხალხით სავსე სტადიონმაც იმოქმედა, გადაჭედილი ტრიბუნების წინ ბევრმა პირველად ითამაშა. კარგი იქნება, თუ სათადარიგოთა სკამს დასავლეთ ტრიბუნისკენ გადაიტანენ, თორემ დღეს ნახევარი თამაში არც მინახავს, მზე თვალს მჭრიდა.

***დავით ყიფიანი, „ტორპედოს" მწვრთნელთაგანი:***

— როცა ფეხბურთელი საგოლე მომენტს ვერ იყენებს, უნდა შეცვალო. ამიტომაც ვამჯობინე ჯანაშიას ასათიანი. თანაც ეს ფსიქოლოგიური მომენტიც იყო. ჩემპიონატის მატჩში, როცა „ლოკომოტივს" 2:0 მოვუგეთ, ასათიანმა მაშინაც შეცვლაზე ითამაშა და ორივე გოლი მან გაიტანა. ასათიანის მოედანზე შესვლის შემდეგ აშვეთიაც გააქტიურდა და ჩვენი შეტევებიც მნიშვნელოვნად გამწვავდა.

***გივი ნოდია, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:***

— ვულოცავ „ტორპედოს" დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენ დღეს ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინეთ, მაგრამ რას იზამ, ასეთია ფეხბურთი. გოგიჩაიშვილის მატჩის დასაწყისშივე შეცვლამ, რა თქმა უნდა, ჩვენს თამაშზე ნაწილობრივ იმოქმედა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ამას არ ჰქონია. არც გაგვირისკავს: შანსი იყო, გოგიჩაიშვილი ფეხს არ შეეწუხებინა და უფრო მეტხანს ეთამაშა.


ქუთაისელი მიხეილ აშვეთია (მარცხნივ) და ლაშა სალუქვაძე



საქართველოს თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო"

## იტალია

### XXXII ტური

**რომა 1:1 მილანი**

0:1 კოკო (45), 1:1 მონტელა (62)
რომა: ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, ასუნსაო (კ. ძანეტი 75), კანდელა, ტოტი (ნაკატა 90), ბატისტუტა, დელვეკიო (მონტელა 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მილანი: როსი, ჰელვეგი, როკე ჟუნიორი, მალდინი, კოკო, გულიელმინპიეტრო (შამოტი 79), სერჯინიო, კალაძე, ჯუნტი, შევჩენკო (ლეონარდო 90), კომანდინი (პაბლო გარსია 69)
მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი
გაფრთხილება: ჯუნტი, კალაძე, მონტელა, ბატისტუტა, მალდინი, სამუელი, სერჯინიო
გაძევება: კანდელა (69), კალაძე (69), სერჯინიო (66)
71 407 მაყურებელი

**ინტერი 1:1 ლაციო**

0:1 კრესპო (41), 1:1 დალმა (90)
ინტერი: ბალოტა, ჩირილო, ბლანი, ფერარი, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (კოე 53), იუგოვიჩი, დალმა, სერენა, ვიერი (ჰაქან შუქური 22), ფერანტე (რეკობა 63)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, პობორსკი (სტანკოვიჩი 79), დ. ბაჯო, სიმეონე, ხ. ვერონი, კრესპო, კლაუდიო ლოპესი (სალასი 58)
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, სალასი, კოე, პანკარო
12 917 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 პერუჯა**

1:0 ტრეზეგე (55)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, იულიანო, მონტერო, ატირსონი (ბრიგი 79), ძამბროტა, ტაკინარდი, პესოტო, ზიდანი (ონილი 66), დელ პიერო (ფ. ინძაგი 86), ტრეზეგე
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორეტო, ბლაზი (საუდატი 66), ლივერანი, პარიზი (გატი 76), გინაზუ (რობიატი 79), პიერი, ანი, ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: მაცანტინი, ლივერანი, ონილი
20 000 მაყურებელი

**ლეჩე 1:2 პარმა**

1:0 ვიალი (57), 1:1 მილოშევიჩი (62), 1:2 მბომა (81)
ლეჩე: კიმენტი, დაინელი (მალუსკი 71), ვიალი, სავინო, ჯორჯეტი, პიანჯერელი (ოსორიო 86), ინგესონი, ტონეტო (ვუგრინეცი 80), კოლონელო, კონტიკიო, ლუკარელი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, ფ. კანავარო, სარტორი, ლამუში, აპია, ჟუნიორი, მიკუ, მილოშევიჩი (დი ვაიო 76), მბომა
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: პიანჯერელი, მბომა, მილოშევიჩი, კიმენტი
გაძევება: ლუკარელი (62)
22 716 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:1 ატალანტა**

1:0 ნუნო გომეში (13), 1:1 დონი (20პ)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, ბრესანი (მიატოვიჩი 78), კ. ამორუზო, დი ლივიო, ვანოლი (მარკო როსი 70), რუი კოშტა, კიეზა, ნუნო გომეში (მორეტი 58)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, რუსტიკო, კარერა, ძაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, ბერეტა, დონი, მორფეო, ვენტოლა (როსინი 70)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ბრესანი
30 000 მაყურებელი

**უდინეზე 0:0 ნაპოლი**

უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო (ჟენო 73), ჯანიკედა, ფიორე, დიასი, იორგენსენი (ელგერა 80), სოზა (იაკინტა 80), მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ნაპოლი: მანჩინი, ბალდინი, ფრეზი, კიროვგა, პეკია (იანკულოვსკი 89), მაგონი, ბაჩინი, ხუსაინი, ბოკეტი (მატუზალემი 68), ედმუნდო, ნ. ამორუზო (ამაური 62)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ხუსაინი, მაგონი, ბოკეტი
15 000 მაყურებელი

# 73 ძალიან ბევრია




იუვენტუსი — პერუჯა. ტურინელებმა დავიდ ტრეზეგეს კინკილა გოლით იმარჯვეს

**ვერონა 5:4 ბოლონია**

0:1 ოლივე (2), 1:1 სალვეტი (3), 2:1 ადაილტონი (37), 3:1 ფალკონე (42ს.კ.), 4:1 სალვეტი (48), 4:2 ჩიპრიანი (60), 5:2 ოდო (72პ), 5:3, 5:4 სინიორი (78, 90)
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, აპოლონი, სერიჩი, კამორანეზი, იტალიანო (ჯ. კოლუჩი 64), ლ. კოლუჩი, სალვეტი, ადაილტონი (გონელა 57), ბონაცოლი (მუტუ 75)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პადალინო, გამბერინი, ნერვო, ოლივე, მარესკა (ლიმა 70), ვომე, ლოკატელი (ოლივეირა 45), სინიორი, ჩიპრიანი (ხულიო კრუზი 70)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: გამბერინი, სერიჩი, კამორანეზი, ოლივეირა
გაძევება: აპოლონი (57), ლიმა (90)
12 939 მაყურებელი

**ბრეშა 2:1 ვიჩენცა**

1:0 ჰუბნერი (10პ), 2:0 ბაჯინი (44), 2:1 კომოტო (85)
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი (გალი 85), კალორი, ბონერა, დიანა (კ. ფილიპინი 81), ა. ფილიპინი, ბიზოლი, ე. ფილიპინი, ბაჯინი, რ. ბაჯო, ჰუბნერი (ტარე 72)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ვიჩენცა: სტერკელე, კარდონე, ძანკა, ტომაზი, სომეზე (კომოტო 60), კროვარი, დაბო, დალ კანტო (ბეგეტო 46), ძაული, მ. ქამოზიტო (ტომიჩი 57), კალონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
გაფრთხილება: კროვარი, ძაული, დალ კანტო, კომოტო, ბაჯინი, ძაული
გაძევება: ძაული (10)
17 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:0 ბარი**

1:0 ვარგასი (60)
რეჯინა: ტაიბი (ბელარდი 90), ჟირანეკი, ვარგასი, სტოვინი, ვიკარი, ბერნინი (ოშადოგანი 84), მამედე, კოცა, მორაბიტო, მარაცინა (და კოშტა 73), დიონიჯი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ბარი: ნარჩიზო, ნეჭროიზი, მაცარელი, სიბილანი, ინგრისო, ანდერსონი, ვალდესი (პეროტა 34), საიდი, დელ გროსო (ანაკლერიო 73), სპინესი, ოსმანოვსკი (მოჯი 46)
მწვრთნელი: ლელო შანიმანიკო
გაფრთხილება: ვიკარი, ბერნინი, საიდი
22 500 მაყურებელი

**ვინაიდან** რა რადგანაც „რომამ“ მშობლიურ „სტადიო ოლიმპიკოზე“ „მილანი“ ვერ დაამარცხა, ხოლო იმავდროულად „იუვენტუსმა“ შინ სძლია „პერუჯას“, „ლაციომ“ კი სტუმრად „ინტერთან“ ფრედ ითამაშა, ბრძოლა სკუდეტოსთვის გრძელდება. ახლა, ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურია დარჩენილი. „რომა“ „იუვენტუსი“ ოთხი ქულით უსწრებს, ხოლო „ლაციოს“ ხუთით.

ცხადია, ასეთ პირობებში ჩნდება კითხვა: ვისთან დარჩათ ჩამოთვლილ გუნდებს სათამაშო? მოგახსენებთ: „რომა“ ჯერ სტუმრობს „ნაპოლის“, ხოლო შემდეგ მასპინძლობს „პარმას“; „იუვენტუსი“ ჯერ მიდის ვიჩენცაში, შემდეგ მასპინძლობს „ატალანტას“; „ლაციოს“ ახლა „ფიორენტინა“ ეწვევა, ბოლო ტურში კი „ლეჩეს“ უნდა ესტუმროს. შანსების განსაზღვრა თქვენთვის მოგვინდია. ჩვენ ერთი ვიცი, ორ ტურში იმაზე მეტი ქულის მოპოვება შეიძლება, ვიდრე „რომასა“ და მდევრებს შორის დღევანდელი სხვაობაა.

„იუვენტუსის“ თავკაცს, კარლო ანჩელოტის კარგად ესმის, რომ სკუდეტოს მოპოვება-არმოპოვება მხოლოდ მისი და მისი ფეხბურთელების მარიფათსა და მონდომებაზე არ არის დამკიდებული. „რომამ“ ქულები თუ არ დაკარგა, არაფერი გამოვა.

„ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დარჩენილი თამაშები მოვიგოთ და შეძლებისდაგვარად მაღალი ადგილი დავიკავოთ. თუ ორივე შეხვედრაში გავიმარჯვებთ, 73 ქულას დავაგროვებთ, ხოლო თუ „რომა“ მაინც ჩვენზე მაღლა იქნება, მაშინ იგი ღირსეული ჩემპიონია. 73 ქულა ცოტა არ არის, მასზე მეტის დაგროვება საგანგებო საქმეა“.

რატომ ამახვილებს ანჩელოტი ყურადღებას 73 ქულაზე? საქმე ის გახლავთ, რომ გამარჯვებისთვის სამი ქულის დარიცხვა იტალიაში 1994-95 წლების სეზონიდან დაიწყეს და მას მერე 73-ზე მეტის დაგროვება მხოლოდ ერთმა, იმავ „იუვენტუსმა“ შეძლო 1998 წელს.

როგორც მოგახსენეთ, „იუვენტუსმა“ შინ „პერუჯა“ დაამარცხა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის მეათე წუთზე დავიდ ტრეზეგემ გაიტანა.

„დღეს დიდებულად არ გვითამაშია, განსაკუთრებით შესვენების შემდეგ, მაგრამ გავიმარჯვეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ერთი სიტყვით, შანსი კიდევ არის და იმედს არ გადავიწურავთ. თუ ჩემპიონები ვერ გავხდებით, მეორე ადგილი მაინც უნდა გავინაღდოთ. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს“ — დასძენს „ბებერი ქალბატონის“ შეფი.

მეორე ადგილზე გასვლას იტალიური წესების თანახმად ერთი დიდი პლუსი აქვს: გუნდი, რომელიც ამას შეძლებს, ავტომატურად გადის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მაშინ, როდესაც მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულები ორმატჩიან გათამაშებას მოაწყობენ, რომელიც გაარკვევს ვინ ჯგუფში მოხვდება და ვინ საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეუდგება აღმართს.

ეს აღმართი კი, შესაძლოა, „ლაციოს“ ერგოს, რადგან მილანის „სან სიროზე“ „ინტერისთვის“ პირველ ტაიმში ერნან კრესპოს გატანილი გოლი ვერ შეინარჩუნა — მსაჯის წამატებული დროის მესამე წუთზე სტეფან დალმამ საუცხოო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ერთი სიტყვით, თუ „ლაციომ“ „იუვენტუსს“ ვერ გადაასწრო, მაშინ, სავარაუდოდ, „პარმასთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. „პარმამ“ ლეჩეში 2:1 გაიმარჯვა.

„ძალიან ძნელია ასე დაკარგულ ორ ქულასთან შეგუება“ — განაცხადა რომაელთა თავკაცმა დინო ძოფმა — მაგრამ, სანამ ჩვენი დაწინაურების თეორიული შანსი არსებობს, ვიბრძოლებთ. არადა, სამარცხვინო რამ დაგვემართა. „ინტერს“ მთელი შეხვედრის განმავლობაში ვჯობდით და უამრავი საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ ფეხბურთი ისეთი რამ არის, ბევრ უცნაურობასთან გვაქვს საქმე“.

ახლა, თქვენი ნებართვით, თვალი [illegible] ვით, სერია B-საკენ [illegible] და კომუნისტების დროინდელი [illegible] ვიხსენოთ: [illegible] ვლიდან?! ჩვენ, დაიძახებენ „პიაჩენცა“ და „ტორინო“.

მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში კარმინე გაუტიერის გატანილმა გოლმა „პიაჩენცას“ „სამპდორია“ დაამარცხებინა. „ტორინომ“ კი, თავის მხრივ, ცხრილის ბოლო გუნდთან, „პესკარასთან“ უპრობლემოდ მოიპოვა სეზონის მეოცე გამარჯვება.

ახლა, როდესაც სერია B-ს პირველობის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი, კიდევ ორი მომგებიანი ადგილისთვის იბრძოლებენ ვერონის „კიევო“, „ვენეცია“, „ტერნანა“ და „სამპდორია“.

**ბაპუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 32 | 21 | 8 | 3 | 63:30 | 33 | 71 | 16 | 11 | 5 | 0 | 30:13 | 17 | 38 | 16 | 10 | 3 | 3 | 33:17 | 16 | 33 |
| 2 იუვენტუსი | 32 | 19 | 10 | 3 | 56:26 | 30 | 67 | 16 | 10 | 5 | 1 | 30:12 | 18 | 35 | 16 | 9 | 5 | 2 | 26:14 | 12 | 32 |
| 3 ლაციო | 32 | 20 | 6 | 6 | 61:34 | 27 | 66 | 16 | 12 | 2 | 2 | 33:13 | 20 | 38 | 16 | 8 | 4 | 4 | 28:21 | 7 | 28 |
| 4 პარმა | 32 | 16 | 8 | 8 | 49:26 | 23 | 56 | 16 | 9 | 4 | 3 | 31:10 | 21 | 31 | 16 | 7 | 4 | 5 | 18:16 | 2 | 25 |
| 5 მილანი | 32 | 12 | 12 | 8 | 54:43 | 11 | 48 | 16 | 9 | 5 | 2 | 34:19 | 15 | 32 | 16 | 3 | 7 | 6 | 20:24 | -4 | 16 |
| 6 ინტერი | 32 | 12 | 9 | 11 | 43:45 | -2 | 45 | 16 | 8 | 6 | 2 | 25:18 | 7 | 30 | 16 | 4 | 3 | 9 | 18:27 | -9 | 15 |
| 7 ატალანტა | 32 | 10 | 14 | 8 | 37:31 | 6 | 44 | 16 | 4 | 9 | 3 | 16:13 | 3 | 21 | 16 | 6 | 5 | 5 | 21:18 | 3 | 23 |
| 8 ფიორენტინა | 32 | 10 | 13 | 9 | 52:47 | 5 | 43 | 16 | 8 | 4 | 4 | 31:23 | 8 | 28 | 16 | 2 | 9 | 5 | 21:24 | -3 | 15 |
| 9 ბოლონია | 32 | 11 | 9 | 12 | 46:49 | -3 | 42 | 16 | 9 | 3 | 4 | 24:20 | 4 | 30 | 16 | 2 | 6 | 8 | 22:29 | -7 | 12 |
| 10 პერუჯა | 32 | 10 | 11 | 11 | 47:50 | -3 | 41 | 16 | 6 | 6 | 4 | 25:20 | 5 | 24 | 16 | 4 | 5 | 7 | 22:30 | -8 | 17 |
| 11 ბრეშა | 32 | 9 | 13 | 10 | 40:40 | 0 | 40 | 16 | 6 | 7 | 3 | 19:15 | 4 | 25 | 16 | 3 | 6 | 7 | 21:25 | -4 | 15 |
| 12 უდინეზე | 32 | 10 | 5 | 17 | 46:56 | -10 | 35 | 16 | 7 | 2 | 7 | 30:27 | 3 | 23 | 16 | 3 | 3 | 10 | 16:29 | -13 | 12 |
| 13 ვიჩენცა | 32 | 8 | 9 | 15 | 34:46 | -12 | 33 | 16 | 6 | 5 | 5 | 19:18 | 1 | 23 | 16 | 2 | 4 | 10 | 15:28 | -13 | 10 |
| 14 ლეჩე | 32 | 7 | 12 | 13 | 36:51 | -15 | 33 | 16 | 5 | 5 | 6 | 23:29 | -6 | 20 | 16 | 2 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 13 |
| 15 რეჯინა | 32 | 9 | 6 | 17 | 29:47 | -18 | 33 | 16 | 7 | 4 | 5 | 15:16 | -1 | 25 | 16 | 2 | 2 | 12 | 14:31 | -17 | 8 |
| 16 ნაპოლი | 32 | 7 | 11 | 14 | 31:48 | -17 | 32 | 16 | 5 | 6 | 5 | 20:20 | 0 | 21 | 16 | 2 | 5 | 9 | 11:28 | -17 | 11 |
| 17 ვერონა | 32 | 8 | 7 | 17 | 36:57 | -21 | 31 | 16 | 8 | 4 | 4 | 24:24 | 0 | 28 | 16 | 0 | 3 | 13 | 12:33 | -21 | 3 |
| *18 ბარი* | *32* | *5* | *5* | *22* | *29:63* | *-34* | *20* | *16* | *5* | *2* | *9* | *21:29* | *-8* | *17* | *16* | *0* | *3* | *13* | *8:34* | *-26* | *3* |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 24 |
| კრესპო (ლაციო) | 24 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 22 |
| ბატისტუტა (რომა) | 18 |
| ვიერი (ინტერი) | 17 |

**XXXIII ტური**

10 ივნისი
მილანი — ბრეშა
ლაციო — ფიორენტინა
ბარი — ინტერი
ვიჩენცა — იუვენტუსი
ბოლონია — ლეჩე
პერუჯა — რეჯინა
ნაპოლი — რომა
ატალანტა — უდინეზე
პარმა — ვერონა

## სერია B

### XXXVI ტური

**მონცა 0:1 ემპოლი**

0:1 მარკიონი (58)

**ანკონა 2:5 რავენა**

1:0, 2:0 პარენტე (19, 20), 2:1 ვაკუფცისი (26), 2:2 ბელიცარო (29), 2:3 პაკიტო (38), 2:4 ბელიცარო (42), 2:5 ტენტონი (90პ)

**კოზენცა 1:3 პისტოიეზე**

0:1 ბაიანო (24პ), 1:1 გვიდონი (44), 1:2 ბაიანო (56პ), 1:3 ბელოტო (68)

**ჯენოა 2:0 კროტონე**

1:0 ფრანკოიზო (60), 2:0 მუტარელი (65)

**პესკარა 0:1 ტორინო**

0:1 არტისტიკო (27)

**პიაჩენცა 2:1 სამპდორია**

0:1 ლამაკი (6ს.კ.), 1:1 რასტელი (72), 2:1 გაუტიერი (90)

**სალერნიტანა 3:0 ჩიტადელა**

1:0 დი მიკელე (13), 2:0, 3:0 დ. ბოლიჩი (60, 73)

**სიენა 1:1 კალიარი**

1:0 პაგანო (40), 1:1 კონტი (75პ)

**ტერნანა 3:1 ტრევიზო**

0:1 პიცი (30), 1:1 მიკოლი (46), 2:1 გრაბი (61), 3:1 ადეშინა (82)

**ვენეცია 2:1 კიევო**

1:0 დი ნაპოლი (5), 1:1 კოსატო (65), 2:1 ბაცანი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 36 | 20 | 8 | 8 | 46:24 | 68 |
| ტორინო | 36 | 20 | 7 | 9 | 44:32 | 67 |
| კიევო | 36 | 18 | 12 | 6 | 51:33 | 66 |
| ვენეცია | 36 | 18 | 11 | 7 | 57:41 | 65 |
| ტერნანა | 36 | 16 | 12 | 8 | 58:37 | 60 |
| სამპდორია | 36 | 15 | 15 | 6 | 54:34 | 60 |
| ემპოლი | 36 | 17 | 9 | 10 | 47:40 | 60 |
| კოზენცა | 36 | 16 | 9 | 11 | 45:43 | 57 |
| ანკონა | 36 | 14 | 8 | 14 | 54:54 | 50 |
| კალიარი | 36 | 12 | 13 | 11 | 52:42 | 49 |
| კროტონე | 36 | 14 | 7 | 15 | 45:53 | 49 |
| სიენა | 36 | 10 | 15 | 11 | 37:42 | 45 |
| ჯენოა | 36 | 9 | 16 | 11 | 40:37 | 43 |
| სალერნიტანა | 36 | 11 | 10 | 15 | 37:38 | 43 |
| ჩიტადელა | 36 | 10 | 13 | 13 | 39:51 | 43 |
| პისტოიეზე | 36 | 10 | 10 | 16 | 44:47 | 40 |
| ტრევიზო | 36 | 8 | 10 | 18 | 37:53 | 34 |
| მონცა | 36 | 8 | 4 | 24 | 36:72 | 28 |
| რავენა | 36 | 4 | 13 | 19 | 32:58 | 25 |
| პესკარა | 36 | 3 | 12 | 21 | 28:52 | 21 |

## სერია C1A

**პლეი ოფი. I მატჩები**
**სპეცია 0:1 კომო**
**არეცო 1:3 ლივორნო**
*საპასუხო მატჩები გაიმართება 3 ივნისს, ფინალები — 10-17 ივნისს. გამარჯვებული გადავა სერია B-ში*

**პლეი აუტი. I მატჩები**
**ბრეშელო 2:2 კარარეზე**
**რეჯანა 2:1 ალძანო**
*საპასუხო მატჩები გაიმართება 3 ივნისს. დამარცხებულნი ჩავლენ სერია C2-ში*

## სერია C1B

**პლეი ოფი. I მატჩები**
**ასკოლი 1:0 მესინა**
**აველინო 1:0 კატანია**
*საპასუხო მატჩები გაიმართება 3 ივნისს, ფინალები — 10-17 ივნისს. გამარჯვებული გადავა სერია B-ში*

**პლეი აუტი. I მატჩები**
**ატლ. კატანია 3:4 ლოდიჯანი**
**ვიტერბეზე 1:0 ნოჩერინა**
*საპასუხო მატჩები გაიმართება 3 ივნისს. დამარცხებულნი ავლენ სერია C2-ში*

იტალიის ჩემპიონატი

ოცდამეთორმეტე ტურის მატჩი

## რომა 1:1 მილანი

კახა კალაძე: 59 წუთი

# ჩალის ფასი

**„მილანმა“** რომში ფრედ ითამაშა. რას ნიშნავს ეს? თუმცა...

კვირას, რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ მაყურებელს ხელში კახა კალაძის მხარდამჭერი პლაკატები ეჭირა. იტალიაში „მილანის“ ქართველი ფეხბურთელის გასაჭირი გულთან მიიტანეს...

...მეორე ტაიმში, როდესაც მასპინძლებმა სტუმრებს მთელი ძალით შეუტიეს, კალაძემ ვინჩენცო მონტელას ფეხი გამოსდო, რაზეც მონტელას თანაგუნდელს, კანდელას მძაფრი რეაქცია ჰქონდა, მაგრამ ის მეგობრის მხარში ამომდგარ მილანელთა მტკიცე ერთსულოვნებას წააწყდა. ხოლო მსაჯმა ორივე, კალაძეცა და მონტელაც მოედნიდან გააძევა.

ამ შეხვედრაში, ტელეკომპანია „რაიუნოს“ ექსპერტებმა კახა კალაძის თამაში 5 ქულით შეაფასეს. ასეთი დაბალი შეფასება საქართველოს ნაკრების წევრს ჯერ არ მიუღია და ეს მოსალოდნელი იყო. ფეხბურთს, ისევე როგორც სხვა ყველაფერს დედამიწის ზურგზე, ადამიანის უსაფრთხოებასთან შედარებით ჩალის ფასი არ აქვს.

და მაინც, დავუბრუნდეთ „სტადიო ოლიმპიკოს“, სადაც მოედანი ორივე მხარემ უკმაყოფილოდ დატოვა. „რომას“ ზეიმი გადაედო, „მილანს“ მეოთხე ადგილზე გასვლის შესაძლებლობაც კი მოესპო.

...ანგარიში კი „მილანმა“ გახსნა. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სერჟინიოს კუთხურიდან ჩაწოდებულის შემდეგ ფრანჩესკო კოკომ თავით შეაგდო. ამ ამბავმა „რომას“ თავკაცი ფაბიო კაპელო, ბუნებრივია, ძალიან შეაშფოთა და მან შესვენებისას მარკო დელვეკიოს ნაცვლად მოედანზე ვინჩენცო მონტელა შეუშვა.

მონტელამ 56-ე წუთზე ძელს გაარტყა ბურთი, ერთი წუთის შემდეგ კალაძესთან დაკავშირებული ის ამბავი მოხდა, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ, ხოლო კიდევ ხუთ წუთში მან ულამაზესი გოლით ანგარიში გაათანაბრა.

67-ე წუთზე „მილანს“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გაუძევეს. მსაჯის ლანძღვისთვის წითელი ბარათი სერჟინიომ იხილა, მაგრამ სტუმრებს უმცირესობაშიც მიეცათ დაწინაურების შესაძლებლობა — 87-ე წუთზე სერჟინიოს თანამემამულემ, როკე ჟუნიორმა ახლოდან ძელს გაარტყა ბურთი.

**ბაჩუნა ძიძია**

# იუდა მიდის, იუდა მოდის



REUTERS

ტედი შერინგემი „ტოტენჰემს“ დაუბრუნდა

**18 სექტემბერს** 27-წლის გახდება. „ჰოდა, როდისღა უნდა ვითამაშო ჩემპიონთა ლიგაში?“ — იკითხა სოლ კემპბელმა და „ტოტენჰემ ჰოთსფურს“ შეატყობინა, რომ ნამდვილად მიდის. ამგვარად, წყალში ჩაიყარა ამ ლონდონური კლუბის ხუთთვიანი მცდელობა, კაპიტანი და ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მცველი როგორმე შეენარჩუნებინა: სოლი მიდის, „ტოტენჰემი“ კი პენისაც ვერ მიიღებს.

არადა, ის შესაძლოა ინგლისის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გამხდარიყო. 80 ათასი გირვანქა კვირაში — ასეთი იყო კლუბის ბოლო შეთავაზება, მაგრამ... „ამ შემთხვევაში ფული მთავარი არაა. ჩემი გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე თამაშის სურვილმა განაპირობა“ — ამბობს მცველი და მიაჩნია, რომ „ტოტენჰემი“ და მისი გულშემატკივრები უბრად არ უნდა დაურჩნენ: „10 წელი გავატარე ამ გუნდში და ჩემი თავდადება ყველას უნახავს. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ხნის მანძილზე მხარი დამიჭირა“.

მიდის, მაგრამ სად, ჯერ უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია მისი მოსურნე კლუბები: „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ბარსელონა“, მადრიდის „რეალი“ და ბევრიც სხვა, თუმცა ვარაუდობენ, რომ კემპბელი სწორედ ამ ოთხიდან ერთ-ერთში აღმოჩნდება. გაზეთები იუწყებიან, რომ არსენ ვენგერმა შავკანიან მცველს უკვე აღუთქვა ძირითადში მუდმივი ადგილი, თუმცა ამ შემთხვევაში საქმეს ის ართულებს, რომ ვენგერის „არსენალი“ „ტოტენჰემის“ მეზობელი და „მამალთა“ ფანებისთვის ყველაზე საძულველი გუნდია. ამან შესაძლოა კემპბელი დააფიქროს. რაც შეეხება „ბარსელონას“, რომელიც მცველს ყველაზე კარგ პირობებს სთავაზობს, მას ჩემპიონთა ლიგის საგზური ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს. ასე რომ, დრო ჯერ ბევრია, მით უმეტეს, რომ 1 ივლისამდე კემპბელი „ტოტენჰემს“ ეკუთვნის. სწორედ ამ დღეს გახდება ამჟამად დაშავებული მცველი თავისუფალი აგენტი და თავის მომავალსაც, ალბათ, მაშინ გადაწყვეტს. ნებისმიერ შემთხვევაში (განსაკუთრებით „არსენალში“ გადასვლის შემთხვევაში), „უაით ჰართ ლეინის“ ტრიბუნებზე მას აწი მოღალატედ მოიხსენიებენ.

რას იზამ, ასეთია იქაურთა წესი. ასე იყო 1997 წელსაც, როცა ტედი შერინგემმა „ტოტენჰემიდან“ მანჩესტერში გადაბარგება ისურვა — „იუნაიტედის“ „უაით ჰართ ლეინზე“ პირველივე სტუმრობისას მას 90 წუთი „იუდა“ უძახეს. მაგრამ გავიდა ოთხი წელი, ტედიმ ჩემპიონობის სამი მედალი, ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონთა თასები, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელობა მოიპოვა და კვლავ მშობლიურ ლონდონში დაბრუნება განიზრახა. ახლა მას ალტაცებით შეხვდებიან, ვინაიდან მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის შეთავაზებაზე უარი განაცხადა და ორწლიანი კონტრაქტი სწორედ „ტოტენჰემთან“ გააფორმა. „ბევრი ვიფიქრე. არ იყო ეს იოლად გადასაწყვეტი საკითხი. პირველი, ვისაც ჩემი ნება გავანდე, ალექს ფერგიუსონი იყო. ძალიან ეწყინა, თუმცა გამიგო და გზა დამილოცა“ — განაცხადა შერინგემმა, ვინც გლენ ჰოდლის დაჟინებით დაბრუნდა „ტოტენჰემში“. „ტედი ბოლო ათი წლის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მოთამაშეა. მას სხვადასხვა პოზიციაზე თამაში ძალუძს და რაც მთავარია, გამარჯვების მიღწევის გზები იცის“ — გახარებულია ჩრდილოლონდონელთა თავკაცი.

**გიგა ძოგახიძე**



REUTERS

თასის მომგებმა გელზენკირხენელებმა ბევრი იხუმრეს და ილაღეს

# შალკემ თასი იკმარა

## გერმანია

### თასის ფინალი

### შალკე 2:0 უნიონი

1:0, 2:0 ბიომე (54, 58პ)

შალკე: რეკი, ჰაიტო, ნემეცი (ტონი 85), ვან კერკჰოვენი (ბოუკეფსი 88), ასამოა (ლატალი 80), კამფისი, ვან ჰუგდალემი, ბიომე, მიოლერი, მპენზა, სანდი

უნიონი: ბოუკერტი, ჩაიდელი (ტრედუპი 81), პერსიხი, ერნემანი (ტეიშეირა 55), კრემენლიევი, მენცე, ოკეკე, კოილოვი, ნიკოლი, ისა (ზეხნერი 70), დურკოვიჩი

73 011 მაყურებელი

**გელზენკირხენის** „შალკემ“ დაივიწყა ერთი კვირის წინანდელი ტკივილი და გერმანიის თასის ფინალში დედაქალაქური „უნიონი“ მისსავე ქალაქში დაამარცხა. „შალკე“, რომელსაც აქამდე ორჯერ მოეგო ქვეყნის თასი, ამ გამარჯვებას 29 წელი ელოდა.

თასის მომტანი ორი გოლი მეორე ტაიმში ოთხი წუთის ინტერვალით გავიდა და ორივეს ავტორი იორგ ბბომე გახდა. გელზენკირხენელმა ნახევარმცველმა ჯერ საჯარიმოთი გაიტანა და მერე პენალტით.

ამ ორმა გოლმა დაასამარა ბერლინელთა ოცნება, თასის მომგები პირველი მოყვარული გუნდი გამხდარიყო, მაგრამ „უნიონის“ მიღწევა მაინც განსაკუთრებულია — ბერლინელი მოყვარულები, რომლებმაც ახლახან მოიპოვეს მეორე ბუნდესლიგაში თამაშის უფლება, გერმანიას უეფას თასზე წარადგენს, მსგავსი რამ კი გერმანიაში პირველად ხდება. გავიხსენოთ, რომ „შალკე“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და ბერლინელებს უეფას თასიც ამიტომ ერგოთ.

ისიც შევნიშნოთ, რომ „უნიონზე“ ლაპარაკისას გერმანიის გაერთიანების შემდგომ პერიოდს ვგულისხმობთ, თორემ 1968 წელს მან აღმოსავლეთ გერმანიის თასი მოიგო, მაგრამ ევროსარბიელზე გასვლა ვერ ეღირსა. იმ ზაფხულს საბჭოური ტანკები პრაღაში შევიდნენ, რასაც საფეხბურთო გართულებებიც მოჰყვა.

ევროთასების წილისყრისას დასავლეთევროპულმა გუნდებმა აღმოსავლეთევროპელებთან თამაში იუარეს და უეფას მოსთხოვეს, წილისყრისას განთესვა ისე მოახდინეთ, რომ პირველ ეტაპზე სოციალისტები ერთმანეთს შეხვდნენო. უეფა ამ მოთხოვნაზე დაყაბულდა, მაგრამ ახლა მოსკოვი აღშფოთდა და იმ სეზონში სსრკ-ს ჩემპიონი და თასის მფლობელი კიევისა და მოსკოვის დინამოელები ევროპაში არ გაუშვა. მოსკოვისავე ბრძანებით, ევროტურნირებზე არ ითამაშეს: ბულგარულმა „ლევსკიმ“ და „სპარტაკმა“, უნგრულმა „ფერენცვაროშმა“, პოლონურმა „რუხმა“ და „გურნიკმა“ და ბერლინის „უნიონმა“. საინტერესოა, რომ სოციალისტური ქვეყნებიდან ურჩობა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიამ გაბედა და ბრატისლავის „სლოვანმა“ იმ სეზონში თასების მფლობელთა თასიც აიღო.

ჩვენ კი ისევ „უნიონს“ მივუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ ცოტაოდენი იღბალი და გერმანიის თასი ეგებ ბერლინში დარჩენილიყო. პირველ ტაიმში მოყვარულებმა მეტოქეს რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს და ერთხელ ბურთი ძელსაც გაარტყეს.

შესვენების მერე ყველაფერი დალაგდა და გელზენკირხენელთა კლასმა თავისი გაიტანა. „შალკეს“ არ დაემართა ის, რაც ბუნდესლიგის ბოლო ტურში შეემთხვა.

მატჩის შემდეგ „შალკეს“ მწვრთნელმა ჰუბ სტევენსმა სევდანარევი სიხარულით თქვა: „თასი ვერ შეედრება ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ ესეც კარგია. ჩვენ ნამდვილად დავიმსახურეთ რაიმეს მოგება“.

**გიორგი დარჯანია**

# აქაც და იქაც ტორპედო...

## რუსეთი

### XI ტური

### სატურნი 1:1 ცსკა

1:0 მოვსესიანი (64), 1:1 ლისენკო (75)

### ფაკელი 2:0 ტორპედო ზილ

1:0 შუკანოვი (38), 2:0 კულევი (67)

### დინამო 3:1 როსტსელმაში

1:0 გუსევი (9), 1:1 სელეზნიოვი (17), 2:1, 3:1 ბისტროვი (47, 78)

### კრილია სოვეტოვი 3:0 როტორი

1:0 ანჟელო (21), 2:0 ტიხონოვი (66), 3:0 ანჟელო (90)

### ტორპედო 2:0 სპარტაკი

1:0 ვიაზმიკინი (34), 2:0 ლეონჩენკო (39)

### ალანია 1:0 ჩერნომორეცი

1:0 პაულუ ემილიუ (79პ)

### ანჟი 2:0 სოკოლი

1:0 ბუდუნოვი (56), 2:0 სირხაევი (70)

### ლოკომოტივი 5:1 ზენიტი

0:1 გორშკოვი (12), 1:1 ჯანაშია (20), 2:1 ობიორა (46), 3:1 მამინოვი (64), 4:1 იზმაილოვი (80), 5:1 ბუზნიკინი (90)

**60-იან წლებში** მოსკოვის „ტორპედო“ დიდებული გუნდი იყო. ედუარდ სტრელცოვზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც 1958-63-ში ვითომ ქალის გაუპატიურებისთვის ციხეში იჯდა, იქ თამაშობდნენ ვალენტინ ივანოვი, ვალერი ვორონინი, ვიქტორ შუსტიკოვი და ჩვენი სლავა მეტრეველი. ეს გახლდათ არატრადიციული საბჭოთა გუნდი: რბილი, ლაღი და ტექნიკური ყაიდისა. მწვრთნელად კი ლეგენდარული ვიქტორ მასლოვი ჰყავდათ.

მას მერე ბევრი დრო გავიდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ რამდენიმე წლის წინ გუნდი ორად გაიყო. ახლა რომ „ტორპედოს“ ვეძახით, სინამდვილეში „ტორპედო ლუჟნიკია“, ნაღდი კი, ანუ ავტოქარხნის გუნდი „ტორპედო ზილი“ გახლავთ, რომელიც უმაღლეს ლიგაში წლეულს ალზევდა.

„ზილი“ „ზილად“, მაგრამ ეს „ტორპედო“ ბოლო დროს ისეთ რამეებს სჩადის, ხალხს ძველი დროება გაახსენდა. თავად განსაჯეთ, „სპარტაკთან“ შეხვედრამდე ლუჟნიკელებმა ზედიზედ სამი მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით. შაბათს არც ქვეყნის ჩემპიონი გაახარეს, 2:0 მოუგეს და მესამე საფეხურიდან გააძევეს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ტორპედოელები მწყობრ და გაწვრთნილ ფეხბურთს თამაშობენ. „სპარტაკსაც“ შუა ხაზში უფრო გონიერი თამაშით აჯობეს. ასეთი რამ რუსეთში ძალიან იშვიათად ხდება.

„პირველ ტაიმში „სპარტაკს“ ნაღდად ვაჯობეთ, შესვენებაზე კი მწვრთნელმა გვითხრა ანგარიშის შესანარჩუნებლად გვეთამაშა. მგონი ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. ბოლოდროინდელმა წარმატებებმა რწმენა შეგვმატა. მიზანი კი იგივე გვაქვს — ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა“ — აი, ასეთია მატჩის საუკეთესო მოთამაშის, ლუჟნიკელთა ნახევარმცველ სერგეი კორმილცევის აზრი.

პირველი გოლი ვიაზმიკინმა გაიტანა. მან ანანკოსა და პარფიონოვს მოუგო ბრძოლა და ბურთი მარცხენა ცხრიანში ჩაჭედა. მალევე ლეონჩენკომ ჯარიმიდან მეორე შეაგდო და საქმეც ამით მოთავდა.

„ტორპედოს“ ჩინებულ გუნდს შესანიშნავ გამარჯვებას ვულოცავ. ჩვენ უარესად ვითამაშეთ, ტორპედოელებმა კი წარმატებული მატჩების სერია გააგრძელეს. ვისურვებდი, მომავალშიც ასე ყოფილიყოს, ამით ჩემპიონატის დონე ამაღლდება“ — თქვა თამაშის მერე სპარტაკელთა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ.

ამასობაში ლიდერმა „სოკოლმა“ მახაჩყალაში „ანჟისთან“ წააგო, ხოლო „კრილიამ“ შინ „როტორს“ 3:0 მოუგო და ისევ პირველი გახდა. ჩვენი რუსი კოლეგები ამტკიცებენ, რომ არა სტუმართა მეკარე ჩიჩკინის კარგი თამაში, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდაო. ორჯერ სამარელთა ბრაზილიელმა ანჟელომ, ერთხელაც ყოფილმა სპარტაკელმა ტიხონოვმა გაიტანეს.

„ანჟისთან“ და „სპარტაკთან“ დამარცხების შემდეგ ფსიქოლოგიურად გაგვიჭირდა. ძველებურად თავდაჯერებულნი ველარ ვართ. თითქოს რაღაცის გვეშინიაო. ახლა ცოტა ამოვისუნთქეთ. თანაც წინ თავისუფალი ორი კვირა გვაქვს და ვეცდებით, ნაყოფიერად გამოვიყენოთ“ — თქვა სამარელთა მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა.

ზედიზედ ორი წაგების შემდეგ მოიგო „ლოკომოტივმა“. „ზენიტმა“ კი კარგი დასაწყისის მერე მოუგებელი თამაშების რიცხვი ხუთამდე გაზარდა.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ მალევე ზაზა ჯანაშიამ გაათანაბრა. ქართველმა საჯარიმოს გარედან ზუსტად დაარტყა და სეზონში თავისი მესამე გოლი გაიტანა. რამდენიმე წუთში ზაზას კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მეკარე ბოროდინთან პირისპირ გასულმა ვერ ივარგა. შესვენების შემდეგ ჯანაშიას შემცვლელ ბუზნიკინს ერთობ წარმატებულად უმუშავია და „ზენიტის“ კარში გასული ოთხი გოლის სულისჩამდგმელიც გამომდგარა.

რამენსკოეში, „სატურნთან“ ფრემ მოსკოველი არმიელების მოგებათა ჯერი შეწყვიტა. „ჩერნომორეცმა“ კი ისევ წააგო, ამჯერად ვლადიკავკაზში „ალანიასთან“ და ბოლო ადგილამდე დაქვეითდა.

**სოლომონ ბულისკერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 11 | 7 | 2 | 2 | 14:3 | 23 |
| სოკოლი | 11 | 7 | 2 | 2 | 16:13 | 23 |
| ტორპედო | 11 | 6 | 3 | 2 | 22:10 | 21 |
| სპარტაკი | 11 | 6 | 3 | 2 | 11:8 | 21 |
| ლოკომოტივი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:9 | 18 |
| ცსკა | 11 | 5 | 2 | 4 | 11:10 | 17 |
| ზენიტი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:16 | 17 |
| ანჟი | 11 | 4 | 4 | 3 | 9:7 | 16 |
| დინამო | 11 | 3 | 4 | 4 | 13:12 | 13 |
| სატურნი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:9 | 12 |
| ალანია | 11 | 4 | 0 | 7 | 8:16 | 12 |
| როტორი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:14 | 11 |
| ტორპედო ზილ | 11 | 3 | 2 | 6 | 8:13 | 11 |
| როსტსელმაში | 11 | 3 | 2 | 6 | 7:12 | 11 |
| ფაკელი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:14 | 10 |
| ჩერნომორეცი | 11 | 2 | 3 | 6 | 6:18 | 9 |

# ლიგა და ბარსელონა: ძალიან საეჭვო

## ესპანეთი

### XXXVI ტური

### სარაგოსა 1:1 სოსიედადი

1:0 სუნდგრენი (24), 1:1 დე პაულა (31)
სარაგოსა: ლაინესი, აგუადო, პაბლო, სუნდგრენი (კუარტერო 61), პაკო ხემესი, მარტინ ველისკა, ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი (პეტერნაკი 70), ხუანელე, იორდი
მწვრთნელი: ლუის კოსტა
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, ლოპეს რეკარტე (ჟულიო სეზარი 84), დე პედრო, ლუის ალბერტო, ტაიფუნი, ხოხლოვი, ხაბი ალონსო, დე პაულა (ფუენტესი 68), იდიაკესი (დემეტრაძე 86)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: ტაიფუნი, აკუნია, ფუენტესი, ხაბი ალონსო
24 000 მაყურებელი

### რეალი 5:0 ალავესი

1:0 რაული (21), 2:0 გუტი (22), 3:0 იერო (50), 4:0 ელგერა (66), 5:0 რაული (82)
რეალი: სესარი, სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო (კამპო 75), ელგერა, მაკელელე, სავიო (მუნიტისი 78), გუტი (მაკმანამანი 62), ფიგუ, რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ალავესი: ერერა, იბონ ბეგონია, ეგენი (კარმონა 26), ტელიესი, ჯელი, პაბლო, ი. ტომიჩი, დესიო, ასტუდილიო (მაგნო 60), ხავი მორენო (ივან ალონსო 60), კრუიფი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: იერო, ასტუდილიო
70 000 მაყურებელი

### ბარსელონა 0:1 ოვიედო

0:1 ხაიმე (46)
ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი (ზენდენი 58), ფ. დე ბური, სერხი, პუიოლი, გვარდიოლა (პეტი 67), კოკუ, ოვერმარსი (გაბრი 67), ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (მარტინოვიჩი 82), ბორისი, ონოპკო, დანჯუ, ჟ. ტომიჩი (ამიევა 77), ხაიმე, ივან ანია, გასპარი, ოლი (რაული 88), პაუნოვიჩი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ხაიმე, ლუის ენრიკე, გასპარი, ივან ანია, გაბრი, მარტინოვიჩი, ამიევა
გაძევება: ლუის ენრიკე (64)
50 000 მაყურებელი

### დეპორტივო 1:2 ვალიადოლიდი

0:1 კავიედესი (44), 0:2 ფერნანდო სალესი (64), 1:2 მაკაი (76)
დეპორტივო: სონგო, მანუელ პაბლო, რომერო, პელეგრი (სკალონი 64), მაურო სილვა, ფრანი, ვიქტორი (ემერსონი 85), დონატო, ვალერონი (ტურუ ფლორესი 76), მაკაი, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ვალიადოლიდი: რიკარდო, პაინცე, მარკოსი, გარსია კალვო, ტორეს გომესი, პენია, ჩემა (რიკეტი 81), ტურიელი, კამინერო (ფერნანდო სალესი 59), ფერნანდო, კავიედესი (ალბერტო 77)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ტურიელი, მაურო სილვა, კამინერო, გარსია კალვო, სკალონი, კავიედესი, პენია, რიკეტი
30 000 მაყურებელი

### რასინგი 1:1 ვალენსია

1:0 მაცონი (48), 1:1 მენდიეტა (90)
რასინგი: სებალიოსი, არსენო, მელბერგი, ჩემა, ხუანმა, ესპინია, მაცონი (რეგუერო 69), ამავისკა, ხაიმე, მანხარინი (კოლსა 69), მაგალიანესი (რუშფელდტი 83)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა (ალბელდა 74), ფაბიო აურელიო, მენდიეტა, ვისენტე (კილი გონსალესი 65), ბარახა, აიმარი (ზაჰოვიჩი 78), კარეუ, ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: აიმარი, ჯუკიჩი, ბარახა, ვისენტე, პელეგრინო
19 000 მაყურებელი

### მალიორკა 4:0 რაიო ვალეკანო

1:0 ეტოო (1), 2:0 ფინიდი (34), 3:0 ეტოო (37), 4:0 რიერა (90)
მალიორკა: მიკი, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, ნადალი, კარერასი (რიერა 59), ჩიჩი სოლერი, ფინიდი (ლეო ბიაჯინი 51), ენგონგა (არმანდო 67), ნოვო, ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რაიო ვალეკანო: კელერი, მინგო, ელკასარი, ფერეირა, ივან იგლესიასი, მიჩელი, კვედო, გლაუჩიო (კლოტე 46), ბოშნერი (დანი ბუზასი 82), სეტვალსი (ლუის სემბრანოსი 46), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ფერეირა, ენგონგა, კვედო
18 000 მაყურებელი




REUTERS მადრიდიდან

რეალი — ალავესი. ხოსე მარია გუტის „სანტიაგო ბერნაბეუ" ფეხზე წამოუდგა

### ლას პალმასი 0:1 სელტა

0:1 ალვარო (5ს.კ.)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი (კიკოვიჩი 46), რამონი (ელოი 67), ბაკუი, ალვარო, შურერი, ხოსიკო, იარნი, სემვისი (ხორხე 46), ედუ ალონსო, ორლანდო, გიარე
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ხუანფრანი, ბერიზო, ჯოვანელა (დორივა 65), მოსტოვოი, ხაიო, ედუ, გუსტავო ლოპესი (ხესული 74), კატანია (ჯოროვიჩი 87)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: იარნი, ხაიო, რამონი, ალვარო, მოსტოვოი, ბერიზო, კავალიერო
15 780 მაყურებელი

### ბილბაო 1:3 მალაგა

0:1 მუსამპა (48), 1:1 ურსაისი (77), 1:2 სანდრო (85), 1:3 აგოსტინიო (89)
ბილბაო: ლაფუენტე, ალკორტა, ლარასაბალი, ლაკრუსი, ოსკარ ვალესი, გერერო, ალკისა, ორბაისი, ესკერო (ტიკო 69), ხ. ეჩებერია (იესტე 69), ურსაისი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი რობო
მალაგა: კონტრერასი, რობასი, როტეტა, ფერნანდო სანსი, ლარაინსარი, მოვილია, მუსამპა (აგოსტინიო 80), რუფეტე, დე ლოს სანტოსი, ედგარი (სანდრო 73), კანაბალი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ესკერო, რუფეტე ლაკრუსი, იესტე
25 000 მაყურებელი

### ნუმანსია 2:1 ესპანიოლი

0:1 ტამუდო (3), 1:1 ნაგორე (45პ), 2:1 როსუ (63)
ნუმანსია: ნუნიესი, ანტია, მანელი, პაჩეტა, ნაგორე, როსუ (მარინი 85), კულებრასი (სორია 78), ხოსე მანუელი, ინიაკი, რუბენ ნავარო (პაკო მორანი 68), ოხედა
მწვრთნელი: სელესტინო ვალეხო
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი (ოსკარი 69), როტჩენი, ლოპო, ველამასანი (ბენიტესი 75), სერხიო, ნავასი, არტეაგა, მორალესი, მარტინ პოსე (სერანო 75), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: როტჩენი, მორალესი, პაჩეტა, კრისტობალი, კულებრასი, ველამასანი, ლოპო, სერანო, ტამუდო, ოხედა, მარინი
9 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 2:0 ოსასუნა

1:0 ესკუდა (22), 2:0 პალერმო (64)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბერუე, კიკე ალვარესი, ხავი როჩა (ბაროს შელოტო 85), ხავი გრასია (გალვანი 76), ესკუდა, ამორი, ხორხე ლოპესი, ვიქტორი, პალერმო (მოიზესი 87)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
ოსასუნა: ნუნო, იანგუასი, კრუჩაგა, ვიდაკოვიჩი (ალფონსო 46), ხერარდო, პალასიოსი (კუკო სიგანდა 74), ლორენსი, ლეკუმბერი, განსედო, საბინო, ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ლორენსი, კრუჩაგა, ხავი როჩა, პალერმო, ამორი
13 000 მაყურებელი

**26 მაისს,** როცა თბილისი ულიმღამოდ აღნიშნავდა დამოუკიდებლობის დღეს, მადრიდში დიდი ზეიმი იყო — „რეალი" ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე სხვათაგან მიუღწეველი შეიქნა.

ოცდამერვე ესპანური ტიტულის მოკლე სტენოგრამა ასეთია: რაულმა ახლო კუთხეში დაურტყა ალავესელთა კარის დარაჯ მარტინ ერერას და თავის სიძლიერესთან ერთად ისიც დაამტკიცა, რომ არგენტინელი მეკარე ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლია „ალავესში". მერე მასპინძლებმა სტუმრებს თამაშის განახლება წესიერად არც დააცალეს და ზუსტად ერთ წუთში მეორე გოლი გაიტანეს — ბასკები ამაოდ გაიძახოდნენ, გუტი თამაშგარეში იყოო. მეორე ტაიმში ლუიშ ფიგუს ვირტუოზული პასით კაპიტანმა ფერნანდო იერომ იხეირა. ამას ივან ელგერას თავური და რაულის მეორე მოჰყვა.

განსაკუთრებით საყურადღებო იეროსა და რაულის გოლებია. იეროსთვის ეს პრიმერადივიზიონში გატანილი მეასე ბურთია, ხოლო დუბლმა რაული სეზონის უპირველეს ბომბარდირად აქცია.

„ალავესს" კი რა? არაფერი. უეფას თასის ფინალისტისთვის ინტერტოტოზე გასვლაც პრაქტიკულად აუხდენელ ოცნებად იქცა.

თუმცა რა დროს „ალავესია", როცა ჩემპიონთა ლიგამ შესაძლოა „ბარსელონას" გარეშე ჩაიაროს. აქამდე „ბარსელონას" შინ ორი თამაში წაეგო, ხოლო „ოვიედოს" გასვლაზე ერთადერთი მოგება ჰქონდა.

განა მტკიცება უნდა, რომ კატალონიელებმა მეტოქე მისსავე საჯარიმოს მიაჯაჭვეს და გაუთავებლად ბომბავდნენ. და ის, რომ გოლი ვერ გაიტანეს, ოვიედოელი მეკარე ანდრეს ესტებანის გმირობაზე მიგვანიშნებს.

მოხდა ის, რაც ძალიან ხშირად ხდება — მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ხაიმე ფერნანდესმა მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირა და ყელი გამოჭრა.

ისე, „ბარსელონა" ლიგის მიღმა რომ დარჩეს, „ოვიედოსთან", „რასინგსა" და „ოსასუნასთან" წაგებებს და „ნუმანსიასთან" ფრეს უნდა დაბრალდეს? საოცარია, „ბარსელონა" პრიმერადივიზიონის ოთხ მაჩანჩალას ვერ უგებს.

კიდევ კარგი, „რასინგმა" „ვალენსიას" სამი ქულა არ გაატანა, თორემ დარჩენილი ორი ტური ინტერესს დაკარგავდა: ბოლო წუთზე გაისკა მენდიეტას რომ არ ეყოჩაღა, ვალენსიელები შინ სულაც უქულოდ დაბრუნდებოდნენ. თუმცა ეს ბევრს არაფერს წყვეტს და ლიგაში გამსვლელი მეოთხე გუნდის ვინაობას ბოლო ტურის „ბარსელონა" — „ვალენსია" გაარკვევს. თუ, რა თქმა უნდა, ბოლოსწინა ტურში „ვალენსიამ" „დეპორტივოს" არ მოუგო ან „ბარსელონა" ვალიადოლიდიდან უქულოდ არ დაბრუნდა. მოკლედ, ძალიან საინტერესო ტურები გველის, მაგრამ ისევ ამ ტურს მივუბრუნდეთ და „რასინგი" — „ვალენსიას" მატჩზე ის დავამატოთ, რომ ლიგის ფინალის მერე სტუმრები აშკარად გადაღლილები ჩანდნენ და მასპინძლები მოგებასაც იმსახურებდნენ.

საყოველთაო მოლოდინი, რომ ლიგის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლა „ბარსელონასა" და „მალიორკას" შორის გაჩაღდებოდა, არ გამართლდა — „რაიო ვალეკანოს" განადგურების შემდეგ კუნძულელებს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში განაღდებული აქვთ და საზრუნავი ისღა დარჩენიათ, პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდნენ.

„მალიორკას" ამგვარი წარმატება დივიზიონის დებულებამ მისცა, რომლის მიხედვითაც „ბარსელონამ" მისი დაწევაც რომ შეძლოს, უკეთ[illegible] გამოვლენა ურთიერთშეხვედრებ[illegible] შედეგებით ხდება, რაშიც „მალიორკა" „ბარსას" [illegible] ლომის [illegible] კამერუნელმა [illegible] ლმა [illegible] ორივე თანაგუნდელებმა მისი პასებით გაიტანეს.

„დეპორტივომ" შინ თექვსმეტთვიანი წაუგებელი სერია „ვალიადოლიდთან" მარცხით დაასრულა.

64-ე წუთისთვის სტუმრები 2:0 იგებდნენ და ლაკორუნიელები დარჩენილ დროში როი მაკაის ერთ საპასუხოსღა გამორჩნენ. თუმცა მაკაის გოლმა თამაშს დაძაბულობა შემატა, რისი მიზეზიც ოდენ წაუგებელი სერიის გაგრძელება არ ყოფილა. მიზეზი „მალიორკაზე" საუბრისას ვთქვით. ეს ორი გუნდი მეორე ადგილისთვის ეცილება ერთმანეთს, რაც ჩემპიონთა ლიგაში კვალიფიკაციის გავლას აარიდებს. სხვა მხრივ კი რა, სანამ „რიასორზე" თამაში დაიწყებოდა, „რეალი" უკვე ზეიმობდა ჩემპიონობას და გალისიელები გვარიანად დაღონებულები იყვნენ — მათ ტიტულის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

უეფას თასისკენ მიიწევს „სელტა", რომელმაც „ლას პალმასს" მისსავე მოედანზე მოუგო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამარჯვება კანარელთა დამსახურება უფროა, ვიდრე გალისიელთა. ჯერ იყო და მე-15 წუთზე ლასპალმასელებმა მეტოქეს პენალტი აჩუქეს, მაგრამ გუსტავო ლოპესმა ძელს გაარტყა. მერე კი ალვარომ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, თორემ „სელტა" მომგები ნაღდად არ ჩანდა.

„რეალ სოსიედადმა" ერთი საფეხურით კიდევ აიწია, რაც სარაგოსაში მიღწეული ფრის წყალობით შეძლო. სხვათა შორის, სწორედ „სარაგოსასთან" მატჩში, ოღონდ სან სებასტიანში, შედგა გიორგი დემეტრაძის უიღბლო ესპანური დებიუტი და ჩვენებურმა ამჯერად მხოლოდ ბოლო ოთხი წუთი ითამაშა.

**გიორგი დარჯანია**

## მეორე დივიზიონი

### XXXIX ტური

### ელჩე 2:0 ეიბარი

1:0 ნადი (45), 2:0 ჩანგუი (47)

### უნივერსიდადი 1:3 სევილია

0:1 ზალაიეტა (11), 1:1 ალექსისი (13პ), 1:2 ფრედი (34), 1:3 ოლივერა (50პ)

### ფეროლი 2:3 სპორტინგი

0:1 პაბლო ალვარესი (28), 0:2 მანელი (57), 0:3 ორსაიდა (67ს.კ.), 1:3 პასოლო (84), 2:3 რაზოვი (90)

### ხაენი 3:1 უელვა

0:1 დავიდი (11პ), 1:1 პეპელუ (18პ), 2:1 ნონო (73პ), 3:1 ხურადო (90)

### ატლეტიკო 1:0 ლეგანესი

1:0 ლუკე (53)

### კორდობა 3:0 ლეიდა

1:0 ხოსე მარი (14), 2:0 სორია (26), 3:0 რაფა მორენო (54)

### ბადახოსი 0:0 ალბასეტე

### კომპოსტელა 1:1 ლევანტე

1:0 ხუანიტო (44), 1:1 მოა (81)

### ესტრემადურა 2:0 მურსია

1:0 პედრო ხოსე (24), 2:0 ისმაელი (88)

### ტენერიფე 1:1 სალამანკა

1:0 მარიონი (29), 1:1 კიკე მარტინი (79)

### ბეტისი 1:0 ხეტაფე

1:0 ამატო (56პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 39 | 21 | 10 | 8 | 62:37 | 73 |
| ბეტისი | 39 | 19 | 12 | 8 | 44:29 | 69 |
| ტენერიფე | 39 | 19 | 11 | 9 | 54:29 | 68 |
| ატლეტიკო | 39 | 18 | 11 | 10 | 56:39 | 65 |
| ალბასეტე | 39 | 17 | 12 | 10 | 40:35 | 63 |
| უელვა | 39 | 14 | 20 | 5 | 42:26 | 62 |
| სპორტინგი | 39 | 16 | 11 | 12 | 52:46 | 59 |
| სალამანკა | 39 | 16 | 8 | 15 | 46:43 | 56 |
| კორდობა | 39 | 14 | 13 | 12 | 37:33 | 55 |
| ხაენი | 39 | 14 | 13 | 12 | 34:37 | 55 |
| ლევანტე | 39 | 11 | 20 | 8 | 52:46 | 53 |
| ესტრემადურა | 39 | 15 | 8 | 16 | 37:42 | 53 |
| ეიბარი | 39 | 11 | 17 | 11 | 28:26 | 50 |
| ბადახოსი | 39 | 10 | 20 | 9 | 31:33 | 50 |
| მურსია | 39 | 11 | 13 | 15 | 50:52 | 46 |
| ლეგანესი | 39 | 8 | 20 | 11 | 40:38 | 44 |
| ფეროლი | 39 | 10 | 13 | 16 | 41:47 | 43 |
| ელჩე | 39 | 9 | 15 | 15 | 41:51 | 42 |
| კომპოსტელა | 39 | 10 | 10 | 19 | 37:63 | 40 |
| ხეტაფე | 39 | 9 | 10 | 20 | 41:58 | 37 |
| უნივერსიდადი | 39 | 6 | 15 | 18 | 27:56 | 33 |
| ლეიდა | 39 | 4 | 12 | 23 | 32:58 | 24 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რეალი | 36 | 23 | 7 | 6 | 78:38 | 40 | 76 | 18 | 14 | 3 | 1 | 51:14 | 37 | 45 | 18 | 9 | 4 | 5 | 27:24 | 3 | 31 |
| 2 დეპორტივო | 36 | 20 | 7 | 9 | 68:44 | 24 | 67 | 18 | 14 | 3 | 1 | 40:13 | 27 | 45 | 18 | 6 | 4 | 8 | 28:31 | -3 | 22 |
| 3 მალიორკა | 36 | 18 | 11 | 7 | 53:39 | 14 | 65 | 18 | 13 | 4 | 1 | 34:17 | 17 | 43 | 18 | 5 | 7 | 6 | 19:22 | -3 | 22 |
| 4 ვალენსია | 36 | 18 | 9 | 9 | 53:30 | 23 | 63 | 18 | 13 | 1 | 4 | 30:9 | 21 | 40 | 18 | 5 | 8 | 5 | 23:21 | 2 | 23 |
| 5 ბარსელონა | 36 | 16 | 11 | 9 | 75:53 | 22 | 59 | 18 | 11 | 4 | 3 | 48:22 | 26 | 37 | 18 | 5 | 7 | 6 | 27:31 | -4 | 22 |
| 6 სელტა | 36 | 15 | 10 | 11 | 49:48 | 1 | 55 | 18 | 10 | 7 | 1 | 30:17 | 13 | 37 | 18 | 5 | 3 | 10 | 19:31 | -12 | 18 |
| 7 ვილიარეალი | 36 | 15 | 9 | 12 | 54:51 | 3 | 54 | 18 | 8 | 6 | 4 | 29:25 | 4 | 30 | 18 | 7 | 3 | 8 | 25:26 | -1 | 24 |
| 8 მალაგა | 36 | 15 | 8 | 13 | 58:56 | 2 | 53 | 18 | 9 | 5 | 4 | 32:23 | 9 | 32 | 18 | 6 | 3 | 9 | 26:33 | -7 | 21 |
| 9 ალავესი | 36 | 14 | 7 | 15 | 55:53 | 2 | 49 | 18 | 10 | 2 | 6 | 32:20 | 12 | 32 | 18 | 4 | 5 | 9 | 23:33 | -10 | 17 |
| 10 ესპანიოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 43:38 | 5 | 47 | 18 | 8 | 3 | 7 | 22:14 | 8 | 27 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:24 | -3 | 20 |
| 11 ბილბაო | 36 | 11 | 10 | 15 | 43:54 | -11 | 43 | 18 | 9 | 4 | 5 | 31:22 | 9 | 31 | 18 | 2 | 6 | 10 | 12:32 | -20 | 12 |
| 12 ლას პალმასი | 36 | 12 | 7 | 17 | 39:59 | -20 | 43 | 18 | 9 | 3 | 6 | 19:21 | -2 | 30 | 18 | 3 | 4 | 11 | 20:38 | -18 | 13 |
| 13 სარაგოსა | 36 | 9 | 14 | 13 | 53:55 | -2 | 41 | 18 | 8 | 8 | 2 | 39:22 | 17 | 32 | 18 | 1 | 6 | 11 | 14:33 | -19 | 9 |
| 14 ვალიადოლიდი | 36 | 9 | 14 | 13 | 39:46 | -7 | 41 | 18 | 8 | 8 | 2 | 22:13 | 9 | 32 | 18 | 1 | 6 | 11 | 17:33 | -16 | 9 |
| 15 რაიო ვალეკანო | 36 | 9 | 13 | 14 | 54:66 | -12 | 40 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:24 | 4 | 24 | 18 | 3 | 7 | 8 | 26:42 | -16 | 16 |
| 16 ოვიედო | 36 | 11 | 7 | 18 | 48:62 | -14 | 40 | 18 | 9 | 5 | 4 | 41:26 | 15 | 32 | 18 | 2 | 2 | 14 | 7:36 | -29 | 8 |
| 17 სოსიედადი | 36 | 10 | 10 | 16 | 49:66 | -17 | 40 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:28 | 0 | 24 | 18 | 4 | 4 | 10 | 21:38 | -17 | 16 |
| 18 ოსასუნა | 36 | 8 | 12 | 16 | 41:54 | -13 | 36 | 18 | 5 | 8 | 5 | 25:25 | 0 | 23 | 18 | 3 | 4 | 11 | 16:29 | -13 | 13 |
| 19 რასინგი | 36 | 9 | 9 | 18 | 44:60 | -16 | 36 | 18 | 9 | 5 | 4 | 30:21 | 9 | 32 | 18 | 0 | 4 | 14 | 14:39 | -25 | 4 |
| 20 ნუმანსია | 36 | 9 | 9 | 18 | 37:61 | -24 | 36 | 18 | 7 | 5 | 6 | 22:24 | -2 | 26 | 18 | 2 | 4 | 12 | 15:37 | -22 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 22 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 21 |
| რივალდო (ბარსელონა) | 20 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 19 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |

### XXXVII ტური

2-3 ივნისი

ალავესი — მალიორკა
ბილბაო — სოსიედადი
სელტა — ვილიარეალი
ესპანიოლი — ლას პალმასი
მალაგა — რასინგი
ოსასუნა — სარაგოსა
ოვიედო — რეალი
რაიო ვალეკნო — ნუმანსია
ვალენსია — დეპორტივო
ვალიადოლიდი — ბარსელონა

# უძინართა ქალაქი
## რეალის ოცდარვა, სანჩისის რვიანი



ფიესტა მადრიდში

**შაბათს** მადრიდის „რეალი“ ოცდამერვედ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, მაგრამ მადრიდელმა გულშემატკივრებმა ისე გაიხარეს, თითქოს „რეალს“ აქამდე არაფერი მოეგოს. მთელი „დათვისა და მარწყვის“ ქალაქი „სიბელესის“ მოედანზე შეიკრიბა — სპორტულ მიღწევათა აღნიშვნის ტრადიციულ ადგილზე.

ოცდამერვედო, ვთქვით, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ „ბარსელონასა“ და „დეპორტივოსგან“ შევიწროებული „სამეფო კლუბი“ ოთხი წელი ელოდა ამ დღეს.

„ოლე, ოლე!“ — ასე შეეგებნენ ქომაგები „რეალის“ გადაჭრილ ავტობუსს, რომელმაც მათი კერპები მოედანზე მიიყვანა. ავტობუსიდან ფეხბურთელები შადრევნის თავზე აღმართულ ლომებზე გადასხდნენ და ფანებთან ერთად დააგუგუნეს კლუბის ჰიმნი.

აბა, ვინ დამალავდა სიხარულს.

ვისენტე დელ ბოსკე: „სეზონი ევროპის ჩემპიონებად დავიწყეთ და ესპანეთის ჩემპიონებად დავასრულეთ. ბედნიერი ვარ ასეთ ვარსკვლავებთან და უბრალოდ კარგ ადამიანებთან მუშაობით. განსაკუთრებულ მადლობას ქომაგებს ვუხდი, რომელთაგან გამხნევება ერთი წუთითაც არ მოგვკლებია“.

როცა ჩემპიონთა ლიგის მომგები მწვრთნელი ასე ბედნიერია, კლუბის პრეზიდენტზე რაღა ვთქვათ, რომლისთვისაც ეს პირველი რეალური სეზონი იყო. ფლორენტინო პერესი: „სიტყვები არ მყოფნის გრძნობების გამოსახატავად. დღევანდელი ტრიუმფი იმ სამუშაოს შედეგია, რომელიც ერთნაირად კარგად შეასრულეს ფეხბურთელებმა და ფანებმა. გაისად სხვა ჯილდოებიც უნდა მოვიგოთ“.

თუ მაინც შევეცდებით, ვინმეს სიხარული სხვათაგან გამოვარჩიოთ, ემილიო ბუტრაგენიო უნდა ვახსენოთ, კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი: „ალავესთან“ მატჩმა დაადასტურა, რა დონის გუნდიცაა „რეალი“. სწორედ ასეთი თამაშით უნდა გავმხდარიყავით ჩემპიონები, ზოგიერთებს სალაპარაკო რომ არ ჰქონოდათ. დღეს უძილო ღამე გველის, კარგად მოვილხენთ“.

„ასეთი გამარჯვებების მერე დაღლილობა გავიწყდება. მთელი სეზონი ისე მონდომებულად ჩავატარეთ, ჩემპიონობის ხელიდან გაშვება უბრალოდ წარმოუდგენელი იყო“.

ლუიშ ფიგუ [illegible] მესამედ ავიდა პოდიუმზე: „იგებს ის, ვინც მართლაც ყველაზე ძლიერია. [illegible]ლის მაჩვენებელი კი სტაბილურობაა. ჩვენ მთელი სეზონი სტაბილურად ძლიერად ჩავატარეთ, ჩავარდნა არ გვქონია. მართალია, ლიგა ვერ მოვიგეთ, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონობით გამოწვეული სიხარული არანაკლებია“.

„რეალში“ ერთი კაციც გვეგულება, რომელიც კარგა ხანია, იშვიათად ახსენდებათ. როცა გულშემატკივრები წინა თაობის „რეალს“ იხსენებენ, უცებ ამოტივტივდება სახელები: მიგელ მიჩელი, რაფაელ მარტინ ვასკესი, მიგელ პარდესი, ემილიო ბუტრაგენიო და მანუელ სანჩისი, შინაურულად მანოლო, რომელიც დღესაც „რეალის“ კაპიტნად ითვლება და რომლისთვისაც საფეხბურთო კარიერა სამ კვირაში, ამ სეზონის დასრულებასთან ერთად მთავრდება.

„საოცარი გრძნობა მეუფლება. ეს ჩემი ბოლო სეზონია და ღმერთმა ასეთი საჩუქარი გამომიგზავნა. წარმოსადგენადაც ძნელია — ესპანეთის რვაგზის ჩემპიონი ვარ. ეს გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ და ახლა მშვიდად შეგვიძლია დავისვენოთ. ჩემი მეგობრები ახალ სეზონში ყველაფერს თავიდან დაიწყებენ, ჩემს გულში კი ყოველთვის ბედნიერ მოგონებად დარჩება „რეალში“ გატარებული ბრწყინვალე წლები“.

**გიორგი დარჯანია**

# ჩილავერტი კაცურად წავიდა
## აიღო. გაიტანა. მოიგო



ხოსე ლუის ჩილავერტი

### საფრანგეთი

**თასის ფინალი**

**სტრასბური 0:0 (პენ. 5:4) ამიენი (II)**

**სტრასბური:** ჩილავერტი, ნჟანკა, ფიშერი, ისმაელი, ბერტენი, იოჰანსენი, ამზინი (რემი 46), ლუნდქვისტი, კამადინი (ლიუბოია 108), მარტენსი, ბეი

**ამიენი:** ლაშუერი, ლერუა, ევოლო, აბალო, სტრელჩაკი, დარბელე, დუშემენი, ლებრიუნი, სამპილი, რივენე (ბჯალი 104), კოველე (შალიე 80)

78 641 მაყურებელი

**დაახლოებით** 4 000 ქომაგი შეეგება მშობლიურ „მეინოზე“ კვირას ნაშუადღევს დაბრუნებულ „სტრასბურს“, რომელმაც წინა დღეს „სტად დე ფრანსზე“ საფრანგეთის თასი მოიგო. მომავალი სეზონიდან მეორე დივიზიონის ბინადარ „ამიენის“ ფეხბურთელებს მომდევნო ჩემპიონატშივე შეეძლებათ რევანშის აღება, რადგან სტრასბურელებმა იმდენად უხეიროდ ჩაატარეს სეზონი, ელიტიდან გავარდნენ და მათაც მეორე დივიზიონში ამოყვეს თავი.

თუმცა მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, ალზასელებს მაინც საკმაოდ თბილი შეხვედრა მოუწყვეს მათმა თავგადაკლულმა გულშემატკივრებმა. „მართალია, ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთგვარად მაინც იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან 120 წუთის მანძილზე ჩვენმა გუნდმა საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუშვა. ასეთი თამაშით გაისად პირველ დივიზიონში ვერ დავბრუნდებით. ჩემი პესიმიზმის მიუხედავად, „მეინოს“ აბონემენტს მომავალი სეზონისთვისაც შევიძენ, რადგან გუნდს ჭირში უფრო სჭირდება დახმარება და თანადგომა“ — თქვა „სტრასბურის“ ერთ-ერთმა ქომაგმა.

„უფრო მეტ ხალხს ველოდით, მაგრამ სეზონის შედეგების გათვალისწინებით, სტადიონის ერთ მეოთხედამდე შევსებაც დიდი საქმეა“ — ეს კი ალზასელთა კაპიტან ტედი ბერტენის სიტყვებია.

თუ ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი პარაგვაელ მეკარე ხოსე ჩილავერტს, ასე თუ ისე ოვაციები ერგოთ, სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად შეხვდნენ კლუბის პრეზიდენტ პატრიკ პრუაზის, რომლისგანაც მთელი ხალხი გადადგომას მოითხოვდა. ძნელი სათქმელია, წავა თუ არა პრუაზი, რადგან ასეთი ნაბიჯის გადადგმა ხომ იცით, რა ძნელია. მარტო „წადი, წადის“ ძახილით ნებით თითქმის არავინ თმობს თანამდებობას და პრუაზის რა ღმერთი გაუწყრება, თუ რაიმე სხვა ზომებსაც არ მიმართეს „სტრასბურის“ ქომაგებმა.

იმდენი ვილაპარაკოთ სტრასბურელთა დახვედრაზე, თავად ფინალური მატჩი თითქმის გადაგვავიწყდა, მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, არც იყო დიდად საინტერესო თამაში, სანახაობრივზე რომ არაფერი ვთქვათ. ერთადერთი, რაც არ აკლდა ამ მატჩს, დაძაბულობა და ფეხბურთელთა უამრავი შეცდომა იყო. მხოლოდ მეკარეები ირჯებოდნენ მშვენივრად და ამიტომაც დამთავრდა ძირითადი და დამატებითი დრო უგოლოდ.

პიკარდიელებმა დიდი დანაკლისი განიცადეს შეხვედრის დაწყებამდე. მათმა საუკეთესო მეგოლემ, ჟან-ფრანსუა რივიერმა (15 გოლი) მოთელვისას ტრავმა მიიღო და თავისიანების დახმარება მხოლოდ სათადარიგოთა სკამიდან გამამხნევებელი შეძახილებით შეძლო.

ამიენელებმა თამაში გაუვალ დაცვასა და კონტრშეტევებზე ააგეს, რაც ჩინებულად გამოუვიდათ. მათ მეტოქეს საკუთარ კართან მისასვლელი ყველა გზა გადაუკეტეს და სტრასბურელებსაც შორეული დარტყმების გარდა აღარაფერი დარჩენოდათ. თუმცა გოლის გატანის ამ მცდელობებს იოლად აუვნებლებდა ჟულიენ ლაშუერი.

მეორე ტაიმში სახიფათო მომენტებმა იმატა, მაგრამ ეს თავდამსხმელთა დამსახურება კი არ იყო, არამედ მცველთა უხეირო თამაშის შედეგი. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ორივე გუნდის მეკარე მშვენივრად ირჯებოდა და ამიტომ გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა. აქ ჩილავერტმა იმარჯვა და ერთი თერთმეტმეტრიანის მოგერიების შემდეგ გამარჯვებისა თავად შეაგდო.

„მიხარია, რომ წასვლის წინ ჩვენს გულშემატკივრებს ეს სიხარული ვაჩუქეთ“ — თქვა პარაგვაელმა, რომელიც მომავალი სეზონიდან ისევ სამხრეთ ამერიკაში დაბრუნდება.

**გაგი გურული**



ჰენრიკ ლარსონი

# სამით მესამე
## 31-ე 32-ის მერე პირველივეზე

### შოტლანდია

**თასის ფინალი**

**სელტიკი 3:0 ჰიბერნიანი**

1:0 მაკნამარა (39), 2:0, 3:0 ლარსონი (48, 80პ)

**სელტიკი:** დუგლასი, მიალბი, ვეგა, ვალგაერენი, აგათი, ლენონი, ლამბერტი (ბოიდი 78), მორავჩიკი (მაკნამარა 18), ტომპსონი (ჯონსონი 88), ლარსონი, სატონი

**ჰიბერნიანი:** კოლგანი, სმიტი, სოზე, ფენვიკი, მიურეი, ონილი, ჯეკი, ბრებნერი (არპინონი 61; ლოველი 81), ლაურსენი, ლიბრა, პაატელაინენი (ზიტელი 69)

გაფრთხილება: ვალგაერენი, მიურეი, ჯეკი, სმიტი

51 824 მაყურებელი

**ამ ვითომ** ამოუხსნელი ფორმულის ავტორი და სულისჩამდგმელი ირლანდიელი კაცია, გვარად ონილი — მისი „სელტიკში“ მწვრთნელად დანიშვნის პირველივე წელიწადს გლაზგოელ კათოლიკეთა გუნდმა სამივე საშინაო შეჯიბრი მოიგო, რაც ბოლოს 32 წლის წინ, ლეგენდარული ჯოკ სტინის ხელმძღვანელობით შეძლო. სეზონის ბოლო, მესამე ჯილდო „სელტიკმა“ გასულ შაბათს მშობლიურ ქალაქში, თუმც კი ნეიტრალურ „ჰემპდენ პარკზე“ მოიპოვა, როცა სამი უპასუხო გოლი გაუტანა დედაქალაქ ედინბურგის „ჰიბერნიანს“. შედეგად, შოტლანდიის თასს „სელტიკი“ 31-ედ დაეუფლა.

ჰენრიკ ლარსონმა საკუთარ წარმოუდგენელ მონაგარს კიდევ ორი გოლი მიუმატა ჯერ 47-ე წუთზე, როცა ჯეკი მაკნამარას პასს მეტოქის კარიდან 14 მეტრში დახვდა და ცაციათი შეაგდო, მერე კი დამთავრებამდე ათი წუთით ადრე, როცა თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. „ჩინებული სეზონი ჩინებულად ჩავამთავრეთ“ — თქვა ჯამში 53 გოლის გამტანმა შვედმა.

არადა, შაბათის მატჩში პირველი ორი სახიფათო მომენტი გლაზგოელთა კართან შეიქმნა — მარკ ლიბრასა და ჯონ ონილს ამ უკანასკნელის მოგვარის დამწუხრება შეეძლოთ, მაგრამ ვერ ივარგეს. სამაგიეროდ, დაშავებული ლუბომირ მორავჩიკის ნაცვლად მე-18 წუთზევე გამოსულმა ჯეკი მაკნამარამ 39-ეზე დიდიე აგატის პასით გახსნა ანგარიში. დანარჩენი ზემოთ მოვყევით.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ორივე მწვრთნელი კმაყოფილებას გამოხატავდა: მარტინ ონილი გადასარევი სეზონის გამო, ედინბურგელი ალექს მაკლიში კი „ჰიბერნიანის“ პროგრესით — შარშან ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავედით, თასზე კი ნახევარფინალს ვერ გავცდით, ამიტომ წლევანდელი შედეგები და უეფას თასზე გასვლა ძლიერ გვახარებსო. ამავდროულად, ორივე მწვრთნელმა ჭორებზე ლაპარაკს თავი აარიდა — ონილს მომავალ წელს „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლო გადასვლაზე დაეკითხნენ, მაკლიშს კი მისით „ვესტ ჰემის“ დაინტერესებაზე სთხოვეს კომენტარი. მაგაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევიაო — თითქმის ერთნაირად უპასუხეს ფინალისტთა თავკაცებმა.

**გიგა ძოგახიძე**

## ჰოლანდია

XXXIV ტური

**აიაქსი 5:1 ალკმარი**

1:0 ვან დერ ვაარტი (22), 1:1 ბუსატა (26), 2:1 ვან დერ ვაარტი (30), 3:1 ვან დერ მეიდე (52), 4:1 არველაძე (59), 5:1 ვან დერ გუნი (71)

აიაქსი: გრიმი, დე კლერი (კივუ 73), პასანენი, იკედია, იაკუბუ, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, ობრაიენი, ვან დერ მეიდე, შ. არველაძე (ვან დერ გუნი 63), მახლასი (კრუზი 63)

მწვრთნელი: კო ადრიანსე

36 600 მაყურებელი

**ნაიმეგენი 2:4 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ბრუგინკი (10), 1:1 შულპი (33), 1:2 ბრუგინკი (34), 2:2 ვან რიისვიკი (58), 2:3 ბრუგინკი (70), 2:4 ვან დერ დულენი (89)

პსვ ეინდჰოვენი: კუტინიო, ვან დერ ვეერდენი, ადო, ნიკიფოროვი (დირქსი 46), პაინცე, ლუსიუსი (ვან დერ დულენი 77), დე იონგი, კოლკა, ბრუგინკი, კემანი, რამზი (ბახტიაძე 70)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

9 000 მაყურებელი

**უტრეხტი 6:0 გრონინგენი**

1:0 გლუშაკევიჩი (1), 2:0 ვან მოლი (14), 3:0 კუიტი (34), 4:0 ვან მოლი (43), 5:0 ტანგე (52), 6:0 გლუშაკევიჩი (57)

**როზენდალი 0:1 ფეიენოორდი**

0:1 ელმანდერი (65)

**ვალვაიკი 3:2 როდა**

1:0 პუგენდორპი (9), 2:0 ლამეი (27), 3:0 რედანი (67), 3:1, 3:2 ლავალი (86, 90)

**ჰერენვენი 1:1 ტვენტე**

0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (85), 1:1 ოლბოკი (90)

**სპარტა 2:2 ვიტესი**

1:0 ლანგერაკი (10), 2:0 ბუხარი (42პ), 2:1 მზამზა (44), 2:2 ვ. სიკორა (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 34 | 25 | 8 | 1 | 73:23 | 83 |
| ფეიენოორდი | 34 | 21 | 3 | 10 | 67:37 | 66 |
| აიაქსი | 34 | 18 | 7 | 9 | 85:43 | 61 |
| როდა | 34 | 17 | 8 | 9 | 59:41 | 59 |
| უტრეხტი | 34 | 17 | 8 | 9 | 58:43 | 59 |
| ვიტესი | 34 | 16 | 11 | 7 | 56:43 | 59 |
| ვალვაიკი | 34 | 16 | 11 | 7 | 48:36 | 59 |
| ტილბურგი | 33 | 14 | 9 | 10 | 59:46 | 51 |
| ბრედა | 33 | 13 | 9 | 11 | 40:39 | 48 |
| ჰერენვენი | 34 | 11 | 14 | 9 | 51:42 | 47 |
| ტვენტე | 34 | 10 | 11 | 13 | 47:60 | 41 |
| ნაიმეგენი | 34 | 9 | 13 | 12 | 42:53 | 40 |
| ალკმარი | 34 | 9 | 8 | 17 | 45:63 | 35 |
| გრონინგენი | 34 | 8 | 9 | 17 | 36:56 | 33 |
| გრააფსხაპი | 33 | 9 | 3 | 21 | 43:65 | 30 |
| სიტარდი | 33 | 7 | 7 | 19 | 27:63 | 28 |
| სპარტა | 34 | 6 | 7 | 21 | 42:72 | 25 |
| *როზენდალი* | *34* | *4* | *2* | *28* | *37:90* | *14* |

## შვეიცარია

მეორე ეტაპი

A ჯგუფი

XIV ტური

**ციურიხი 1:2 ლოზანა**

1:0 ჭავალაშვილი (37), 1:1 მაიერი (71), 1:2 კუება (77)

ციურიხი: პასკოლო, ჟენერე, ფიშერი, კვენტინი (ჟასარი 81), დუშ სანტუში (კაირი 68), ჩინაბი, ბიულმანი, ობანგო, დუგლასი, ბალე, ჭავალაშვილი

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

1 300 მაყურებელი

**სენტ გალენი 0:4 გრასჰოპერი**

0:1, 0:2, 0:3 ნუნიესი (2, 44, 68), 0:4 ზაპუზა (84)

**ბაზელი 1:1 სერვეტი**

0:1 ფრეი (51), 1:1 ბარბერისი (79)

**სიონი 2:1 ლუგანო**

1:0 დარბელეი (7), 2:0 ვურნავი (22), 2:1 როსი (50)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 14 | 8 | 4 | 2 | 29:14 | 46 |
| ლუგანო | 14 | 5 | 5 | 4 | 24:19 | 41 |
| სენტ გალენი | 14 | 6 | 2 | 6 | 23:28 | 40 |
| ბაზელი | 14 | 4 | 8 | 2 | 18:16 | 37 |
| სერვეტი | 14 | 5 | 5 | 4 | 26:19 | 37 |
| ლოზანა | 14 | 4 | 3 | 7 | 15:27 | 33 |
| სიონი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:22 | 32 |
| ციურიხი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:18 | 28 |

*მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია*

A/B ჯგუფი

XIV ტური

**ბელინცონა 1:6 არაუ**

0:1, 0:2 ბაუდრი (4, 21), 0:3 დე ნაპოლი (32), 1:3 ტარონე (39), 1:4 სკრეპშაკი (44), 1:5 სხენკერი (49), 1:6 ხომერიკი (66)

არაუ: კოლბრუნერი, ბაუდრი, სკრეპშაკი, პეგა, ფიხტერი, სხენკერი (ვოლფი 62), ვიდერკერი (პავლიჩევიჩი 46), ეგიმენი, ხომერიკი, დე ნაპოლი, შმიდი (მ. შტრასერი 62)

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

1 500 მაყურებელი

იანგ ბოიზი — ვილი 1:0; ლუცერნი — ვინტერტური 2:3; ივერდონი — ქაამაქსი 3:2

B ჯგუფი

მე-14 ტური: ბადენი — ლოკარნო 5:0; კარუჟი — ტუნი 1:1; სოლოტურნი — დელემონი 1:2; ვანგენი — კრიენსი 1:0

## პორტუგალია

XXXIV ტური

**გიმარაეში 1:0 ფარენსე**

1:0 სიონი (50)

**სპორტინგი 1:0 მარიტიმუ**

1:0 ბარბოსა (3)

**ალვერკა 2:1 კამპომაიორენსე**

1:0 მილინკოვიჩი (67), 1:1 ბეკე სანტუში (75), 2:1 ნევეში (90)

**ჟილ ვისენტე 3:1 ფერეირა**

1:0 პაულუ სეზარი (49), 2:0 ნუნუ ასისი (70), 2:1 ლეონარდუ რიბეირუ (75), 3:1 პიერი (87)

**სალგეირუში 2:0 ბელენენსეში**

1:0 ჟოაუ პედრუ (25), 2:0 უატარა (36)

**ავეში 4:4 ბენფიკა**

1:0 რუდოლფი (3), 2:0 ნოვაიში (19პ), 3:0 რუდოლფი (23), 3:1 ვან ჰოიდონკი (30), 3:2 ჟოაუ ტომასი (36), 3:3 ვან ჰოიდონკი (65), 4:3 ალეიშუ (77), 4:4 ნელეში (30)

**პორტუ 4:0 ბოავიშტა**

1:0, 2:0, 3:0 დეკო სოუზა (11, 18, 44), 4:0 რიკარდუ სილვა (59)

**ბეირა მარი 3:3 ამადორა**

0:1 კრისტოვაო (8), 0:2 ხემედუ (14), 1:2 რუი ნევეში (62ს.კ.), 1:3 გაუჩო გომეში (70), 2:3 რიკარდუ სოუზა (85პ), 3:3 ფეიე (88)

**ბრაგა 3:5 ლეირია**

1:0 ზე რობერტუ (24), 2:0 კასტანეირა (32), 2:1 დერლეი სილვა (42), 3:1 აბიოდუმი (48), 3:2 ტუ ზე (75), 3:3 დერლეი სილვა (76), 3:4 ტუ ზე (89), 3:5 დინდა (90)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 34 | 23 | 8 | 3 | 63:22 | 77 |
| პორტუ | 34 | 24 | 4 | 6 | 73:27 | 76 |
| სპორტინგი | 34 | 19 | 5 | 10 | 56:37 | 62 |
| ბრაგა | 34 | 16 | 9 | 9 | 58:48 | 57 |
| ლეირია | 34 | 15 | 11 | 8 | 46:41 | 56 |
| ბენფიკა | 34 | 15 | 9 | 10 | 54:44 | 54 |
| ბელენენსეში | 34 | 14 | 10 | 10 | 43:36 | 52 |
| ბეირა მარი | 34 | 14 | 7 | 13 | 45:49 | 49 |
| ფერეირა | 34 | 12 | 12 | 10 | 47:39 | 48 |
| მარიტიმუ | 34 | 12 | 7 | 15 | 34:37 | 43 |
| ალვერკა | 34 | 12 | 7 | 15 | 45:52 | 43 |
| სალგეირუში | 34 | 13 | 4 | 17 | 41:55 | 43 |
| ფარენსე | 34 | 10 | 9 | 15 | 37:47 | 39 |
| ჟილ ვისენტე | 34 | 10 | 7 | 17 | 34:41 | 37 |
| გიმარაეში | 34 | 9 | 9 | 16 | 41:49 | 36 |
| *კამპომაიორენსე* | *34* | *7* | *11* | *16* | *29:58* | *32* |
| *ავეში* | *34* | *4* | *10* | *20* | *31:68* | *22* |
| *ამადორა* | *34* | *4* | *7* | *23* | *30:57* | *19* |

## ჩეხეთი

30-ე ტური: ბლშანი — ტეპლიცე 3:1; სპარტა — სიგმა 0:1; ხანიკი — პრიბრამი 0:1; ლიბერეცი — ბრნო 0:0; ბოჰემიანსი — ჟიჟკოვი 1:0; პლზენი — იაბლონეცი 2:1; სინოტი — ბუდეიოვიცე 2:0; დრნოვიცე — სლავია 1:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 30 | 21 | 5 | 4 | 71:31 | 68 |
| სიგმა | 30 | 14 | 10 | 6 | 47:33 | 52 |
| სლავია | 30 | 14 | 10 | 6 | 46:32 | 52 |
| პრიბრამი | 30 | 14 | 9 | 7 | 41:26 | 51 |
| ჟიჟკოვი | 30 | 12 | 10 | 8 | 45:41 | 46 |
| ლიბერეცი | 30 | 12 | 9 | 9 | 39:31 | 45 |
| დრნოვიცე | 30 | 11 | 8 | 11 | 35:36 | 41 |
| ტეპლიცე | 30 | 12 | 4 | 14 | 45:39 | 40 |
| ბლშანი | 30 | 10 | 10 | 10 | 35:35 | 40 |
| ბოჰემიანსი | 30 | 10 | 10 | 10 | 33:34 | 40 |
| სინოტი | 30 | 9 | 10 | 11 | 37:35 | 37 |
| იაბლონეცი | 30 | 8 | 8 | 14 | 26:40 | 32 |
| ბრნო | 30 | 7 | 9 | 14 | 24:35 | 30 |
| ხანიკი | 30 | 7 | 9 | 14 | 28:45 | 30 |
| *ბუდეიოვიცე* | *30* | *6* | *8* | *16* | *32:56* | *26* |
| *პლზენი* | *30* | *4* | *9* | *17* | *30:65* | *21* |

## შვედეთი

მე-8 ტური: სუნდსვალი — იურგორდენი 0:0; ჰალმსტადი — ნორჩიოპინგი 4:0; მალმიო — ჰამარბი 1:0; აიკ — ჰაკენი 2:0; ელფსბორგი — იორებრო 1:0; ჰელსინგბორგი — ტრელებორგი 3:0; იორგრიტე — გიოტებორგი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 8 | 5 | 3 | 0 | 16:4 | 18 |
| ჰამარბი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:5 | 13 |
| მალმიო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:10 | 13 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:7 | 12 |
| იორგრიტე | 8 | 3 | 3 | 2 | 13:9 | 12 |
| აიკ | 8 | 3 | 3 | 2 | 8:6 | 12 |
| ჰალმსტადი | 8 | 3 | 2 | 3 | 17:9 | 11 |
| ელფსბორგი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:15 | 10 |
| სუნდსვალი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:7 | 9 |
| ნორჩიოპინგი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:12 | 9 |
| იურგორდენი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:9 | 8 |
| ჰაკენი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 |
| იორებრო | 8 | 1 | 4 | 3 | 8:12 | 7 |
| ტრელებორგი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:16 | 7 |

თასის ფინალი

**ელფსბორგი 1:1 (პენ. 10:9) აიკ**

0:1 ნოვაკოვიჩი (21), 1:1 კლარსტრიომი (47)

## ინგლისი

პლეი ოფი. ფინალი

II დივიზიონი

**რედინგი 2:3დ.დ. (1:1) უოლსოლი**

1:0 კარეტონი (31), 1:1 გუდმენი (48), 2:1 ბატლერი (91), 2:2 რუჯი (108ს.კ.), 2:3 ბიფილდი (109)

III დივიზიონი

**ბლექპული 4:2 ლეიტონ ორიენტი**

0:1 ტეტი (1), 1:1 ჰიუზი (35), 1:2 ჰაფთონი (37), 2:2 რიდი (45), 3:2 სიმპსონი (77), 4:2 ორმეროდი (88)

## დანია

31-ე ტური: ოლბორგი — მიდტიულანდი 2:1; აკადემისკი — ვიბორგი 2:0; ჰადერსლევი — ჰერფიოლგე 1:2; ოდენსე — ორჰუსი 0:4; კოპენჰაგენი — ლიუნგბიუ 1:1; სილკებორგი — ბრონდბიუ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 31 | 15 | 12 | 4 | 51:26 | 57 |
| ბრონდბიუ | 31 | 16 | 7 | 8 | 68:38 | 55 |
| სილკებორგი | 31 | 14 | 11 | 6 | 44:32 | 53 |
| მიდტიულანდი | 31 | 13 | 10 | 8 | 47:42 | 49 |
| ვიბორგი | 31 | 13 | 7 | 11 | 49:36 | 46 |
| ოლბორგი | 31 | 12 | 10 | 9 | 49:45 | 46 |
| ლიუნგბიუ | 31 | 12 | 8 | 11 | 39:48 | 44 |
| ოდენსე | 31 | 12 | 7 | 12 | 46:43 | 43 |
| ორჰუსი | 31 | 12 | 4 | 15 | 48:56 | 40 |
| აკადემისკი | 31 | 7 | 14 | 10 | 39:40 | 35 |
| ჰერფიოლგე | 31 | 6 | 9 | 16 | 39:61 | 27 |
| ჰადერსლევი | 31 | 1 | 7 | 23 | 28:80 | 10 |

## თურქეთი

34-ე ტური: დენიზლი — ბეშიქთაში 2:2; ერზერუმი — გაზიანთეფი 0:2; ბურსა — ანკარაგიუჯიუ 2:3; ისთანბული — რიზე 1:0; სამსუნი — ფენერბაჰჩე 1:3; ქოჯაელი — ადანა 4:3; იეთფა — იოზგათი 1:3; გენჩლერბირლიგი — ანთალია 2:1; გალათასარაი — ტრაბზონი 4:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 34 | 24 | 4 | 6 | 82:39 | 76 |
| გალათასარაი | 34 | 23 | 4 | 7 | 77:35 | 73 |
| გაზიანთეფი | 34 | 20 | 8 | 6 | 67:40 | 68 |
| ბეშიქთაში | 34 | 19 | 7 | 8 | 68:48 | 64 |
| ტრაბზონი | 34 | 17 | 7 | 10 | 69:52 | 58 |
| ანკარაგიუჯიუ | 34 | 16 | 8 | 10 | 65:59 | 56 |
| იოზგათი | 34 | 13 | 10 | 11 | 55:46 | 49 |
| სამსუნი | 34 | 13 | 9 | 12 | 55:52 | 48 |
| რიზე | 34 | 13 | 7 | 14 | 45:43 | 46 |
| გენჩლერბირ. | 34 | 14 | 4 | 16 | 44:53 | 46 |
| დენიზლი | 34 | 12 | 9 | 13 | 53:56 | 45 |
| ისთანბული | 34 | 12 | 8 | 14 | 47:58 | 44 |
| ქოჯაელი | 34 | 10 | 11 | 13 | 56:60 | 41 |
| ბურსა | 34 | 11 | 7 | 16 | 55:60 | 40 |
| ანთალია | 34 | 9 | 9 | 16 | 45:64 | 36 |
| *იეთფა* | *34* | *6* | *6* | *22* | *47:81* | *24* |
| *ერზერუმი* | *34* | *5* | *6* | *23* | *36:80* | *21* |
| *ადანა* | *34* | *2* | *10* | *22* | *51:91* | *16* |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## აზია

I ჯგუფი. VI ტური

**ფილიპინები 1:1 ლაოსი**

1:0 დონა (28), 1:1 სუქსომბა (82)

**ომანი 2:0 სირია**

1:0 მუბარაქი (45), 2:0 შააბანი (67)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ომანი | 6 | 5 | 1 | 0 | 33:3 | 16 |
| სირია | 6 | 4 | 1 | 1 | 40:6 | 13 |
| ლაოსი | 6 | 1 | 1 | 1 | 3:40 | 4 |
| ფილიპინები | 6 | 0 | 1 | 5 | 2:29 | 1 |

*ომანის ნაკრები გავიდა მეორე ეტაპზე*

V ჯგუფი. IV ტური

**პაკისტანი 1:8 ლიბანი**

0:1 ანლა (5), 0:2 ჯაზარიანი (10), 1:2 არშადი (20), 1:3, 1:4 ანტარი (32, 42), 1:5 დუშ სანტუში (46), 1:6 ჯაზარიანი (60), 1:7 სილვა (78), 1:8 დუშ სანტუში (88)

**შრი ლანკა 0:3 ტაილანდი**

0:1 პიტურატანა (37), 0:2, 0:3 სენამუანგი (50, 60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტაილანდი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:3 | 12 |
| ლიბანი | 4 | 3 | 0 | 1 | 19:3 | 9 |
| შრი ლანკა | 4 | 0 | 1 | 3 | 5:14 | 1 |
| პაკისტანი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:20 | 1 |

IX ჯგუფი. VI ტური

**ინდონეზია 0:2 ჩინეთი**

0:1 ჰაო (45), 0:2 ჩენგინგი (69)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 25:3 | 18 |
| ინდონეზია | 6 | 4 | 0 | 2 | 16:7 | 12 |
| მალდივეთი | 6 | 1 | 1 | 1 | 8:19 | 4 |
| კამბოჯა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:21 | 1 |

*ჩინეთის ნაკრები გავიდა მეორე ეტაპზე*

## საბერძნეთი

30-ე ტური: ირაკლისი — იონიკოსი 3:2; ქსანთი — აეკ 0:1; ათინაიკოსი — ეთნიკოსი 1:3; პანიონიოსი — ოფი 0:2; იანინა — პანილიაკოსი 3:0; კალამატა — პანათინაიკოსი 2:4; პაოკ — პანაჰაიკი 5:1; არისი — ოლიმპიაკოსი 2:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 30 | 25 | 3 | 2 | 84:22 | 78 |
| პანათინაიკოსი | 30 | 20 | 6 | 4 | 61:20 | 66 |
| აეკ | 30 | 19 | 4 | 7 | 61:34 | 61 |
| პაოკ | 30 | 14 | 9 | 7 | 66:48 | 51 |
| ირაკლისი | 30 | 14 | 4 | 12 | 45:40 | 46 |
| იონიკოსი | 30 | 12 | 8 | 10 | 46:46 | 44 |
| არისი | 30 | 13 | 5 | 12 | 37:41 | 44 |
| ქსანთი | 30 | 11 | 5 | 14 | 24:37 | 38 |
| პანიონიოსი | 30 | 9 | 9 | 12 | 39:42 | 36 |
| ეთნიკოსი | 30 | 9 | 7 | 14 | 34:52 | 34 |
| ოფი | 30 | 8 | 9 | 13 | 39:49 | 33 |
| იანინა | 30 | 8 | 9 | 13 | 40:53 | 33 |
| პანაჰაიკი | 30 | 9 | 6 | 15 | 39:56 | 33 |
| პანილიაკოსი | 30 | 7 | 8 | 15 | 26:46 | 29 |
| *კალამატა* | *30* | *4* | *9* | *17* | *39:66* | *21* |
| *ათინაიკოსი* | *30* | *5* | *5* | *20* | *37:65* | *20* |

## ამხანაგური მატჩები

**მეტროსტარზი 2:0 ბაიერნი**

1:0 მატისი (36), 2:0 კომასი (43)

**ბრაზილია 2:0 იაპონია**

1:0 ვაშინგტონი (51), 2:0 ლეანდრო (85)

**ინგლისი 4:0 მექსიკა**

1:0 სქოულზი (3), 2:0 ფაულერი (14), 3:0 ბექემი (29), 4:0 შერინგემი (74)

ინგლისი: მარტინი (ჯეიმსი 46), ფ. ნევილი, რ. ფერდინანდი (კარაგერი 46), კოული (საუთგეიტი 46), ეშლი კოული (კ. პაუელი 46), ბექემი (ჯ. კოული 46), ჯერარდი (კარიკი 46), ჰესკი (მილსი 67), სქოულზი (ბათი 46), ოუენი (ა. სმიტი 46), ფაულერი (შერინგემი 55)

მექსიკა: ო. სანჩესი, სუარესი, ბელტრანი (დავინო 46), ოტეო, კოიოტე (რანხელი 76), მ. რუისი, ვ. რუისი (ოსორნო 58), როდრიგესი (პერესი 82), აბუნდისი, დე ნიგრისი, ჩავესი (პარდო 46)

33 597 მაყურებელი

## სომხეთი

თასის ფინალი

**მიკა 1:1 (პენ. 4:3) არარატი**

1:0 ნიკოლიანი (53), 1:1 იესაიანი (63)

## პოლონეთი

თასის ფინალი. II მატჩი

**პოლონია 2:2 გორნიკი (2:1)**

0:1 დიერჩავი (30), 1:1 პავლაკი (34), 1:2 დიერჩავი (7?), 2:2 ბაკი (89)

ლიგის თასის ფინალი. I მატჩი

**ზაგლემბე 0:3 ვისლა**

0:1 სოსინი (32), 0:2 მოსკალევიჩი (33), 0:3 ჟურვიეი (72)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 3 ივნისს*

## უკრაინა

თასის ფინალი

**შახტარი 2:1დ.დ. (1:1) ცსკა**

0:1 კოსტიშინი (7), 1:1, 2:1 ატელკინი (80, 120)

## ავსტრია

თასის ფინალი

**ტიროლი 1:2დ.დ. (1:1) კარნტენი (II)**

0:1 კოლმანი (35), 1:1 გლიდერი (70), 1:2 სტაინერი (112)

## ბელგია

თასის ფინალი

**ვესტერლო 1:0 ლომელი (II)**

1:0 დელენი (37)

## ბელარუსი

თასის ფინალი

**ბელშინა 1:0დ.დ. (0:0) სლავია**

1:0 გრადობოიევი (96, ოქროს გოლი)

## ალბანეთი

თასის ფინალი

**ტირანა 5:0 ტეუტა**

1:0, 2:0 ჰალილი (5, 19), 3:0 დედე (25პ), 4:0 ჰალილი (52), 5:0 პრენგა (60)

## კარიბეთი

თასის ფინალი

**ტრინიდადი და ტობაგო 3:0 ჰაიტი**

1:0 დეილ სონდერსი (28), 2:0 რაპიმი (67), 3:0 ედვარდსი (77)

## აზერბაიჯანი

თასის ფინალი

**შაფა 2:1 ნეფთჩი**

1:0 მამედოვი (8), 1:1 ალიევი (23), 2:1 იმამალიევი (85)

## კონფედერაციის თასი

A ჯგუფი

საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ავსტრალია

| | |
|---|---|
| 30 მაისი | სამხრეთ კორეა — საფრანგეთი; მექსიკა — ავსტრალია |
| 1 ივნისი | ავსტრალია — საფრანგეთი; სამხრეთ კორეა — მექსიკა |
| 3 ივნისი | საფრანგეთი — მექსიკა; სამხრეთ კორეა — ავსტრალია |

B ჯგუფი

ბრაზილია, იაპონია, კამერუნი, კანადა

| | |
|---|---|
| 31 მაისი | ბრაზილია — კამერუნი; იაპონია — კანადა |
| 2 ივნისი | კანადა — ბრაზილია; იაპონია — კამერუნი |
| 4 ივნისი | იაპონია — ბრაზილია; კამერუნი — კანადა |

ნახევარფინალი

7 ივნისი B1 — A2; A1 — B2

მატჩი მესამე ადგილისთვის

9 ივნისი

ფინალი

10 ივნისი



გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

მთამსვლელობა

# თორთლაძის გამოცანა ამოიხსნა

**როგორც** ვიუწყებოდით, თბილისელი მთამსვლელის გია თორთლაძის ჰიმალაიზე ლაშქრობის ურთიერთგამომრიცხავმა ცნობებმა გვარიანად დაგვაბნია. კაცი ეკოლოგიური ექსპედიციის წევრებთან ერთად ევერესტზე ჩრდილოეთიდან ასასვლელად წავიდა, მაგრამ იმ გუნდმა უამინდობის გამო განზრახვაზე ხელი აიღო და დაიშალა. ამ დროს, გასული კვირის ბოლოს, თორთლაძის მეუღლისგან შევიტყვეთ, რომ გიამ დამირეკა და მითხრა, 22 მაისს ევერესტზე ავედიო. სულ დავიბენით, როცა იმავე დღეს გია თორთლაძის სახელი სამხრეთიდან ლჰოცზეზე მოლაშქრე საერთაშორისო ექსპედიციის შემადგენლობაში ამოვიკითხეთ. იმ ექსპედიციის ორი წევრი, პოლონელები ანა ჩერვინსკა და მარიუს ზალუსკი შერპ პასანგ ტჩერი შერპასთან ერთად 21 მაისს მწვერვალზე ავიდა.

წარმოუდგენელი იყო, რომ ერთი და იგივე მთამსვლელი ერთდღიანი ინტერვალით ჰიმალაის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე მოხვედრილიყო.

ასე იყო თუ ისე, „აზია ტრეკინგის" პრეზიდენტ დავა შერპას ფაქსი მივიღეთ, იგი ჰიმალაის მწვერვალებზე ექსპედიციების ორგანიზატორი და ხელისშემწყობია. იმ ფაქსით ირკვევა, რომ თორთლაძე ჩრდილოეთიდან მართლაც ასულა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, ქვემოთაც მშვიდობით დაშვებულა და კატმანდუშიც გადასულა, ამ ინფორმაციას დავა შერპას მილოცვაც ერთვის.

ირკვევა, რომ გია თორთლაძეს ევერესტის ჩრდილოეთის ფერდობებიდან ფეხი არ მოუცვლია. ეკოლოგიური ექსპედიციის დაშლის მერე, მას და სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელებს, გუნდი ჩამოუყალიბებიათ და 22 მაისს მწვერვალზეც ასულან. ევერესტის პიკისთვის თხუთმეტ კაცს მიუღწევია. მანამდე გია თორთლაძეს თავი დაუზღვევია. ჩრდილოეთის ფერდობზე მიზანს თუ ვერ მიაღწევდა, მისი თხოვნით „აზია ტრეკინგს" თორთლაძე ლჰოცზეზე საერთაშორისო ექსპედიციის შემადგენლობაშიც შეუყვანია.

ჩვენი მთამსვლელის სახელი ასე მოხვედრილა იმ ექსპედიციის სიაში საიდანაც აღარ ამოუშლიათ...

**ავთანდილ ჭყუიშელი**



გია თორთლაძე

ძიუდო

# შოთა ხაბარელი: უმედლოდ არც მიუნხენიდან დავბრუნდებით

**საქართველოს** ჭიდაობის სახეობათა წარმომადგენლებმა, შეიძლება ითქვას, გაზაფხული მაღალ ნოტაზე დაასრულეს. ევროპის ჩემპიონატებზე მოასპარეზე თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა დარად, ქართველი ძიუდოისტები ახლახან გასრულებულ კონტინენტის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ. პარიზის ევროპული ტატამიდან ჩვენი სპორტსმენები, მართალია, ჩემპიონის გარეშე დაგვიბრუნდნენ, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, გუნდური მეორე ადგილი დაეკავებინათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატი ჩვენი სპორტისთვის ჯერ არნახული შედეგით დაასრულეს.

ხუმრობა ხომ არაა ხუთი მედლის მოპოვება, მით უმეტეს, რომ ერთი სახეობის წარმომადგენლების მიერ მთლიანად ქართულ სპორტში ასეთი მიღწევით ვერავინ დაიკვეხნის. ამაში წვლილი მიუძღვით ნესტორ ხერგიანს (60 კგ), ივერი ჯიქურაულს (100 კგ), ალექსი დავითაშვილსა (მძიმე წონა) და რამაზ ჩოჩიშვილს (აბსოლუტური). მათ შორის ყველაზე მაღალი ხარისხის ჯილდო, ვერცხლის მედალი, დავით მარგოშვილმა (66 კგ) მოიგო. ამის შესახებ ჩვენ უკვე გაუწყეთ.

გუშინ კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პარიზულ პერიპეტიებთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე მასმედიის წარმომადგენლები მიიწვიეს. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა მოკლედ მიმოიხილა ევროპის 50-ე ჩემპიონატი. „უდავოა, რომ წარმატებით ვიასპარეზეთ — გვითხრა შოთა ხაბარელმა — თუმც რომ არა მსაჯთა უნებლიე შეცდომები, შეიძლება ჩემპიონიც გვყოლოდა. მიუხედავად ამისა, მსაჯობით უკმაყოფილო არ ვარ. წინა ჩემპიონატებთან შედარებით ისინი პარიზში უფრო კორექტულები იყვნენ. მოგეხსენებათ, ძიუდო მოულოდნელობებით აღსავსე სახეობაა. აქ ძალიან სწრაფად კეთდება გდებები და მსაჯიც შეიძლება შეცდეს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩემპიონატი ახალი სისტემით გაიმართა. ერთსა და იმავე დღეს ამა თუ იმ წონით კატეგორიაში ასპარეზობაც იწყებოდა და ფინალიც ტარდებოდა. სიახლე იყო ისიც, რომ თუ რომელიმე შეხვედრა უქულოდ დასრულდებოდა, ინიშნებოდა დამატებითი ხუთი წუთი, სადაც პირველი ქულის მომპოვებელ სპორტსმენს გამარჯვება ეთვლებოდა. თუ დამატებითი დროც ქულის გარეშე დასრულდებოდა, მაშინ სპორტსმენთა ბედს მსაჯები წყვეტდნენ.

სხვათა შორის სამომავლოდ ვიდეოფირის გაშიფრვის პრაქტიკის დანერგვას აპირებენ. ეს ჩვენთვის კარგი იქნება, რადგან ბევრჯერ ყოფილა, რომ ჩვენი ძიუდოისტი მსაჯს უსამართლოდ დაუსჯია. ახლა შეგვეძლება ასეთი რამ ალვკვეთოთ და ჩვენი პროტესტი ოფიციალურად, ვიდეოფირის მეშვეობით დავასაბუთოთ. ოღონდ ეს სამომავლოდ, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში მხარდაჭერა გვჭირდება. ახლაც, ევროპის ჩემპიონატზე ისე გავემგზავრეთ, რომ არც ერთ ტურნირზე არ გამოვსულვართ. ერთ-ერთ შეჯიბრზე მაინც რომ გვეასპარეზა, შეიძლებოდა უკეთესი შედეგიც გვქონოდა. ისე, რომ არა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, იქნებ შეკრებები ვერც გაგვევლო. არადა, თუ შეკრებისთვის სახსრები არ გამოინახა, მაშინ მოსამზადებელი ციკლი ჩავარდება და სპორტსმენის შესაბამის კონდიციამდე მიყვანა გაჭირდება.

ერთ კვირაში, ბაკურიანში შევიკრიბებით. ამის მერე მინსკის საერთაშორისო ტურნირზეც გამოვალთ, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნაკრების შემადგენლობასაც შევარჩევთ.

რა თქმა უნდა, მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთი მედლის მოპოვება ბევრად რთული იქნება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ უმედლოდ არ დავბრუნდეთ."

**გიგა გურასაშვილი**

რაგბი

შვიდკაცა. მსოფლიოს სერია

# არშემდგარი ვენდეტა

**ლონდონში** მიმდინარე „მსოფლიო სერიაში" შემავალ საშვიდკაცო ტურნირზე კვირას ჯგუფური ეტაპი გასრულდა და ის გუნდები გამოვლინდნენ, რომლებიც თასისთვის გაგრძელებენ ბრძოლას.

ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა ჯგუფის ყველა მატჩი წააგო და ახლა ოდენ მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის მოუწევს ასპარეზობა. ჩვენი მოშვიდკაცეები პირველ მატჩში, ჯონა ლომუს გარეშე მოთამაშე ახალ ზელანდიასთან დამარცხდნენ — 0:31. მომდევნო შეხვედრა მათ შვიდკაცა რაგბიში დახელოვნებულ კანადელებთან გამართეს. ქართველთათვის ეს იყო ბოლო შანსი მეოთხედფინალში გასასვლელად და ჩინებული შესაძლებლობა მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხისთვის ღირსეული რევანშის ასაღებად. დიდი იმედების მიუხედავად „ჭადრის ფოთლებმა" 19:14 სძლიეს ჩვენებურებს. მესამე მატჩმა სატურნირო ვითარების თვალსაზრისით აზრი დაკარგა რადგან რუსეთის ნაკრებს ჩვენს დარად ორივე შეხვედრა წაეგო და გზა პლეი-ოფისკენ ყველანაირად მოჭრილი ჰქონდა. თუმც პრინციპული მეტოქეები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ, თანაც ქართველებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ იმავე მსოფლიოს თასზე სინისათვის მატჩში რუსებთან მარცხი შემთხვევითობა იყო და მეტი არაფერი. რევანში არც აქ შედგა. ქართველმა მორაგბეებმა სლავებს ვერც ამჯერად დაუპირისპირეს რაიმე და შეხვედრა 5:14 დათმეს.

თასისთვის ბრძოლა ახალი ზელანდიისა და კანადის ნაკრებებმა გააგრძელეს, ქართველებს კი რვა უიღბლო გუნდთან მოუწევს თავისი ძალის დამტკიცება. პლეი ოფის მატჩები გუშინ გვიან ღამით გაიმართებოდა.

**ბაჩო სვანიძე**

მსოფლიოს ახალგაზრდული თასის შესარჩევი ტურნირი

# გვიშველის უკრაინა?

**რუმინელებთან** განცდილი მარცხის შემდეგ მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მეორე მატჩში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკრაინელ თანატოლებს დაუპირისპირდა.

რუმინეთის ზღვისპირა ქალაქ კონსტანცაში გამართულ მატჩში ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა 16:11 სძლიეს მეტოქეს. შალვა დადუნაშვილის და გიორგი გუნდიშვილის ორ ლელოს დავით მხეიძემ ორი გოლი დაურთო, რამაც განაპირობა კიდეც ქართველთა გამარჯვება. ამით საქართველოს ნაკრებმა პირველი ქულებიც მოიპოვა და თავისი ასპარეზობაც დაასრულა.

ახლა კი ჩვენი ახალგაზრდების მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსებზეც ვთქვათ. ბორჯღალოსნები პრაქტიკულად ამ უდიდესი სარაგბო ტურნირის მიღმა აღმოჩნდნენ, თუმც ჯერ კიდევ არის თეორიული შანსი, მაგრამ ის იმდენად მინიმალურია, რომ თვითონ გუნდის ხელმძღვანელობას არა აქვს იმედი.

გაემგზავრებიან თუ არა ქართველი ოცდაერთწლამდელები მსოფლიოს თასზე, რუმინეთ — უკრაინის მატჩის შემდეგ გაირკვევა. თუ ჩვენგან ძლეული უკრაინელები საკმაოდ ძლიერ მასპინძელ რუმინელებს, არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი ქულის სხვაობით დაამარცხებენ, რაც ნაკლებად სავარაუდოა, მაშინ სამივე გუნდს გატანილ-გაშვებული ბურთების ბალანსი თანაბარი ექნება. ამ შემთხვევაში ამოქმედდება მეტი ლელოს წესი, ანუ ერთადერთ საგზურს დაეუფლება ის გუნდი, ვისაც მთელი ტურნირის მანძილზე ყველაზე მეტი ლელო ექნება გატანილი. ამ კომპონენტში ქართველებს სხვებზე უკეთ გვაქვს საქმე, დიმიტრი ფულარიას შეგირდებმა ორ მატჩში ოთხჯერ დაალელოვეს მეტოქეები და ჯერჯერობით ლელოთა რიცხვით პირველი მაჩვენებელი აქვთ.

რუმინეთ — უკრაინის შედეგის ყველა სხვა შემთხვევაში მსოფლიოს თასზე რუმინეთი ან უკრაინა გაემგზავრება.

**ბაჩო სვანიძე**

კალათბურთი

თურქეთი

# ფაჩულიას ფინალისკენ მიიწევს

პლეი ოფი

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ეფესი | 2 |
| დარუშაფაკა | 1 |

ეფესი 78:69 დარუშაფაკა

| | |
|---|---|
| ულქერი | 2 |
| ტელეკომი | 0 |

ულქერი 97:95 ტელეკომი

ულქერი: ლოლისი (8), ჰენდლოგტენი (20), ფაჩულია (12 წუთი, 9 ქულა, 4 მოხსნა), გოლიოვიჩი (12), ერდენაი (25), გიულერი (5), აჩიკი (14), გონლუმი (4), შაჰინი

ტელეკომი: უჩოკლარი (13), ტონი (1), დემირალი (2), ერლი (26), ერდენი (12), იურკოვიჩი (20), რადოშევიჩი (21)

თურქეთის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

შაბათს ჩატარებული პირველი ნახევარფინალური მატჩებიდან ჩვენს ინტერესს, ბუნებრივია, ზაზა ფაჩულიას „ულქერსა" და ანკარის „ტელეკომს" შორის გამართული შეხვედრა იწვევდა.

როგორც გახსოვთ, მეოთხედფინალური სერიის ბოლო მატჩში „ულქერმა" „გალათასარაის" საკმაოდ დამაჯერებლად სძლია და ჩემპიონობაზე სერიოზული განაცხადიც გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ ზაზა და მისი თანაგუნდელები „ტელეკომს" თურქეთის თასის ნახევარფინალშიც გადაეყარნენ. სამწუხაროდ, იმ დუელში „ულქერი" დამარცხდა.

ცხადია, ამჯერად მასპინძლებს რევანშის აღება სწყუროდათ და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშის არყოფნაში მთელი შეხვედრა ცხრა კაცით ჩაატარეს, დამატებით დროში მაინც იმარჯვეს.

თავად მატჩი, როგორც ნახევარფინალს ეკადრება, დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველი ოცი წუთის განმავლობაში მასპინძლები დომინირებდნენ, მესამე და მეოთხე ათწუთეული კი „ტელეკომის" უპირატესობით წარიმართა და ძირითადი დრო 80:80 დასრულდა. დამატებითი დროის ბოლო წამებზე კი წინა შეხვედრებშიც ბრწყინვალედ მოთამაშე აჩიკმა ზუსტი ტყორცნით დაამწუხრა ანკარელები — 97:95.

რაღა თქმა უნდა, ზაზასაც მიუძღვის წვლილი ამ გამარჯვებაში, რომელმაც თორმეტი წუთი დაჰყო მოედანზე და თავის გუნდს 9 ქულა შესძინა. „ულქერი" კი სერიაში 2:0 დაწინაურდა და ერთი მოგებაღა აშორებს ფინალს.

**გაგა ხუციშვილი**

იტალია

პლეი ოფი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| სკავოლინი | 3 |
| სნაიდერო | 2 |

სკავოლინი 103:82 სნაიდერო

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

კინდერი — ბენეტონი

ფორტიტუდო — სკავოლინი

ნახევარფინალები დაიწყება 30 მაისს

საბერძნეთი

პლეი ოფი

პირველი წრე (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1 |
| ირაკლისი | 0 |

ოლიმპიაკოსი 98:70 ირაკლისი

| | |
|---|---|
| აეკ | 1 |
| პანიონიოსი | 0 |

აეკ 80:73 პანიონიოსი

## სლოვენია

### პლეი ოფი

მესამე ადგილისთვის (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| სლოვანი | 2 |
| პივოვარნა | 1 |

**სლოვანი 78:73 პივოვარნა**

**სლოვანი:** ნოვაკი (11), ლაკოვიჩი (16), ტაკელი (6), უგრეხელიძე (27 წუთი, 15 ქულა, 11 მოხსნა, 1 ჩაჭრა), კოვაჩი, პავიჩი (6), ბოისა (22 წუთი, 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), მარავიჩი (4), ცქიტიშვილი (14 წუთი, 13 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი)

**პივოვარნა:** იურაკი (10), ლისიცა (11), ერცენი (8), უდრიჰი (14), დუშჩაკი (6), ბროლიჰი (3), დრაგშიჩი (8), ოვჩინა (8), ნაკიჩი (5)

# სლოვენიური ბრინჯაო ქართველთათვის

სლოვენიაში საკალათბურთო მარათონი ფინიშის სწორზე გავიდა. ქართველ გულშემატკივართა ინტერესი, ცხადია, ბრინჯაოსათვის მებრძოლი გუნდების პაექრობისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ჩვენი თანამემამულე ლეგიონერებით დახუნძლული დედაქალაქის „სლოვანი“ ლაშკოს „პივოვარნას“ ერკინებოდა. სწორედ „პივოვარნა“ გახლდათ ის გუნდი, რომელიც შარშან ლიუბლიანელებს პლეი ოფის ამ ეტაპზე გადაეყარა და მათ საპრიზო ადგილს დაკავების სურვილს ცივი წყალი გადაასხა. წლეულს პირველ საშინაო მატჩში დამარცხების შემდეგ სლოვანელებმა ლაშკოში მასპინძლებს მცირე საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს და მესამე გადამწყვეტ შეხვედრაში მშობლიურ „კოდელიევო არენაზე“ მხოლოდ გამარჯვებას გეგმავდნენ. წინა თამაშის იოლად მოგების შემდეგ, ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი „სლოვანის“ წარმატებაში, თუმც ისიც ცხადი იყო, სტუმრები არაფერს დათმობდნენ და თავიანთ ტიტულს კბილებით დაიცავდნენ.

გამარჯვების გაორკეცებული სურვილით ანთებულმა მასპინძლებმა თავიდანვე მწყობრად შეუტიეს და საწყის წუთებში 10:4 დაწინაურდნენ. შეტევაში ჩინებულად მოთამაშე სლოვანელებს ზურგს ძლიერი უკანა ხაზიც უმაგრებდა და უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ მათი უპირატესობა საგრძნობი გახდა — 23:9.

მასპინძლებმა მეორე ათწუთეულიც რიხით დაიწყეს და ანგარიშში სხვაობას სულ უფრო სოლიდურს ხდიდნენ. ლაშკოელები ვერაფერს უხერხებდნენ დაცვაში ბრწყინვალედ მოთამაშე „სლოვანს“ და მდგომარეობის გამოსასწორებლად სამქულიანების სროლას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ეს მათ ისევე არ გამოსდიოდათ, როგორც მოწინააღმდეგეთა დაცვითი კედლის გარღვევა. მეოთხედის შუაწელში მასპინძელთა უპირატესობამ 17 ქულას მიაღწია და მათ თავს მოდუნების საშუალება მისცეს. სწორედ ეს გახდა პივოვარნელთა გამოცოცხლების მიზეზი. სტუმრები ათამაშდნენ და თუ აქამდე სლოვანელთა შეჩერება შეუძლებელი იყო, ახლა მათ გამოსდიოდათ ყველაფერი. ლაშკოელები თანდათან ამცირებდნენ ანგარიშში სხვაობას და შედეგად პირველი ნახევრის შემდეგ „სლოვანის“ უპირატესობა 9 ქულითღა გამოიხატებოდა.

„პივოვარნამ“ არც მეორე ტაიმში უკლო ტემპს და მესამე მეოთხედის დასასრულამდე რამდენიმე წუთით ადრე მხოლოდ ქულასღა აგებდა — 43:44. მასპინძლები, რომლებსაც ჩვილმეტ ქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შორის გაუქრათ, დემორალიზებულნი იყვნენ და ახალ ძალებს საჭიროებდნენ. ეს კარგად უწყოდა ლიუბლიანელთა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა. მან მოედანზე ნიკა ცქიტიშვილი შეუშვა, რომელიც ამ მატჩის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, დავით უგრეხელიძეს შეეწყვილა და ისინი ერთად აწიოკებდნენ პივოვარნელთა დაცვას. ქართველებს მხარი იაკა ლაკოვიჩმაც აუბა და სტუმართა წარმატებული სვლა შეჩერდა. მასპინძლები მართალია ინარჩუნებდნენ ანგარიშში უპირატესობას, მაგრამ არცთუ დიდს. მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. მაშინ, როცა ანგარიში 71:70 იყო სლოვანელთა სასარგებლოდ, სტუმარმა სლავკო დუშჩაკმა სამქულიანის ჩაგდება მოიწადინა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა და რამდენიმე წამში ლაკოვიჩმა ზუსტად შესრულებული საჯარიმოების შემდეგ „სლოვანს“ ბრინჯაოს მედლები გაუნაღდა.

ქართველთა წვლილი ამ გამარჯვებაში ერთობ სოლიდურია. დავით უგრეხელიძე, რომელმაც „სლოვანის“ წინა მოგებაშიც ლომის წილი დაიდო, 15 ქულითა და 11 მოხსნით ყველაზე შედეგიანი იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში ლაკოვიჩის შემდეგ. ამ უკანასკნელმა ქულით მეტი შესძინა თავის გუნდს. ნიკა ცქიტიშვილმა მოედანზე მხოლოდ 14 წუთი დაჰყო, მაგრამ მისმა მონაგარმა 13 ქულა შეადგინა. რაც შეეხება ვლადიმერ ბოისას, რომელმაც წინა თამაშში მცირე ტრავმა მიიღო, მან 22 წუთი ითამაშა და გუნდს 6 ქულით დაეხმარა. კოტე ტულუში კი, სამწუხაროდ, განაცხადში ვერ მოხვდა.

„სლოვანი“ დამსახურებულად დაეუფლა ბრინჯაოს მედლებს და რომ არა ის ფატალური შეცდომა, რომელიც სლოვანელებმა ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში, „კრკასთან“ ბოლო წამებზე დაუშვეს, ქართული ლეგიონი ეგებ სხვა, უფრო კეთილშობილი ლითონის მედლებით მკერდდამშვენებული შეერთებოდა ბულგარელებთან შესახვედრად სამზადისში მყოფ საქართველოს ნაკრებს.

**ირაკლი კერტაია**

## ესპანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პლეი ოფი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 3 |
| ფორუმი | 0 |

**ფორუმი 96:98 ბარსელონა**

| | |
|---|---|
| უნიკახა | 3 |
| პამესა | 1 |

**პამესა 81:86 უნიკახა**
**პამესა 69:79 უნიკახა**

| | |
|---|---|
| ტაუ | 3 |
| ესტუდიანტესი | 1 |

**ესტუდიანტესი 71:76 ტაუ**
**ესტუდიანტესი 82:97 ტაუ**

| | |
|---|---|
| რეალი | 3 |
| ფუენლაბრადა | 0 |

**ფუენლაბრადა 79:81 რეალი**

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

**ბარსელონა — უნიკახა**
**ტაუ — რეალი**

*ნახევარფინალები დაიწყება 2 ივნისს*

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

**NBA. კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)**

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 1 |
| მილუოკი | 2 |

16 მაისი

**მილუოკი 80:74 ფილადელფია**

**მილუოკი:** კასელი (24), ალენი (20), რობინსონი (18)

**ფილადელფია:** მაკი (22), ჯონსი (16), მუტომბო (12 ქულა, 10 მოხსნა)

# დახვრეტა ლოს ანჯელესში

თუ ჯორჯ ლინჩის და მეტიუ გეიგერის ტრავმებმა „ფილადელფიას“ ბევრი ვერაფერი მოაკლო, ალენ აივერსონის დაშავებული კუდუსუნი „სიქსერზის“ ზედიზედ მეორე მარცხის პირდაპირი მიზეზი შეიქნა.

აივერსონი ჩაჰყვა თავისიანებს „მილუოკიში“, მაგრამ სასტუმროში დარჩა და ტელევიზორში უყურა მატჩს.

ულიდერო „ფილადელფიას“ ურიგოდ არ მთლიანობაში უთამაშია. სტუმრები სულაც არ ჰგავდნენ ყოჩის გარეშე დარჩენილ ცხვრის დაბნეულ ფარას. ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ და კარგადაც, მძლავრობდნენ ფარზე, ყოჩაღად ირჯებოდნენ დაცვაში და აკი „მილუოკის“ ოდენ 80 ქულა ჩააგდებინეს, მაგრამ მათ არ ჰყავდათ კაცი, რომელიც შეტევებს დაავგირგვინებდა. აივერსონის სახით „ფილადელფიამ“ დაკარგა მატჩში საშუალოდ 32 ქულა და ის ღერძი, რომლის გარშემოც არაერთი წელია, გუნდი ბრუნავს.

ალენ აივერსონი ყოველთვის ვერ ახერხებდა ვთქვათ, მოტეხილი თითით თამაშს და ფილადელფიელები ადრეც გასულან მოედანზე ულიდეროდ და ხშირად მოუგიათ კიდეც, მაგრამ კონფერენციის ფინალი რეგულარული ჩემპიონატი არ გახლავთ, არც „მილუოკისთვისაა“ სულ ერთი, როგორ დამთავრდება თამაში. ფილადელფიელებს სწამთ, რომ აივერსონი მეოთხე მატჩისთვის მაინც იქნება მზად და მილუოკელთა ძვლებს დაფლეთს, მანამდე კი მისი გუნდი 1:2 ჩამორჩა სერიაში.

აივერსონის ადგილი „სიქსერზის“ სასტარტო ხუთეულში ერიკ სნოუმ დაიკავა, მაგრამ როდესაც თამაში დასრულდა, იგი ალბათ იმ ადგილიდან ბევრად შორს ყოფნას ოცნებობდა. სნოუს სამმატჩო მონაგარი ასე გამოიყურება: თამაშში 11 სროლიდან ერთი ჩაგდება, ექვსი საჯარიმოდან ორი გამოყენებული, ოთხი ქულა, ორი პასი და ექვსი დაკარგვა. სნოუმ პირწმინდად წააგო დუელი მასპინძელთა გამთამაშებელ სემ კასელთან, რომელიც იმ დღეს თანაბრად კარგი იყო „მილუოკის“ შეტევათა ორგანიზებაშიც და დაგვირგვინებაშიც.

სტუმრები მაინც ყოჩაღად იდგნენ და პირველ ნახევარში ათქულიანი ჩამორჩენის შემდეგ მესამე მეოთხედში 43:43 გაათანაბრეს ანგარიში. „მილუოკიმ“ კვლავ მოახერხა წინ გაჭრა, თუმც არცთუ დიდი სხვაობით, მაგრამ სტუმრები ძალიან ბევრ სროლას აფუჭებდნენ და ბოლო მეოთხედში ექვს ქულაზე ახლოს ვერ მიუახლოვდნენ მასპინძლებს. სტუმართა იმედები მათ შორის საუკეთესომ აარონ მაკკიმ დაასამარა, რომელმაც ბოლო მეოთხედში ზედიზედ ექვსი სროლა ააცილა. ისე, ამ მხრივ არც „მილუოკის“ მისდიოდა საქმე კარგად. სტუმრები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ „ბაქსს“ ბურთი არ ჩაეგდო და არც ბინძურ თამაშს ერიდებოდნენ. „ბაქსის“ დამრიგებელ ჯორჯ კარლს უთქვამს, შეხვედრა ფეხბურთის (ამერიკული) მატჩს უფრო ჰგავდა, ეგენი მსაჯისგან მალულად გვირტყამდნენ და გვპწკენდნენო.

საზოგადოდ ეს თამაში წლევანდელ პლეი ოფში ყველაზე მწირქულიანი გამოდგა. ბოლო მეოთხედში გუნდებმა ჯამში მხოლოდ 25 ქულა (14 „ფილადელფია“, 11 „მილუოკი“) მოაგროვეს, რაც პლეი ოფების ყველა დროის ანტირეკორდს ერთი ქულით ჩამორჩება.

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 0 |
| ლეიკერსი | 4 |

25 მაისი

**ლეიკერსი 111:72 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (36 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ონილი (35 ქულა, 16 მოხსნა), ფიშერი (13)

**სან ანტონიო:** რობინსონი (24 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), დანიელსი (17), დანკანი (9 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი, 4 დაფარება, 4 ჩაჭრა)

კობი ბრაიანტმა ლამის ცენტრიდან ჩააგდო და თამაშიც ამით დაიწყო. მოგვიანებით შაკილ ონილმა ზედიზედ რვა ქულა მიითვალა და პირველი მეოთხედი „ლეიკერსის“ 13-ქულიანი უპირატესობით დასრულდა. „სან ანტონიო“ მეორე მეოთხედში გამოცოცხლდა, სტუმარმა ანტონიო დანიელსმა ორი საჯარიმოთი ხუთ ქულამდე დაიყვანა სხვაობა, მაგრამ ორიოდ წუთით დამჯდარი შაკილ ონილი სათადარიგოთა სკამიდან ადგა, ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა და ტაიმი 54:44 დასრულდა „ლეიკერსის“ სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი ყველაფერს ჰგავდა, გარდა კონფერენციის ფინალური სერიის თამაშისა. აქ ერთი გუნდი მეორეს დაუნდობლად და შესაშური მონდომებით ასილაქებდა, ჩაგრულის საპასუხო მოქნეული კი მხოლოდ ჰაერს ხვდებოდა. „პასი მომეცით“ — უყვიროდა შაკილ ონილი პარტნიორებს. ბურთს ძირითადად კობი ბრაიანტი ათამაშებდა და ხან აძლევდა შაკს ბურთს, ხან — არა, უფრო თავად უტევდა „სან ანტონიოს“ დაუცველ კალათს. შემდეგ კობის გაახსენდა, რომ ურიგო არ იქნებოდა სამმაგი დუბლის შესრულება და პასებზე და მოხსნებზე იწყო ზრუნვა. სულ ცოტა დააკლდა. საბოლოოდ კობი, ალბათ, მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან ონილზე თუმც ერთით, მაგრამ მაინც მეტი ქულა მოაგროვა. „ლეიკერსის“ ქომაგები კი შიშობენ, ვინძლო ეს ამბავი კობის და შაკს შორის ახალი განხეთქილების მიზეზი არ გახდესო.



REUTERS

ლეიკერსი — სან ანტონიო. ვინ გააჩერებს კობი ბრაიანტს?

სტუმართა „სისხლიანი“ რბევა იმით დასრულდა, რომ მასპინძლებმა ბოლო მეოთხედი 25:8 მოუგეს ვაი-მეტოქეს და სულ წაახდინეს. თუმც სანანტონიოელთ ალბათ არ შერცხვებათ ორი შინაური მარცხის შემდეგ 39 ქულით წაგება, როცა გაიხსენებენ, რომ „ლეიკერსთან“ გაცილებით დიდი სხვაობით, 47 ქულით (88:135) წაუგიათ შორეულ 1986 წელს.

ერთმა გუნდმა 39 ქულით რომ მოიგოს, გარდა იმისა, რომ თავად უნდა იყოჩაღოს, მეტოქეც უხეირო უნდა ჰყავდეს. 25 მაისს „სან ანტონიო“ ზუსტად ასეთი გახლდათ. სხვას რა უნდა მოეთხოვოს, როდესაც თავად „სფურზის“ ლიდერი, სტაბილურობით განთქმული ტიმ დანკანი იმ დღეს მხოლოდ ცოდვილობდა. ამ თამაშის შემდეგ თუ სიცოცხლე არ გაუნახევრდა და სიბერემდე მიაღწია, ტიმი ათას წყევლა-კრულვას გაუგზავნის საკუთარ თავს.

სანანტონიოელთა უდიდესი შეცდომა იყო დერეკ ანდერსონის თამაში. კობი ბრაიანტის თარეშის აღსაკვეთად მათმა მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა ჯერაც ტრავმამოუშუშებელ ანდერსონს უხმო და ბრაიანტს საჯიჯგნად შეუგდო. ამ ჯეელმა თამაში რვა სროლიდან არც ერთი ჩაგდებულით და 29 წუთში მოგროვილი ორი ქულით დაასრულა.

სტუმართაგან ფეხზე ყველაზე მყარად დანკანის მეწყვილე მოხუცი კოშკი, დევიდ რობინსონი იდგა და ზვავის შეჩერებას ლამობდა. არაფერი გამოუვიდა.

27 მაისი

**ლეიკერსი 111:82 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ფიშერი (28), ონილი (26 ქულა, 10 მოხსნა), ბრაიანტი (24 ქულა, 11 პასი)

**სან ანტონიო:** დანკანი (15), დანიელსი (15), ჯონსონი (14), რობინსონი (12 ქულა, 11 მოხსნა)

იქნებ „სან ანტონიო სფურზი“ 27 მაისს სიკვდილმისჯილივით არ გასულა მოედანზე, მაგრამ თავად მისმა ჯალათმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ იგი შესწირა გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს. ამ ორ გუნდს შორის სერია ცალფარა თამაშს, დახვრეტას, დასჯას, რაც გნებავთ იმას ჰგავდა, გარდა ბრძოლისა. „სფურზმა“ ვერც მეოთხე თამაშში გამოამჟღავნა თავმოყვარეობა და სერია მშრალად წააგო, თითოეული თამაში საშუალოდ 22 ქულით. აი, ასე დაასრულა სეზონი წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა და ჩემპიონობის პირველმა ფავორიტმა „სან ანტონიო სფურზმა“.

ტეხასელებს სანუგეშოდ 1999 წლის კონფერენციის ნახევარფინალიღა რჩებათ, სადაც 4:0 მოუგეს „ლეიკერსს“, თუმც წარსულის წარმატებები ვერ აღადგენს აწმყოში შელახულ თავმოყვარეობას. ისე კი სანანტონიოელები თავიანთ განადგურებას საკუთარ უსუსურებაზე მეტად მეტოქის ძლევამოსილებით ხსნიან. „ლეიკერსს“ 1 აპრილის აქეთ არ წაუგია და რა გასაკვირია, თუ ჩვენც ყველა თამაში მოგვიგოო, ამბობენ ისინი. მათი მოხუცი ცენტრი, მრავლისმნახველი დევიდ რობინსონი იმასაც ამბობს, თუ თვითონ არ წააგეს, მაგათი მომრევი არავინაა და ფინალსაც 4:0 მოიგებენო.

თამაშის პირველივე წუთებიდან, რომელიც „ლეიკერსმა“ 11:2 მოიგო, ჩანდა, 1999 წლის ჩემპიონი „სფურზი“ მოქმედ ჩემპიონთან ისე დაასრულებდა „ბრძოლას“, გამარჯვების შანსი არ ექნებოდა. პირველი მეოთხედი მასპინძლებისა იყო — 33:23. მეორე მეოთხედში „ლეიკერსმა“ ათქულიან უპირატესობას კიდევ 13 წაუმატა და ისე ჩანდა, არამარტო წინა თამაშის შედეგს გადააჭარბებდა, არამედ 1986 წლის რეკორდს, „სან ანტონიოს“ 47 ქულით ძლევას, მოხსნიდა. ამასვე ითხოვდა „სტეიპლს სენთერში“ მოგროვილი 19 ათასი ქომაგი, თუმც „ლეიკერსმა“ დაინდო ისედაც გაბითურებული მეტოქე. შაკილ ონილი და კობი ბრაიანტი პირველივე ტაიმში ლაზღანდარობდნენ, მეორეში ხომ სულ აიშვეს, ამიტომაც ეს ორი სუპერვარსკვლავი ქულათა მოკრძალებულ ოდენობას დასჯერდა. მათზე მეტი ქულა მოიხვეჭა დერიკ ფიშერმა, რომელმაც შვიდი ცდიდან ექვსი სამქულიანი („ლეიკერსის“ პლეი ოფის რეკორდი) ჩააგდო და 28 ქულით პლეი ოფების პირადი რეკორდიც დაამყარა.

„ლეიკერსმა“ ზედიზედ მეცხრამეტედ მოიგო, მეთერთმეტედ პლეი ოფში. შარშანდელი ტრიუმფატორები კვლავ ფინალში არიან და ერთ-ერთ აღმოსავლელთან ბრძოლაში დაიცავენ ტიტულს. ვინ იქნება მათი მეტოქე, „ფილადელფია“ თუ „მილუოკი“, ეს მათ სრულიად არ აღელვებთ.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარზიელი სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

# კროკო

**ჰოლანდია. 1-ლი დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**31 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 001 | სიტარდი-ტილბურგი | 1,8 | 3,4 | 3,3 |
| 23.00 | 002 | გრააფსხაპი-ბრედა | 1,75 | 2,8 | 4,4 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. 1-ლი ტური**

**29 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 003 | ექსელსიორი-კამბური | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 004 | სპარტა-იგლსი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი. მე-6 ტური**

**31 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 005 | ტურნჰაუტი-გეელი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 006 | მონსი-მოლენბეკი | 3,0 | 3,0 | 2,0 |

**ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები**

**29 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.15 | 501 | ამერიკა-როსარიო სენტრალი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **30 მაისი** | | | |
| 3.00 | 502 | კრუზეირო-პალმეირასი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 03.15 | 503 | კრუზ ასული-რივერ პლეიტი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 05.40 | 504 | ბოკა ხუნიორსი-ვასკუ და გამა | 1,85 | 3,0 | 4,0 |

**კონფედერაციის თასი**

**30 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.00 | 505 | საფრანგეთი-სამხრეთ კორეა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 15.30 | 506 | მექსიკა-ავსტრალია | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| | | **31 მაისი** | | | |
| 13.00 | 507 | ბრაზილია-კამერუნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 15.30 | 508 | იაპონია-კანადა | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**ამხანაგური მატჩი**

**29 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 509 | გერმანია-სლოვაკეთი | 1,35 | 3,8 | 8,0 |

**კალათბურთი. 1/2 ფინალი**

**30 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ფილადელფია-მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

**ჰოკეი. ფინალი**

**29 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 901 | კოლორადო-ნიუ ჯერსი | 1,75 | 3,6 | 2,8 |
| | | **31 მაისი** | | | |
| 05.00 | 902 | ნიუ ჯერსი-კოლორადო | 1,9 | 3,6 | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

FORMULA 1

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეშვიდე ეტაპი

# ფერარის 50-ე დუბლი

## მაკლარენს ქრონიკულად ეჭედება

ფორმულა 1 წარმოუდგენელია მონაკოს დიდი პრიზის გარეშე. სამეფო რბოლების ყველაზე ძნელად მოსაპოვებელი და ამის გამო ყველაზე პრესტიჟული ჯილდო პირველივე ჩემპიონატიდან — 1950 წლიდან თამაშდება, თუმც სადებიუტო რბოლის შემდეგ ოთხი წლით ამოვარდა კალენდრიდან. მიზეზი ტრასის ხიფათიანობა გახლდათ. სწორედ ამის გამო დაიღუპა ვარჯიშისას წამყვანი იტალიელი პილოტი ლუიჯი ფაჯიოლი.

და მაინც, გზის გადამეტებული სირთულის ანუ არანორმალური სარბოლო პირობების მიუხედავად, იქ საბედნიეროდ, მხოლოდ ორი მრბოლია დაღუპული. 1967 წელს ფაჯიოლის ხვედრი მისმა თანამემამულე ლორენცო ბანდინიმ გაიზიარა.

ტრასა, უფრო ზუსტად, ორღობის სივანის ქუჩების კომბინაცია სივიწროვისა და მკვეთრი მოსახვევების გამო გასწრების, ან ზღვრულ სისწრაფემდე (350 კმ/სთ) გაქანების საშუალებას არ იძლევა. ეს სამკილომეტრიანი დისტანცია პილოტებსა და მათ ბოლიდებს უმკაცრეს მოთხოვნებს უყენებს. თითქმის ორსაათიანი წვალების შემდეგ წარმატებას ის აღწევს, ვისაც არც ბედაური უმტყუნებს და თავადაც იოტისოდენად არაფერი შეეშლება. ერთი სიტყვით, ამ არანორმალურ პირობებში მანქანის საიმედოობა და მძღოლის მიერ უამრავი მოსახვევის უზუსტესად გავლის უნარია მთავარი. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ჯუჯა ქვეყნის ქუჩებში დანარჩენ არასარბოლო 362 დღეს ჩვეულებრივი სამანქანო მოძრაობაა, რაც ასფალტის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს.

მონტე კარლოს მსგავსი რთული ტრასა, სადაც მრბოლებს თითქმის ყოველ 100 მეტრში უხდებათ სიჩქარის გადართვა, ძნელი წარმოსადგენია. ამიტომაც იყო, რომ იქაური შეჯიბრება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნელსონ პიკემ ვერტმფრენით სასტუმრო ოთახში ფრენას შეადარა. ბრაზილიელმა პილოტმა, ვისაც სახელოვან კარიერაში 204 რბოლიდან 23 მოუგია, ერთხელაც ვერ მოახერხა მონაკოში პირველობა. აქაა ყველაზე გრძელი აღმართი, ყველაზე ნელი მოსახვევი, თანაც თავქვე, სადაც სიჩქარე 50 კილომეტრამდე ეცემა, ფორმულაში ერთადერთი გვირაბი, საიდანაც მრბოლები სიბნელიდან უზარმაზარი სიჩქარით გამორბიან სინათლეში, რაც დამატებით სირთულეს უქმნით. და ასეა რბოლისას 78-ჯერ, ეს კი უამრავ შეცდომასა და ავარიას იწვევს.

და მაინც, ზოგიერთი ახალგაზრდა მძღოლის წუწუნის მიუხედავად, აქ ტრასაზეც და ბოქსებშიც უმძიმესი პირობებიაო, მონაკოს დიდი პრიზის გაუქმება, ცხადია, აზრადაც არავის მოუვა. სამეფო რბოლების მამა-მარჩენალი ბერნი ეკლსტოუნი უმალ ნებისმიერ, უფრო „კომფორტულ" ეტაპს დათმობს, ვიდრე ფორმულის „მარგალიტს" — რბოლას კაზინოს გარშემო. ის კი არა, იმასაც ამბობენ, კალენდარში მონაკოს მეორე, საშემოდგომო თასიც ხომ არ შეგვეტანაო.

როგორც ვთქვით, მონტე კარლოს ტრასის ყველაზე ჩქაროსნული ადგილი სწორედ გვირაბის ბოლოსაა. მაქსიმალური მაჩვენებელი 270-280 კმ/სთ იყო, თუმცა ბოლო დროს სისწრაფემ ბევრად იმატა. გასულ შაბათს, კვალიფიკაციისას სარეკორდო მიღწევა დაფიქსირდა — დებიუტანტმა ხუან პაბლო მონტოიამ თითქმის სამას კილომეტრიანი ზღვარი (298,8 კმ/სთ) დაძლია. თუმცა ეს სარეკორდო მიღწევა პოულის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა — კოლუმბიელის დრო მხოლოდ მეშვიდე იყო. საკვალიფიკაციო სესიის ბოლომდე პირველობას მიხაელ შუმახერი ინარჩუნებდა, მაგრამ ბოლო ცდაზე დევიდ კულჰარდმა წრე იდეალურად, უშეცდომოდ გაიარა და სარეკორდო შედეგიც აჩვენა — 1 წთ 17,430 წმ (156, 683 კმ/სთ საშუალო სიჩქარე). აღსანიშნავია, რომ ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის ოთხი წლის წინანდელი მიღწევა „დისის" გარდა კიდევ ოთხმა მრბოლმა გააუმჯობესა. შოტლანდიელის გვერდით სტარტზე პირველ რიგში მიხაელ შუმახერი დადგა, უკან მიკა ჰაკინენი და რუბენს ბარიკელო, მათ უკან კი რალფ შუმახერი და ედი ირვინი გამწკრივდნენ.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ საკვალიფიკაციო შეჯიბრი ბევრად უფრო საინტერესო და დაძაბული გამოვიდა, ვიდრე უშუალოდ რბოლა. წლევანდელი სეზონის ლიდერ მიხაელ შუმახერს კონკურენტები დასაწყისშივე შემოეფანტნენ. სტარტზე ჯორივით გაშეშება წლეულს მაკლარენების ქრონიკული სენი გახდა. ხან მიკა ვერ იძვრის ადგილიდან, ხანაც დევიდი — შვიდი ეტაპიდან მათ ორ-ორჯერ სტარტი ვერ აიღეს. „დისის" ზუსტად იგივე ერთი თვის წინ ბარსელონაშიც შეემთხვა. კიდევ კარგი, რომ შოტლანდიელის ბედაური ამჯერად გასახურებელ წრეზე გაჯიუტდა და არა რბოლის დასაწყისში, თორემ მონტე კარლოს ორღობეში ზედახორა გარდაუვალი იქნებოდა. სტარტამდე ორიოდ წუთში მექანიკოსებმა მისი „მერსედესის" ძრავის დაქოქვა მოახერხეს და დევიდმაც მოასწრო ქარავანთან ერთად რბოლაში ჩაბმა, თუმც ცხადია, ბოლო 22-ე პოზიციიდან.

შუქნიშნის ჩაქრობისთანავე კულჰარდმა ჯიქურ შეუტია წინ მდგომთ და ერთი-ორს უცბად აუარა გვერდი, მერე კი დებიუტანტ ენრიკე ბერნოლდის „ეროუსის" უკან კარგა ხნით მოუხდა წვალება. დევიდს ყოველ წამს მიჰქონდა მასზე გასასწრებად იერიში, მაგრამ ბრაზილიელს ცოცხალი თავით არ სურდა ჩემპიონობის პრეტენდენტის გატარება. თურმე ეს ბოქსებიდან ბრძანება ყოფილა. არადა, მსაჯები მას ლურჯი დროშების ფრიალით ანიშნებდნენ, უფრო სწრაფი მანქანისთვის გზა დაეთმო, მაგრამ სამხრეთამერიკელი თავისაზე იდგა, 22 წლის ენრიკე, ავი ძალლისა არ იყოს, ვერც თავად ახერხებდა ქარავანის მოწინავე ჯგუფის დაწევას და არც მეტოქეებს აძლევდა ამის საშუალებას. ასე გაგრძელდა ნახევარ დისტანციაზე მეტი. 45-ე წრეზე, მეტოქის ბოქსში შესვლის შემდეგ, კულჰარდს ხელ-ფეხი გაეხსნა, თითქმის დაცარიელებული ავზით რამდენიმე უსწრაფესი წრეც გაიარა და ექვსეულშიც კი ამოყო თავი, მაგრამ პოდიუმი, რასაკვირველია, უკვე მიუწვდომელი იყო.



REUTERS მონტე კარლოდან

იმის თქმა გვინდა, რომ რბოლა მაინცდამაინც ერთფეროვანი იყოო, მართალი არაა. ჰაკინენს, რომელიც მხოლოდ ორიოდე წამით ჩამორჩებოდა მიხაელს და ორჯერ უსწრაფესი წრეც გააზერხა, მერამდენედ ბოლიდმა უმტყუნა და ბრძოლას გამოეთიშა. რაც შეეხება „უილიამსებს", მონტოიამ ამჯერადაც ყოჩაღად აიღო სტარტი და ედი ირვინის გასწრების შემდეგ მეხუთე გახდა. დებიუტანტის აგრესიულობა და ფეთიანი ჯირითი უკვე აღარავის აკვირვებს. ამბიციური კოლუმბიელი პირველივე რბოლიდან ესწრაფვის ავტორიტეტების დამხობას, მაგრამ გადამეტებული სიფიცხე ბუმერანგივით უბრუნდება. ხუანმა მეორე წრე ყველაზე სწრაფად გაიქროლა, მაგრამ იქვე ერთ-ერთ მოსახვევში, აუზთან შეცდომა დაუშვა და მანქანა კედელს მიაჭყლიტა.

მონტოიას თანაგუნდელმა, იმავდროულად კი მიხაელის ძმამ, რალფმა, ტრასაზე მეტხანს გაძლო, არც შეცდომა მოსვლია და არც ვინმეს დასჯახებია, მაგრამ უკვე მერამდენედ უმტყუნა ბოლიდმა.

მიხაელ შუმახერმა ადვილად, შეიძლება ითქვას, კომფორტული უპირატესობით, რაკი ზურგს თანაგუნდელი უმაგრებდა, მოიგო კარიერაში 48-ე რბოლა, ამასთან მონაკოში მეხუთე. გერმანელი პილოტი ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა ორგზის ჩემპიონ გრემ ჰილს და ერთი გამარჯვებაღა აშორებს აირტონ სენას ექვსპრიზიან სუპერრეკორდს. „ფერარის" დუბლი 50-ეა ფორმულის ამ ყველაზე სახელოვანი გუნდის ისტორიაში. აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ ირვინმა „იაგუარისთვის" პირველი პოდიუმი მოიპოვა, 36 წლის ვეტერანმა ჟან ალეზიმ როგორც იქნა, ნავსი გატეხა და 23 ეტაპის შემდეგ ქულა ელირსა. მონტე კარლოს 48-ე დიდი პრიზის ერთ-ერთი გმირი კი, ცხადია, დევიდ კულჰარდია, რომელმაც ექვსეულში მოხვედრა შეძლო და კვლავ წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე სტაბილურ მონაწილედ რჩება.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**მონაკოს დიდი პრიზი**

27 მაისი. მონტე კარლო

დისტანცია — 78 წრე — 262,860 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:47.22,561 (146,881 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 0,431 |
| 3. ირვინი (იაგუარი) | 30,698 |
| 4. ვილნევი (BAR) | 32,454 |
| 5. კულჰარდი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 6. ალეზი (პროსტი) | 1 წრით |
| 7. ბატონი (ბენეტონი) | 1 წრით |
| 8. ფერსტაპენი (ეროუსი) | 1 წრით |
| 9. ბერნოლდი (ეროუსი) | 2 წრით |
| 10. რაიკონენი (ზაუბერი) | 5 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| მარკეში (მინარდი) | გაიარა 60 წრე |
| რ. შუმახერი (უილიამსი) | 57 |
| ალონსო (მინარდი) | 55 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 50 |
| ფიზიკელა (ბენეტონი) | 43 |
| ტრული (ჯორდანი) | 31 |
| ბურტი (პროსტი) | 25 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 19 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 15 |
| პანი (BAR) | 15 |
| მონტოია (უილიამსი) | 2 |
| ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 |

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი 1.19,424 (152.749 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | | | | | | | | | | | 52 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | | | | | | | | | | | 40 |
| 3 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | | | | | | | | | | | 24 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | - | - | | | | | | | | | | | 12 |
| 5 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანია | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | | | | | | | | | | | 8 |
| 6 ვილნევი BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | - | 3 | | | | | | | | | | | 7 |
| 7 ტრული ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | | | | | | | | | | | 7 |
| 8 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | - | - | | | | | | | | | | | 6 |
| 9 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | 2 | 3 | - | 1 | - | - | - | | | | | | | | | | | 6 |
| 10 პანი BAR, საფრანგეთი | - | - | 3 | - | - | 2 | - | | | | | | | | | | | 5 |
| ირვინი (იაგუარი), ჰაკინენი (მაკლარენი), რაიკონენი (ზაუბერი) — 4; ფიზიკელა (ბენეტონი), ფერსტაპენი (ეროუსი), ალეზი (პროსტი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | | | | | | | | | | | 76 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | | | | | | | | | | | 44 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | | | | | | | | | | | 18 |
| 4 ჯორდანი | 2 | 3 | 2 | 3 | 3 | - | - | | | | | | | | | | | 13 |
| 5 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | | | | | | | | | | | 12 |
| BAR — 12; იაგუარი — 4; ბენეტონი, ეროუსი, პროსტი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## როლან გაროსი 2001

# სუსტი სქესი

**როგორც** წესი, დიდი სლემის ტურნირზე ბობოლა დიაცები სულ თამაშ-თამაშ უწევენ ხოლმე მეოთხედფინალს და ნამდვილი ბრძოლაც მერელა ჩაღდება. განთესილი ვაჟების უმეტესობას კი პირიქით, პირველივე წრეებში აკვრევინებენ გუდა-ნაბადს. წლევანდელი როლან გაროსი ამ ჭეშმარიტებიდან აშკარა გამონაკლისი გამოდგა — პარიზში ასპარეზობის პირველი დღე ერთბაშად ორი ქალი ფავორიტისთვის უკანასკნელიც აღმოჩნდა.

ბრძოლის ველზე პირველი მასპინძელთა ჯილა ამელი მორესმო დაეცა. ლესბოსელმა ფრანგმა, რომელსაც უმეტესობა გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად თვლიდა, ტან-ფეხით მშვენიერ, კლასიფიკაციით კი 56-ე იანა კანდართან წააგო 5:7, 5:7. მორესმო მეორე ხელში 5:1-ს იგებდა, მაგრამ საფირმო ბექჰენდზე შეცდომას შეცდომა მიაყოლა, ზედიზედ ექვსი გეიმი წააგო და ცენტრალური კორტი სიბრაზისგან ჭარხალივით აწითლებულმა დატოვა.

„ყველაფერი იმ გაუსაძლისი ზეწოლის ბრალია, რასაც ბოლო დღეებში ვგრძნობდი. დიდი სლემის ტურნირზე ფავორიტად ადრე არავინ მიმიჩნევდა, ეს დიდ ტვირთად დამაწვა მხრებზე. მატჩის დროს მუდმივად დაძაბული ვიყავი, შვება წამითაც არ მიგრძვნია და აჰა, რაც მივიღე. იმედია, მომავალში ჭკუას ვისწავლი" — ლაპარაკიც უჭირდა პრესკონფერენციაზე ფრანგს.

მორესმოს წაგებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მისი ბედი მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ვინუს უილიამსმაც გაიზიარა. ბარბარა შეტთან შეხვედრაში ჯანიანი ამერიკელი ბადის მეორე მხარის გარდა ყველა მიმართულებით ისროდა ბურთებს, აურაცხელი უნებლიე შეცდომა დაუგროვდა და სამი მატჩ-პოინტის გადარჩენის მიუხედავად, საკმაოდ იოლად, 4:6, 4:6 წააგო.

„დღეს ვინუსი თავის თავს არ ჰგავდა და თუ ამით ვერ ვისარგებლებდი, პროფესიონალი არ ვიქნებოდი. ყოველთვის უკეთესია, მას პირველ წრეში შეხვდე, რადგან მერე ფორმაში შედის და გაცილებით უკეთ თამაშობს" — ასე ახსნა წარმატება ერთ დროს საუკეთესოთა ათეულელმა ავსტრიელმა.

„დღეს ცუდი, ძალიან ცუდი დღე მქონდა. ვარჯიშის დროს ხეირიანად ვირჯებოდი, მაგრამ რა მოხდა მატჩის განმავლობაში, ვერ ამიხსნია. დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ბადესთან უფრო ხშირად გავიდოდი და ცოტა უკეთ ვიმოძრავებდი, მაგრამ ახლა ლაპარაკი უკვე გვიანაა და ამას არაფერი ეშველება" — განაცხადა იმედგაცრუებულმა უილიამსმა, რომელსაც ტურნირის მოგების შემთხვევაში კლასიფიკაციაში მარტინა ჰინგისის გადასწრების შანსი ექნებოდა. ვინუსმა კარიერაში ოდენ მეორედ წააგო სლემის ტურნირის პირველ წრეში.

კიდევ ერთი ბობოლა ქალთა ბადეს კვირასვე დააკლდა. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა მუხლის ტრავმა მოიმიზეზა და პარიზიდან შინ, კალიფორნიაში გაბრუნდა: „აქ ოთხშაბათს ჩამოვედი და თავს კარგადაც ვგრძნობდი, სანამ ამ დილით მუხლმა ისევ არ შემახსენა თავი. ექიმებმა მირჩიეს, არ ვითამაშო და რისკზე წასვლა არ მსურს".

შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო როლან გაროსმა უკვე მოისაკლისა მონიკა სელეში, მარი პირსი, ანა კურნიკოვა და ჩანდა რუბინი.

### პირველი წრე

**ქალები:** **კიმ კლაისტერსი** (12, ბელგია) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:3, 6:4; **ჟიუსტინ ენენი** (14, ბელგია) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:3, 6:2; **ელენა დოკიჩი** (15, იუგოსლავია) — ადრიანა გერში (ჩეხეთი) 6:0, 6:0; **ანკე ჰუბერი** (გერმანია) — სონია ჯეიალანი (კანადა) 6:2, 6:1; **რიტა გრანდე** (იტალია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 1:6, 6:4, 6:2; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — სელინ ბეგბედერი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; **სილვია ფარინა** (იტალია) — მაგდალენა მალეევა (13, ბულგარეთი) 6:1, 5:7, 6:3.

**ვაჟები:** **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:1, 7:5, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (4, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:2, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) 7:6 (7:2), 4:6, 6:3, 6:2; **ევგენი კაფელნიკოვი** (7, რუსეთი) — ფედერიკო ლუცი (იტალია) 6:3, 6:3, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (11, ინგლისი) — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:1, 6:4, 5:7, 6:0; **კრისტიან პლესი** (დანია) — ჟან-მაიკლ გემბილი (15, აშშ) 4:6, 6:2, 6:4, 7:5; **დომინიკ ჰრბატი** (ხორვატია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 7:6 (7:5), 5:7, 7:6 (7:1), 2:6, 8:6.

# არანჩას შაში

**დიუსელდორფი (გერმანია)**
**ATP-ის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი**
**თიხნარი. საპრიზო 2,1 მილიონი $**

III ტური

**წითელი ჯგუფი**

**საფრანგეთი 2:1 აშშ**

**რუსეთი 3:0 არგენტინა**

**ლურჯი ჯგუფი**

**გერმანია 2:1 ავსტრალია**

**ესპანეთი 2:1 შვედეთი**

**ფინალი**

**ავსტრალია 2:1 რუსეთი**

**ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3, 6:4; **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:2, 6:4; **დრეიპერი და უეინ არტურსი** — კაფელნიკოვი და საფინი 7:6 (7:5), 1:6, 6:4

ფინალის წინ ავსტრალიელთა გუნდმა მძიმე დანაკლისი განიცადა — მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა პატრიკ რაფტერმა მხრის ტკივილის გამო თამაში ვერ შეძლო. 28 წლის საპენსიოდ გამზადებულ ოზს თვენახევრიანი შესვენების შემდეგ დიუსელდორფულმა მძიმე ბურთებმა და დაძაბულმა მატჩებმა აწყინა: „თუ როლან გაროსზე კიდევ უფრო ცუდად არ ვიგრძენი თავი, ალბათ, მაინც ვითამაშებ. ისე, რამდენიმე დღით დასვენება უკეთესი იქნებოდა. თუ მხარი მეტად ამტკივდება, მაშინ პარიზს დავემშვიდობები და პირდაპირ ბალახის სეზონისთვის დავიწყებ მზადებას".

მწვანეკონტინენტელებმა რაფტერის გარეშეც შეძლეს მესამე ტიტულის მოპოვება მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე. ლეიტონ ჰიუიტმა სულ უფრო უკეთ მოთამაშე მარატ საფინი გაამწარა. წყვილების გადამწყვეტ შეხვედრაში კი სკოტ დრეიპერისა და უეინ არტურსის დუეტმა ორ რუს ვარსკვლავს აჯობა და ნახევარმილიონიანი მთავარი ჯილდო ოზებს დაუნარჩუნა.

„სასიამოვნოა საფრანგეთის ღია პირველობაზე მეორედ განთესილი ჩოგბურთელის დამარცხება. სულ არ გამიკვირდება, თუ თავად ფინალში გავაღწევ, ნებისმიერის ძლევა ძალმიძს, თანაც მნიშვნელოვანი ტურნირებისა და მატჩების დროს უკეთესად ვთამაშობ" — თავმდაბლობა არ დაუწყია გამარჯვებულთა ლიდერ ლეიტონ ჰიუიტს.

**სენტ პოლტენი (ავსტრია)**
**RAIFFEISEN GRAND PRIX**
**თიხნარი. საპრიზო 425 ათასი $**

**ნახევარფინალი:** **მარკუს ჰიპფლი** (ავსტრია) — მიხალ ტაბარა (7, ჩეხეთი) 6:1, 5:7, 6:2; **ანდრეა გაუდენცი** (იტალია) — მაგნუს გუსტაფსონი (8, შვედეთი) 6:3, 6:3.

**ფინალი:** **გაუდენცი** — **ჰიპფლი** 6:0, 7:5

**სტრასბურის (საფრანგეთი)**
**საერთაშორისო პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $**

**ნახევარფინალი:** **სილვია ფარინა** (8, იტალია) — ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:0; **ანკე ჰუბერი** (4, გერმანია) — სელინ ბეგბედერი (საფრანგეთი) 6:1, 6:3.

**ფინალი:** **ფარინა** — **ჰუბერი** 7:5, 0:6, 6:4

იტალიელ ვეტერან სილვია ფარინას შვიდ ფინალში დამარცხების შემდეგ კარიერის მიწურულს მაინც ეღირსა პირველი ტიტულის მოპოვება.

**მადრიდის (ესპანეთი)**
**ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $**

**ნახევარფინალი:** **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (2, ესპანეთი) — მარია ხოსე მარტინესი (ესპანეთი) 6:3, 6:2; **ანხელეს მონტოლიო** (8, ესპანეთი) — ანა იზაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:4, 6:2.

**ფინალი:** **სანჩეს-ვიკარიო** — მონტოლიო 7:5, 6:0

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ მშობლიური პირველობის ტიტული კარიერაში მეექვსედ მიითვისა და გულზეც მოვიდა, როლან გაროსზე სადაც სხვა ფავორიტები თქვათ, იქ არც ჩემი ხსენება დაგავიწყდეთო.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS

არანჩა სანჩეს-ვიკარიო მორიგ ტიტულს ასველებს



# უცხო გმირი




ჰიშამ ელ გურუჯმა ოლიმპიური ტრაგედია დაივიწყა და ყველაფერი თავიდან დაიწყო

**არც** ჰიშამ ელ გურუჯი, არც მარიონ ჯონსი, მორის გრინი, ვირგილიუს ალეკნა, მარია მუტოლა ან ვინმე მისთანა უცვნია კვირას იუჯინში, „პრეფონტეინ კლასიკზე" თავშეყრილ საზოგადოებას თავის გმირად. 11 211 კაცის მთავარი აპლოდისმენტები 18 წლის სტუდენტს, ალან უებს ერგო, თითქოს ამ უკანასკნელს ოლიმპიადა მოეგოს. არადა, იმდენიც არაფერი: უებმა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „გრან პრიზე" 1 მილის გარბენა მხოლოდ მეხუთემ დაასრულა. მერე იყო საპატიო წრეები, ჯერ ელ გურუჯის თანხლებით, მერე მარტო. ამას მოჰყვა ავტოგრაფების დარიგება საათზე მეტხანს, რომლის დროსაც მახლობლად მარიონ ჯონსმა ჩაიარა და... ბიჭოს! არც ერთ ფანს მისკენ არ გაუხედავს. ახალბედა აქო მრავალმა. ჰიშამ ელ გურუჯი: „რომ შეხედავ, ნაღდი ჩემპიონი გეგონება და იქნებ ჩემს პირველ მტრადაც იქცეს. იმუშაოს და ბრწყინვალე მომავალი ექნება". ბოსტონისა და ნიუ იორკის მარათონების ექსჩემპიონის, ალბერტო სალაზარის თქმით, ამ ბავშვს ძალუძს, მსოფლიოში პირველი გახდეს, ხოლო ამერიკის ექსრეკორდსმენ ბობ კენედის უების დასკვნითი სპრინტის ხილვისას პოპულარული ამერიკული შორისდებული დასცდა: „ვაუ! — შესძახა მან — ეს ყმაწვილი მაკვირვებს!"

მაგრამ წერილს ცხელი გულით კი არა, ცივი გონებით ვწერთ, ამიტომ ვამბობთ, რომ კვირას იუჯინში ამაზე ათასჯერ საყურადღებო მოვლენები მოხდა. სეზონის რეკორდების წვიმა მოდიოდა. ჰიშამ ელ გურუჯმა მილზე 3.49,92 უჩვენა და თუმც ეს შედეგი მისთვის ფრიად მდარეა, სეზონში საუკეთესო კი გამოდგა. არაბი მაინც უკმაყოფილო იყო, „კურდღლები" ნაადრევად ჩამომეცალნენ და ამიტომ გამიჭირდაო. თუმცა არაფერი გასჭირვებია, უახლოეს მდევარს თითქმის ორი წამით გაუსწრო. „ოლიმპიადის შემდეგ სულიერად დავეცი — აღნიშნავს გურუჯი, რომელმაც სიდნეიში ტრაგიკული მარცხი იწვნია კენიელი ნოა ნგენისგან — მაროკოს პრესა მაკრიტიკებდა, ამიტომ ყველაფერი თავიდან დავიწყე". გურუჯი ტურნირიდან ტურნირამდე გამამწარებლის ნახვასა და შურისძიებას ცდილობს, მაგრამ კენიის არმიის კაპრალი ნოა ნგენი ნებით თუ უნებლიეთ მის გვერდით ვერ დადგა ომის ბილიკზე. როცა გურუჯი იუჯინში იმარჯვებდა, ნგენი სამშობლოში იყო და კენიის შეიარაღებული ძალების პირველობა მოიგო, რაც სალაღობო საქმე არ გეგონოთ! კენიის ჯარში გამძლე სალდათები ულევადაა და ნგენიმაც ბევრი ოფლი ღვარა. იგი კანადაში, ედმონტონის მსოფლიოს პირველობაზე მხოლოდ ოქროს უმიზნებს. იქნებ რბენა-რევანში იქ მაინც შედგეს...

იუჯინში [illegible] ვარიანი [illegible] სპრინტერებს და მათაც მაღალი შედეგები უჩვენეს. [illegible] მორის გრინის 9,22 წამმა პირველობისთვის ვერ იკმარა. გრინმა რატომღაც ნელა დაიწყო, ხოლო იამაიკელი პატრიკ ჯერეტი და ამერიკელი ტიმ მონტგომერი აწყვეტილებივით გაქანდნენ და ორი მეტრით დაწინაურდნენ. გრინმა ძალლონე სწრაფად მოიკრიფა, მაგრამ იამაიკელს ვერაფრით დაეწია, თვისტომს კი გაუსწორდა და მხოლოდ ფოტოფინიშით წააგო. ჯენეტი, რომელმაც სიდნეიში მხოლოდ მეოთხედფინალს უწია, პირველი იყო, მაგრამ გრინი მხოლოდ ოდნავ შეწუხდა. „სტარტზე შევცდი და მაინც კარგი შედეგი ვუჩვენე — თქვა მან — ხოლო წაგება ჩემთვის ახალი მოტივაციის წყაროა და მეტი არაფერი".

სპრინტის სხვა ვარსკვლავს, მარიონ ჯონსს, იუჯინში 200 მეტრის დაპყრობა სურდა და აისრულა. მან იმარჯვა სახელოვან კომპანიაში ჯულიეტ კემპბელის, ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონის, ჩანდრა სტარაპის, კრისტი გეინსისა და ინგერ მილერის შემადგენლობით, იმ ინგერ მილერისა, რომელიც 200 მეტრზე ჯონსის მერე მთავარი ფავორიტი ჰგონიათ და კვირას კი ბოლომ დაასრულა სირბილი.

სეზონის რეკორდი იყო ვირგილიუს ალეკნას 67,19 მეტრი ბადროს ტყორცნაში, 800 მეტრზე სირბილში მარია მუტოლას 1.68,90, რაც მოზამბიკელმა თავისი კუზინას, ტინა პაულინოს დაჯაბნით შეძლო. აგრეთვე დელორინ ენის-ლონდონის 12,68 წამი 100 მეტრზე წინაღობებით სირბილში, სადაც იამაიკელმა მსოფლიოს რეკორდსმენსა და „ოქროს ლიგის" მოქმედ გამარჯვებულს, გეილ დივერსს წამის მეასედით გაუსწრო.

მოიგო მეჭოკე ქალმა სტეისი დრაგილამ და „ალმა-ღალმა" ხტომის წლევანდელი ტრადიცია გააგრძელა სარეკორდო ნახტომებითა და გასაკვირი ჩავარდნებით. დრაგილას იუჯინში კონკურენტი არც ჰყოლია.

ინტრიგით სავსე იყო 200 მეტრზე ვაჟთა სირბილიც. ცალკერძ რჩეული იანკები და იქით ბოლო ხანს აწყვეტილი განელი აბდულ აზიზ ზაკარი. ბრძოლა არ შედგა: ზაკარი სირბილის იშტაზე ამჯერად ვერ იყო.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
| --- |
| 100მ: 1. პატრიკ ჯერეტი (იამაიკა) 9,89; 2. ტიმ მონტგომერი (აშშ) 9,92; 3. მორის გრინი (აშშ) 9,92 |
| 200მ: 1. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 20,18; 2. რეიმონ კლეი (აშშ) 20,33; 3. შონ კროუფორდი (აშშ) 20,39 |
| 800მ: 1. ჟან-პატრიკ ნდუვიმანა (ბურუნდი) 1.44,93; 2. უილიამ ჩირჩირი (კენია) 1.45,09; 3. ხვედის რობინსონი (აშშ) 1.45,15 |
| 1 მილი: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 3.49,92; 2. კევინ სალივანი (კანადა) 3.51,82; 3. ბერნარდ ლაგატი (კენია) 3.53,14 |
| 5 000მ: 1. ლუკ კიპკოსგეი (კენია) 13.13,27; 2. ლეონარდ მუკერუ (კენია) 13.14,94; 3. აბრაჰამ ჩებიი (კენია) 13.17,62 |
| 100მ თარეჯრბენი: 1. ტერენს ტრამელი (აშშ) 13,34; 2. დუეინ უოლესი (აშშ) 13,38; 3. მარკ კრიერი (აშშ) 13,43 |
| ბადრო: 1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 67,19; 2. ჯეისონ ტიუნქსი (კანადა) 65,72; 3. ვასილი კაპტიუკი (ბელარუსი) 65,24 |
| **ქალები** |
| 200მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 22,26; 2. ჯულიეტ კემპბელი (იამაიკა) 22,75; 3. ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონი (აშშ) 22,87 |
| 800მ: 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1.58,90; 2. ტინა პაულინო (მოზამბიკი) 1.59,68; 3. ლეტიცია ვრისდე (სურინამი) 2.00,33 |
| 1 500მ: 1. სიუზი ფევორ-ჰამილტონი (აშშ) 4.06,93; 2. ლუდმილა ვასილიევა (რუსეთი) 4.09,75; 3. ლიდია ჩოჯეცკა (პოლონეთი) 4.09,88 |
| 3 000მ: 1. მარლა რანიანი (აშშ) 8.44,60; 2. კეტი ბატლერი (დიდი ბრიტანეთი) 8.46,01; 3. ელვა დრაიერი (აშშ) 8.46,09 |
| 100მ თარეჯრბენი: 1. დელორინ ენის-ლონდონი (იამაიკა) 12,68; 2. გეილ დივერსი (აშშ) 12,69; 3. ანჯანეტ კირკლანდი (აშშ) 12,88 |
| სიმაღლეზე ხტომა: 1. ემი ეკუფი (აშშ) 1,98; 2. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 1,95; 3. დორა გიროვი (უნგრეთი) 1,92 |
| ჭოკით ხტომა: 1. სტეისი დრაგილა (აშშ) 4,64; 2. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) 4,41; 3. მელისა მიულერი (აშშ) 4,31 |

ჯირო დ'იტალია

# სლოვენიამდე...



REUTERS მონტევარკიდან

პელოტონი ტოსკანიურ ვენახში

**გასულ** უქმეებსა და გუშინ იტალიაში მიმდინარე „ჯიროზე" მრბოლებმა სამი ეტაპი გამართეს და ბევრი საინტერესო რამეც მოხდა. მივყვეთ მოვლენებს და დავიწყოთ მე-7 ეტაპით, რომელიც ტურნირზე ყველაზე გრძელი (239კმ) იყო და რიეტსა და მონტევარკის შორის გაიმართა.

იტალიელმა სტეფანო ძანინიმ მშვენივრად ისარგებლა თავისი მაპეის თანაგუნდელების დახმარებით და ფინალურ სპრინტში ყველას აჯობა. ბოლო მეტრებზე ბრწყინვალედ გამოქანებულმა ძანინიმ ფინიშის ხაზის გადაკვეთა წამის მეათასედით დაასწრო თავის თანამემამულე გაბრიელე მისალიას და 1997 წლის „ტურის" გამარჯვებულ გერმანელ იან ულრიხს, რომელიც პეპელა ნამდვილად არ არის და როგორ მოხვდა ამ გაუგებრობაში, ძნელი სათქმელია. ალბათ, მას რომელიმე თავისი თანაგუნდელის გამოქანება უნდოდა, მაგრამ ეს საქმე გვიან დაიწყო, გზიდან ჩამოშორება ვერ მოასწრო და ამიტომაც მიიღო მონაწილეობა სპრინტში.

„ძალები არ დამიზოგავს და სასურველი შედეგიც მივიღე. ბოლოს გუნდმა მშვენივრად იმუშავა. ჩემიანების უზომოდ მადლობელი ვარ, ამიტომაც ამ გამარჯვებას მათ ვუძღვნი" — ეს თქვა პოდიუმიდან ჩამოსულმა ძანინიმ.

იტალიელისთვის, ვისაც შარშანდელი „ტურის" დასკვნითი, შანზ-ელიზეს ეტაპი მოუგია, ეს მეორე ჯიროული წარმატებაა.

საერთო ჩათვლაში ამ ეტაპს რაიმე ღირსშესანიშნავი ცვლილებები არ შეუტანია. ვარდისფერი მაისურა დარიო ფრიგომ შეინარჩუნა, რომელიც უახლოეს მდევარს 12 წამით უსწრებდა.

უგრძესი გზის საწყისი ხუთი საათი პელოტონმა საკმაოდ მშვიდად გაიარა და საშუალო სიჩქარე მხოლოდ 32 კმ/სთ იყო. ფინიშამდე 16 კილომეტრიღა რჩებოდა, როცა სტეფანო გარძელისა და დავიდე რებელინის შეტევის გამო სიჩქარემ უეცრად იმატა. დღის ბოლო პატარა დაბრკოლების უმაღლეს წერტილს მოიერიშეებმა 15-წამიანი უპირატესობით უწიეს, მაგრამ თავდაღმართში დანარჩენებს მათი დაწევა არ გასჭირვებიათ და პელოტონმაც ფინიშს ჯგუფურად უწია.

ასე აღარ მოხდა კვირას, როცა, ჩემი აზრით, ჯერჯერობით სანახაობრივი თვალსაზრისით საუკეთესო ეტაპი გაიმართა.

პაპანაქება სიცხემ და განუწყვეტელმა შეტევებმა ფრიგოს „თავი აატკივეს" და მანაც მხოლოდ სამი წამით შეძლო ვარდისფერი მაისურას გადარჩენა. გამარჯვება კი იტალიელმა პიეტრო კაუკიოლიმ იზეიმა.

მოემზადეთ, შეუტიეთ! დაახლოებით ასეთი ბრძანებების შემდეგ შეიძლება მოხდეს ის, რაც კვირას რამდენიმე მრბოლმა მოიმოქმედა. მათ სტარტიდან 2 (ორი!) კილომეტრის გავლის შემდეგ შეუტიეს და 185-კილომეტრიანი დისტანციაც ამ ჯგუფის წევრმა მოიგო. თანაც აღსანიშნავია, რომ თაკარა მზე, რომელიც ემილი-რომანის ბორცვებს ხრუკავდა და თავად ეს ბორცვები, რომელთაგან ოთხი მეტად რთული დასაძლევი იყო, კაუკიოლის გამარჯვებას კიდევ უფრო მეტ ბრწყინვალებას მატებს.

იერიშის დაწყებიდან დაახლოებით 5 საათის შემდეგ კაუკიოლის კიდევ შერჩენოდა ძალები დამაგვირგვინებელი აჩქარებისა და მანაც ევროკომისიის პრეზიდენტ რომანო პროდის თვალწინ იპირველა. ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე იგი დაეწია და მყის გაასწრო მექსიკელ ხულიო პერეს კუაპიოს, რომელსაც მეოთხე ეტაპზეც არ გაუმართლა. მაშინ მას ბოლო მწვერვალამდე რამდენიმე კილომეტრიღა აკლდა, ველო რომ გაუფუჭდა და გამარჯვებისთვის ბრძოლასაც გამოეთიშა.

ფრიგოსთვის, როგორც ვთქვით, დღე საკმაოდ დაძაბული გამოდგა. აბეტონეს აღმართამდე, სადაც 1940 წელს ლეგენდარულმა ტოსკანელმა ფაუსტო კოპიმ პირველად გააცნო თავი საზოგადოებას, ცოტა ადრე 17 მრბოლი გამოეყო პელოტონს. მათ შორის იყო კოლუმბიელი ერნან ბუენაორა, რომელიც ფრიგოს წუთნახევრით ჩამორჩებოდა და ამიტომ თავისუფლად შეეძლო მისთვის ვარდისფერი მაისურა აეწაპნა.

ბუენაორას გვერდს სამი თანაგუნდელი უმშვენებდა და ამ მოიერიშე ჯგუფისთვის სამ-ოთხ წუთზე მეტი უპირატესობა რომ არ მიეცათ, ფასაბორტოლოელები იძულებულნი იყვნენ, პელოტონის სიჩქარე ფრიად გაეზარდათ. ამ ტემპით დაბრკოლებების გადალახვა საძნელო საქმე იყო, რამაც რვა მრბოლის მიერ შეჯიბრის მიტოვება გამოიწვია, ულრიხმა კი ბლომად დრო წააგო.

წინ კი ხან ერთი მრბოლი გარბოდა და ხან მეორე. თითქოს ჯერ ესპანელ ხოსე ლუის არიეტას უნდა მოეგო, მერე კუაპიოს, მაგრამ საბოლოოდ კაუკიოლიმ აჯობა ყველას.

ბოლო 20 კილომეტრზე პელოტონიდან დავიდე რებელინი და ჯულიანო ფიგუერასი გამოვარდნენ კონტრიერიშისთვის. ამ ჯგუფს 8 კილომეტრის თავზე პორტუგალიელი ჟოზე აზევედოც შეუერთდა, რომელიც საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილზე იყო და ფრიგოსთვის მთავარ საფრთხესაც წარმოადგენდა. ვარდისფერმაისურიანმაც უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და იმდენი ქნა, პირველობა მაინც შეინარჩუნა.

ფრიგოს ჯგუფში დაასრულა რბოლა მარკო პანტანიმ. „მეკობრე" რამდენჯერმე კი წაიქცა, მაგრამ არ დაშავებულა. აშკარაა, იგი თანდათანობით ფორმაში შედის და ტურნირის მეორე კვირის ბოლოს ეგებ რაღაც სიურპრიზიც შემოგვთავაზოს.

გუშინ უცნობილესმა იტალიელმა პეპელამ მარიო ჩიპოლინიმ წლეულს მეორედ იმარჯვა, ჯამში 32-ე ეტაპი მოიგო და „ჯიროს" ერთპიროვნული რეკორდსმენის ალფრედო ბინდას, შემდეგ, რომელსაც ომამდე 41 ეტაპი დაუმთავრებია სხვებზე ადრე, მეორე საფეხურიც დაიკავა.

სუპერმარიომ ფინალურ სპრინტში გერმანელ დანილო ჰონდოს აჯობა, რომელმაც მასავით ორ ეტაპზე მიაღწია წარმატებას 84-ე „ჯიროზე". პელოტონმა მდინარე პოს დაბლობზე კვლავ მზიან ამინდში იარა და განსაკუთრებით საინტერესო რბოლა არც გამართულა.

ფინალში მეოთხე პოზიციაზე მყოფი ენდრიო ლეონი წაიქცა, მაგრამ იგი ტრავმას გადაურჩა. დღეს „ჯირო" იტალიას დატოვებს და სლოვენიაში გადაინაცვლებს, სადაც ორი ეტაპის ფინიშია დანიშნული.

**გაგი გურული**

**მეშვიდე ეტაპი**

რიეტი — მონტევარკი, 239კმ

1. სტეფანო ძანინი (იტალია, მაპეი) 6სთ 48 წთ 13 წმ
2. გაბრიელე მისალია (იტალია, ლამპრე)
3. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი)
4. მატიას კესლერი (გერმანია, ტელეკომი)
5. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) ყველას იგივე დრო

**მერვე ეტაპი**

მონტეკატინი — რეჯიო ემილია, 185 კმ

1. პიეტრო კაუკიოლი (იტალია, ალესიო) 4სთ 54წთ 23 წმ
2. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) +54წმ
3. ფრედი გონსალეს მარტინესი (კოლუმბია, სელე) +54
4. ჯულიანო ფიგუერასი (იტალია, პანარია) +54
5. უნაი ოსა ესაგუირე (ესპანეთი, იბანესტო) +54

**მეცხრე ეტაპი**

რეჯიო ემილია — როვიგო, 142კმ

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) 3სთ 27წთ 41წმ
2. დანიელო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი)
3. ანდრეი შაუპტმანი (სლოვენია, ვინი კალდიროლა)
4. ალბერტო ონგარატო (იტალია, მობილვეტა)
5. გუიდო ტრენტი (იტალია, კანტინა ტოლო) ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 42სთ 14წთ 55წმ
2. ჟოზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +3
3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +14
4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +15
5. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +19



NHL. სტენლის თასი. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# ციდან მიწაზე

| | |
|---|---|
| **კოლორადო** | **1** |
| **ნიუ ჯერსი** | **0** |

**კოლორადო 5:0 ნიუ ჯერსი**

**(1:0 2:0 2:0)**

**1:0 საკიკი 12 (10); 2:0 დრური 30 (9), 3:0 საკიკი 36 (11), 4:0 ბლეიკი 46 (5), 5:0 რაინვრეხტი 58 (2).**

**კოლორადო: რუა; ფუტი, ბლეიკი, ტანგეი, საკიკი, შეიდუკი; ბურკი, სკოულა, ნიემინენი, დრური, პაინოტი; კლემი, დევრიზი, პოდეინი, იელი, მესიე; რიდი, დინგმანი, რაინპრეხტი.**

**ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი, დანეიკო, ელიაში, არნოტი, სიკორა; ნიდერმაიერი, უაიტი, მოგოლნი, გომესი, ნემჩინოვი; რაფალსკი, ოდონელი, მაკეი, ჰოლიკი, ბრილინი; პანდოლფო, მედენი, სტივენსონი.**



REUTERS დენვერიდან

ტრაგიკული მარტინ ბროდო

**რა დაემართა** ნიუ ჯერსის? — კითხულობს უკლებლივ ყველა ჩრდილოამერიკული სააგენტო და გაზეთი. მართლაც, ასეთი კითხვა გაუჩნდებოდა ყველას, ვინც კი მატჩს უყურებდა, თანაც ჯერ კიდევ მაშინ, როცა არაფერი იყო გარკვეული და სტუმრებს თავის გადარჩენის შანსი ჰქონდათ.

მართლაცდა რა მოხდა? რატომ წააგო ასე სამარცხვინოდ ამ ჩინებულმა გუნდმა? გუნდმა, რომელმაც წინა რაუნდში ისე დაასხა თავსლაფი პიტსბურგს, თითქოს ლემიესა და იაგრის კლუბი რომელიმე ქვედა ლიგის მაჩანჩალა ყოფილიყო.

მოდით, ჯერ თავად „ეშმაკებს" მოვუსმინოთ. „ჩვენი გუნდი პრესის ქებამ დაარხეინა. როცა ყველა გიმტკიცებს, ძლიერი ხარ და ბრწყინვალედ თამაშობ, ძალაუნებურად შენც გაღიღგულდები. დღეს კი ციდან მიწაზე დავეშვით" — გუნდის მეკარე მარტინ ბროდოს სიტყვები, ალბათ, ყველაზე უკეთ გამოხატავს იმას, რაც შაბათს დენვერში მოხდა. ნიუჯერსელებმა სათანადოდ არ შეაფასეს მეტოქე და როგორც თავიდანვე განეწყვნენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ბოლომდე ისე წაუვიდათ საქმე.

არც სხვა მიზეზი უნდა გამოვრიცხოთ. დენვერი ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა, 2 000 მეტრზე მდებარეობს და იქ აკლიმატიზაცია ყველა გუნდს უჭირს. განსაკუთრებით მძიმეა დენვერში თამაში ზაფხულში. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინანდელი ფინალის მონაწილე ფლორიდელები ჩიოდნენ, სუნთქვა გვეკვრება და ძალა მალე გვეცლებაო. ასეა თუ ისე, ნიუ ჯერსი თავის თავს არ ჰგავდა და ისე განადგურდა, როგორც 1996 წლის მეორე მატჩში ფლორიდა (1:8). მას შემდეგ ფინალში ასე არავის წაუგია.

უკვე ვთქვით კიდეც — ნიუ ჯერსი რომ გუნებაზე ვერ იყო, მაშინაც გამოჩნდა, როცა ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევი იყო. „ეშმაკებმა" თავიდანვე საკმაოდ ნელ ტემპში დაიწყეს თამაში და კოლორადოც, რომელსაც სტუმართა მწვავე კონტრშეტევებისა ეშინოდა, თანდათან ისე გათამამდა, რომ მეტოქის ზონაში გადაინაცვლა. მაშინვე გამოჩნდა, რომ ნიუ ჯერსი ვერ იყენებდა თავის უპირატესობას სიმაღლესა და ფიზიკურ მომზადებაში. ბორტებთან კოლორადოელები უფრო მარჯვედ იბრძოდნენ და როგორც კი შაიბა სტუმართა ზონაში აღმოჩნდებოდა-ხოლმე ბროდოსა და დაცვას პრობლემები ექმნებოდათ. ერთიორჯერ სწორედ ბორტებთან ჭიდილისას მოპოვებული შაიბის გათამაშების შემდეგ შეუტია მწვავედ კოლორადომ, ჯერ ჯო საკიკმა, მერე კი რეი ბურკმა სახიფათოდ დაარტყეს, მაგრამ ბროდომ მოახერხა მოგერიება. თუმც როცა მილან ჰეიდუკმა ჩინებული ფარული პასით საკიკი დასარტყმელ პოზიციაში გაიყვანა, მეკარე შეცდა და კოლორადოს კაპიტნის დარტყმული შაიბა ფეხებშუა გაუძვრა — 1:0.

თანაც ამ დროისთვის დარტყმების თანაფარდობამ 13:1-ს მიაღწია. მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ „ეშმაკები", ერთხელ საფირმო შეტევაც გამოუვიდათ, მაგრამ ორი ერთზე გასულმა ჯონ მედენმა პარტნიორისთვის პასის მოწოდების ნაცვლად დაარტყა და რუა იოლად გაუმკლავდა დარტყმულს. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რუამ ბრწყინვალედ ითამაშა, ხოლო ბროდო თავისი გუნდის დარად ნაკლებად საიმედო იყო.

მეორე პერიოდის პირველი შვიდი-რვა წუთი ნიუჯერსელებმა ამ მატჩში ყველაზე უკეთ ჩაატარეს. მათ შეძლეს მეტოქის მისსავე ზონაში ჩაკეტვა, ორჯერ წესებიც დაარღვევინეს, მაგარმ ჩვეული სისხარტე აკლდათ. ამიტომ ბოლო მომენტებში ან პასის გადაცემას ვერ ახერხებდნენ, ანაც ზუსტ დარტყმას. ორჯერ სკოტ გომესის სამეულმა სანიმუშო კომბინაცია გაითამაშა და თავად ცენტრფორვარდი რუასთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გომესს, რომელსაც კარგა ხანია, ვერ გაუტანია, ხელი აუკანკალდა. ხოლო როდესაც ალექს ტანგეის საჯარიმო დრო დაუსრულდა, მასპინძელთა თითქმის არცთუ სახიფათო შეტევა გოლით დამთავრდა — ზონაში ჩაგდებისას დან ჰაინოტმა შაიბა უმალ კარისკენ გაისროლა და კრის დრურიმ მცველს წამით დაასწრო. ხუთ წუთში კი საკიკმა ბრწყინვალე სოლო შეასრულა, ეფექტური პაუზით თვით სკოტ სტივენსი მოატყუა და ზუსტად ცხრიანში დაარტყა — 3:0. და დაბნეულმა სტუმრებმა ფარ-ხმალი დაყარეს. დანარჩენ დროში ისინი უფრო მეტოქის ჩხუბში ჩათრევას ცდილობდნენ, თუმც კრის დინგმანმა შონ ოდონელიც გალახა და „ეველანშმა" კიდევ ორი გოლით დასაჯა „ეშმაკები".

ადვილი წარმოსადგენია, მატჩის შემდეგ რა განწყობაზეც იქნებოდნენ გუნდები. კოლორადოელთა თავკაცმა განსაკუთრებით კაპიტანი გამოარჩია: „ჯო ყოველთვის ასეთია. მთელი სეზონი ათრია გუნდი და დღესაც არაფერი შეეშალა". მისმა პერსონალურმა მეურვემ, გობი ჰოლიკმა, რომელმაც დავალება, ცხადია, ვერ შეასრულა, გულახდილად აღიარა: „დღეს იმ პატარა ბიჭებს ვგავდით, ყინულს თოვლისგან რომ ასუფთავებენ ხოლმე".

ნიუ ჯერსიმ მართლაც დიდი დარტყმა მიიღო, მაგრამ მეორე შეხვედრაში, ალბათ, იქნება ბრძოლა, ისეთი, თასის ფინალს რომ ეკადრება.

ცნობისთვის: რუამ კარიერაში მე-18 საპლეიოფო შატაუტი მიითვალა, რაც რეკორდია. გარდა ამისა, უკვე 213 წუთია, გოლი არ გაუშვია. ეს ლეგენდარული კლინტ ბენედიქტის მიღწევას მხოლოდ 16 წუთით ჩამორჩება.

**სამველ ლარიბიანი**


**სარბიელი**

**სპორტული გაზეთი**

**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**

**გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge